

შეშლი

№ 1 იუძორისტუელ-შოჭუდიარული ჟურნალი 1908 წ.



იესო ნახარვევი

საალღოგომო მილოცვა.

- „**ეკალს**“. საშობაოთ აესრულე,
შეგიმოკლეს დღენი მალე,
მაგრამ ამით არ შეშინდი,
არც იდარდე, ივალაღე.
აღღვა ქრისტე და შენც აღდგე
კვალად ეკლით შემოსილი,
რომ დაკაწრო ბოროტება
და გაუფრთხო მცონართ ძილი.
იმედია, შენს აღღგომას
ყველა ეტყვის: „ქეშმარიტათ“
და თუ სადმე ძნელი გზაა—
გაედები გზათ და ხიდათ.
- „**მერცხალს**“. ქრისტე აღღგა! მონაფარდევ,
ცის კამარის გამპობელო!
გისურვებ, რომ ზამთარშიაც
ყვავილობდეს შენთვის მდელი!
შენი ტკბილი ჰანგათა მღერა
ხალხს მატებდეს სიმონეს და ძალს
და გულს ლახვრათ ესობდეს
დაჩაგრული ხალხის მტარვალს!..
- „**ამირანს**“. შენც გილოცავ, „ამირანო“,
აზრით კლდეზე მიჯაქულო,
და გისურვებ, რომ არ დარჩე
უსახლკარო, უმაჟულო...
და შენს ნესტან-დარჯანებს,
ტარიელს და ავთანდილსა
ვუსურვებ, რომ არ სწამებდენ
ჯვარზე გაკრულით ურცხვათ ცილსა.
- „**შრომა**“. ქრისტე აღღგა, უწინ „ფარო“,
დღეს კი უქმო, ცუდათ „შრომაე“,
ქუჩურ ლანძღვის სტვირის გუდა,
უქარბუქო შემოდგომაე!..
- „**ზაკავკაზიეს**“. ცუდ საქმეებს გაბრადებენ,
ნუ გაურბი სამართალსა!
სიტყვის ბანზე აგდებითა
ვერვის დაუყენებ თვალსა!
- „**ნაშა უიზნს**“. ჩვენს ცხოვრებას კვალში სღიე,
ემსახურე დიად მიზანს,
თუ არ მოგსპო „შინაურმა“
„გარეული“ ვერას გიზამს!..
- „**თფ. ფურცელს**“. ქრისტე აღღგა, პლაგიატო!
კმარა, კმარა აწ ქურდობა,
სხვის სახელის მითვისება—
ნუ გგონია შენ ხუმრობა!

როდის იყო თანამშრომლათ
გყავდენ ბალმონტ-ანდრეევი
და სტატიებს გიგზავნიდენ
მურომცევი და ან სხვები?!..
როდის იტყვი: „ქეშმარიტათ
ვყიდი „СНИЖКА“ „ВАКСИ“ „МЫЛА“ს,
კვერცხებს საფერავებს,
ლახუსტაკსა, კევს და ლილას?..

სომხურ გაზეთებს. ბედაური აღარა გყავს,
დღეს თქვენ დაგრჩათ მოედანი,
აბა, „ვტაკ“, „მუაკ“, ხათაბალა“
შემოსძახეთ ერთხმათ: ბანი!

„**ეშმ. მათრახს**“. იუმორი აცხოველე,
მათრახს მოუმაგრე კუდი,
და უცხუნე, სადაც ნახო
სიყალბე და საქმე ცუდი.
შინაური კინკლაობა
წყლის უბრალო ნაყვა არის,
წასაღები, ასაღავი
დაღმა წყლის და აღმა ქარის...

„**ნიშადურს**“. სიმყარეში ტოლი არ გყავს,
ხარ პირველი ქორიკანა,
ყოველ დღე რომ მამბებლარობ,
არ გცხვენია ამის განა?!
ნიშადური გაგიგალდა;
აგირია ამან ქკუა?
ვინც გიძახის პროვკატორს,—
მართალი თქვი, განა სტყუა?

მონაფარდე.



ი უ ლ ა.

აღღგომას წინ გამცემლობა უძღვის და
ქრისტეს—იუდა. კეთილს, სათნოებას და ქეშ-
მარიტებას წინ სიბილწის და ანგარების მო-
ციქული წინამორბედობს და სახელი მისი არის
იუდა.

მან გა'ცა ქრისტე, გაყიდა სინიდისი და
პატიოსნება. ფულის მოყვარულობამ, უსაზ-
ღვრო შურმა და ბოროტებამ დააბნელეს მი-

სი გონება, შებოქვს მისი აზრი. მან გასცა თავისი მასწავლებელი.

წინეთ ის მას მისდევდა და ქება-დიდებათ იხსენიებდა. წინეთ ის რჩეულთაგანი იყო, მის მახლობელ თანაშემწეთ ითვლებოდა, მის საუნჯეს თავისთან ატარებდა. ის ათორმეტთაგანი იყო, რომელნიც მას ერთგულებას, მისთვის სიცოცხლის დაღებას ეფიცებოდნენ. და აი, ის ერთი გამოდგა მათში იუდა, ქვემძრომი ადამიანის სახით, ფიცისა და სინიდრისის გამტეხი; მან გასცა ქრისტე და თვით ოცდაათი ვეცხლი მიიღო მწიგნობართა და ფარისევლთაგან.

ქრისტეს მსახურიდან ის მის მტერთა მსახურათ იქცა, დევნულთათვის გულშემბატკივარი მდევნელთ შეეკედლა, ღარიბთა მფარველათ მოვლენილი მათ შემავიწროვებელთა ფულს დაეწათა და გასცა ქრისტე, ეს ჩაგრულთა სასოება; გასცა ქვეშაპრეტება და სიყვარული ფარისევლთა ფეხით სათრეველათ და სასყიდლათ ბაჯალლოები ჩაიხხრიალა.

ის გახდა მიზეზი ქრისტეს წამებისა... სიმართლეს გაეკრა ჯვარზე მისი გამცემლობით. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან თქმულა: სინათლეს ბნელი სდევს და ქრისტეს გამცემელი.

მაგრამ რა შედეგი მოყვა მის გამცემლობას?

ქრისტე თავისი ტანჯვითა ზე წამებით შეიქნა მხსნელი სოფლისა. მან ჯვარიდან მოტევება მიანიჭა აეზაკსაც, მის გვერდით ჯვარცმულს, და სიკვდილითა მრავალნი იხსნა სიკვდილისაგან. დიახ, გამცემლობას მოყვა ჯვარცმა და ჯვარცმას—აღდგომა. დროებით დაჩრდილული მისი სახელი კვლავ გაბრწყინდა, ეკლის გვირგვინით დაჩხვლეტილი შუბლი კვლავ ნათელი შარავანდედით შეიმოსა, დასამარებული და ლოდ დადებული იგი კვლავ აღდგა. ნერწყვით შეურაცხყოფილი და გვემრთა დამცირებული კვლავ სანეტარო და სათაყვანო შეიქნა!... ასეთია ხვედრი დევნილთა სიმართლისათვის.

ხოლო იუდა?... ვინ არის იგი?

მისი სახელი ზიზღით იხსენიება. იგი ემბღემა სიფლიდისა, ქვეშაპრეტების ფეხქვეშ

გათევისა; იგი სახელია მაჰი, ვინც ამ ქვეყნის ბატონთ ემსახურება, ფარისევლთა და მწიგნობართ თავის მოძმეებს ხელში უყრის დასატანჯველათ. მისი სახელი წყეულია და შეწვევებული ისტორიისაგან. მისი აზრდელი დევნულია და მოძულეული კაცობრიობისაგან.

იუდამ თვითონაც იგრძნო ეს დანაშაული და სიცოცხლეს თვით მოისპო. მარა საფლავმაც ვერ დაფარა ბოროტება მისი, სამარემაც ვერ შთანთქა საზიზღარი და ბილწი მოქმედება მისი. თვით ფარისევლთა და მწიგნობართ მას ზურგი შეატკიცეს, როცა მისი სამსახური აღარ იყო საჭირო, და როგორც დაგლეჯილი მგვარი ისე გადაისროლეს... დევნულთ და მაშვრალთ ის შეაჩვენეს და სახელი მისი საშვილიშვილოთ კრულია ყველასაგან. მას ადგილი არა აქვს აცოთა შორის. ასეთია ხვედრი გამცემელთა. ასეთია განაჩენი ისტორიისა. ბოროტის დვარძლი მოისპობა ზე სიმართლეს აღდგება.

ვინ თქვენდა, იუდანო და გამცემელნო!

ვინ თქვენდა, მლიქვნელნო და დამამსვენელნო! სიხარული თქვენი ცრემლებათ იქცევა. ნუ გეშინისთ, ჩაგრულნო! ოდეს ჩილოთ იუდანი ფარისევლთა თანა—უწყოდეთ, მოახლოვებულ არს აღსასრული მათი! ნუ გეშინისთ იუდის გამცემლობის და დაბეზღების, უწყოდეთ ახლოვდება დრო ქვეშაპრეტების მკვდრეთით აღდგომისა და სიხარულისა.

არ.



არ ამღებარა...

რამ გაინძნა ასადგომათ,
დეჟ გმირულათ აიშარათ,
მიქსათ მტარვალთ ძალათ,
ცსარე ბრძოლათ გაიმართათ.

ცვალებადი ქიდაობა
საბოლოოთ არ გადაწყდა,

ხან ერთი ძირს, ხან მესარე...
და ბოლოს კი ის დამარცხდა...

ჩემი სტრეფა, ნეტარება...
იმ თავითვე დაზარდული,
კვლავ საფლავში განისვენეს...
ქვალოდებით დაფარული...

მარა მჯერა, ფაღვანის
არ დაცლიდა ჭერ მთლათ ძალა,
თუმც ამ ხანათ კი წაიქცა,
მტარგაფლავის დაიძალა...

ოვით ქვესქელი მას გ.რ იტყეს,
საზესენელთ. უკრეფს ძალსა
და უნელებს სწორ-უზაფარს
გუფს მადებულ მტანჯველ აღსა.

კვლავ აღიება ფაღვანის,
ახალ საღმა-ფანდებითა
დანარცხებს მტერს მიწაზე,
სუფს ამოწვდის წვალებითა.
მწამს ამ ბრძოლას მთავსწრება,
ენასვე ჩემი თვალებითა,
და საფლავში აღარ ჩაკვდა...
გადუხთელი ფაღვანისა...

ფანდი.



შეკითხვა რედაქტორისადმი.

„ისარ-ნიშაღურის“ რედაქტორ ბ. ვ. გუნის შესახებ.
ბ-ნო რედაქტორო, იცით თუ არა, რომ ბ-ნ ვ. გუნისა, როგორც ეროვნულ-ფედერალური ბაზუი „ისარის“ რედაქტორს, ეპატივა ასი თუმანი ჯარინა ისე, რომ ციხის თვალი ერთი წუთითაც კი არ უნახავს? და თუ იცით, რით ხსნით ჩვენი დროსათვის ამ საოცარ მოვლენას და რა ზომების მიღებას ფიქრობთ, რომ კვლავ არ განმეორდეს მისი ასეთი მოქმედება?
ხელს აწერს 101 ესდეკი.

რედაქტორის განმარტება.

ღიბ, ვიცით შეკითხვაში მოხსენებული ფაქტი, რომელიც სისწორით აღნიშნულია. საჭიროთ მიმართა წარმოვადგინო შემდგი განმარტება: ბ-ნი გუნია, როგორც მთელი მისი ბანაკიც, დიდათ დახელოვნებული

და გაწრთენილია დიდკატების ფეხთა ლოკვაში და თავის შებრალევაში. მისთვის, როგორც მსახიობისათვის, მთელი ქვეყანა დიდ სცენას წარმოადგენს, სადაც ის ისევე თავისუფლათ იგრძნობა და იღუნება წელში ათასნაირათ, როგორც ნამდვილ სცენაზე. როგორც გვარი ღუნია (მისი სახლის კაცები სამეგრელოში ღუნიათ იწოდებიან და არა გუნიათ) მოწმობს, ვალერიანის „დიდებული“ წინაპრებიც ასეთი ყოფილან და რაღა გასაკვირალია, რომ „ეროვნული შერჩევის“ კანონით ისიც მათ დამსგავსებია. რაც შეეხება მის წინააღმდეგ რაიმე ზომების მიღებას, ამას მე საჭიროთ არ ვთვლი, რადგან ბ. ღუნისა მოქმედება მშვიდობიანი ცხოვრებისა და მყუდროებისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს. დაე განაგრძოს მან თავისი „სასახელო“ მოქმედება.

სტენოგრაფიულ ანბარითან სწორია.

ანანი.



პითხვა-პასუხი.

— რათ არის რომ „ნიშაღური“ მუდამ ისეთი „მარგალიტებით“ არის სავსე, როგორც მაგალითით: „ყალიბანდი, შუბლგარეცნილი, მურდლი, მური და ქუქუკი, წვინტლი და დორბლი, ბრძელყურა პირუტყვი, არანზადა, პირ-ახელი“ და სხვა ასეთები?

— მიტამ, რომ როგორც „ქეშმარიტი ქართველების“ გაზეთი, ცთილობს ქართველისავე პოეტის სიტყვები ვაამართლოს:

„კოკასა შიგან რაცა სდგას,
იგივე წარმოსდინდების“.

— რა განსხვავებაა სოციალ-ფედერალისტების და ჯაშუშ-პროვოკატორების მოქმედებას შორის?

— მხოლოთ ის, რომ პირველნი სათვალბაკით სოციალისტურ პარტიის ნიღაბს იფარებენ.

— რა მიზეზია, რომ სოციალ-ფედერალისტები მხოლოდ წევნებურ სოციალ-დემოკრატებს ლანძღვენ, რუსეთისაზე არაფერს ამბობენ, ხოლო სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატებს ხანდახან კიდევაც აქებენ?

— თუმცა მათ არც სხვა ქვეყნების სოციალ-დემოკრატებისა სწამთ რა, მაგრამ, რომ არ მიიქცენ, ე. ი. უტყვო ქვეყნის სოციალ-დემოკრატებიც რომ ლანძღონ, მაშინ ყველა ადრე გაივებდა მათს გაიძვერულ ხრიკებს და ეს მათთვის როგორც „სოციალისტებისთვის“, ძლიერ ცუდი იქნებოდა.

— რით აიხსნება, რომ „ნიშადურის“ რედაქცია მთელი ბას ული წლის ნომრებს პრემიით აღლევს ახალ ხელის მომწერთ?

— ეს ადვილი მისახვედრია: უკვე ბაზაფხულდა და ხოლერის მოახლოების შიში გაძლიერდა. როგორც იცით, „ნიშადურმა“ თითონვე განაცხადა ამას წანეთ, რომ ის ყარს; ხოლერასნომ განსაკუთრებით აყროლებული და ბინძური ადგილები უყვარს და აი, ეს ბანსაცთელი რომ აიშოროს თავიდან, „ნიშადურის“ რედაქტორმა ლუნია მჩეულებრივ ხრიკს მიმართა: თავის ხე-

ლის მომწერლებს მენაგვეობის როლი დააკისრა და ისიც ვითომ მათ პატივის საცემათ!..

— რათ არის, რომ სოციალ-დემოკრატების მრავალჯერ დაიჭირეს ტყუილის თქმაზე და ცილისწამებაზე, მაგრამ ისინი მაინც არ იშლიან თავის ხელობას?

— რათა და იმათი ფილოსოფიით:

„ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“.

99



ფედერალურ ბარგით სავსე
ერკუნულსა ურემსაო,
ზოგი აღთას, ზოგი ბალოსი
ეწვიან უღელსაო.

ურემი კი უძრავათ დგას,
არ მიეგება აღთა-ბალოსს,
ფედერალნი დაიქანდენ
და ეძებენ მფარველ კალოსს...

თან ფიქრობენ: „ეს რა არის
და ან ვისი ბრალია?..“

ვინც არა გვცნობს ჩვენ მოდგაწით,—
ჩანს, ჭკუაზე მწურადიაო!..

ოჰ, სოციალ-დემოკრატო
ჩვენი შური თ მოფრადიაო...

მასი მტრობა, დანძღვა-თრევა
ჩვენი წმინდა ვადაოა.
სიბინძურის გუდას მოხსნეს,
ატლიკინეს მურალი ენა,
სინათლეზე გამოფინეს
საკუთარი გრძნობა ქვენა.

ჟურ ასეა მათი საქმე:
წელის ნაყეთა ასლით ქაყი
და თავისი სიბინძურე
თვითვე ესხმია, როგორც ღაფი.

ოღრახინი.





ბ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი.

მვლავ ბუნებაში გაიღვიძა,
დაღწია ღრმა ძილს თავი,
მტენარები თ შემოსილი
ღელავს, ვით ზღვა, მთა და ბარი.

ფრინველები აჭაპკიან
იფურხქნება ვეგვილები,
ხაკადულიც ახშურდა,
ათასგვარი მესმის ხმები...

მაცრავი რაა ეს სიტყურვე,
როს არ ხარობს ჩემი ტული?...
მას აძებს, შვებას აძღვეს,
სულ სსვა გვარე გაზაფხულიყ...

ქნარი.

ა ღ ღ ო მ ბ ა

შუა დამე რომ შეიქა,
ვევლგან ატუდა წარის რეკა
და მახლობელ გორაკედან
წარბაწანმაც დაიჭექა.

ერი, ბერი, ერმა, მოსუცი
მიაშურებს ევლქიას,
რომ იქ შესვდეს ადგომილსა
თვის მეუფეს და მესიას.

ამავე დროს ქრისტე დიერთმა
მეისევე თავი დაიგვანა,
და ამ სხით მთი ურჯა
დაღესწაველი თვით ენახა.

ტანს ჩაიჭვა ძველი წოსა,
ფეხზე მეშის ქაღამები,
თავს უბრალო ნაბჯის ქუდი,
გაწეწელი ქონდა თიები.

შეკრია მიმავალ ბრბოს,
უკან სკია კვალ-და-კვალ:

და ტაძრის ერთ კუნტულში
შეუმჩნევლა იმიმალა.

სუდავს, მღვდელი კვლახტრებით
მხიარული ხაღსს წინ წარდგა
და ხმა მადლა მრევლს შესძახა:
„გიხარო ენ! ქრისტე აღდგა!“

როს დასრულდა წირვის წესი
და გათავდა ღიბანია,
ქრისტე დმერთსაც, ვი კაცთა
ქმნილს, მოწეურდა და მოემშია.

დადგა ტაძრის გარებთანა,—
მრევლს შეთხოვდა მოწეულებს,
მაცრამ ანვის არ აქტეუდა
მათხვარას უურადლებს.

დაჭყო ქრისტემ დიდი ხანი,
მღვდლის გასაფლელადგილს დადგა,
დაინახა სულის მხნელი
და შესძახა: „ქრისტე აღდგა!“

„გერმეტ მკვდრეთით აღდგომილი
შეპწევა შენს მარჯვენას,

ზირი გამახსნილები
სამშილისგან ძლივს ვძრავ ქანს!“

მღვდელმა მკვასეთ მიაცხა:
„მე ვინ მომცა ესდენ ძალა,
რომ გავაძლო საცა დაძრწის
შენებნ გლახა-მანწანწალა?“

მაშინა სთქვა ადღგომილმა:
„საღლა არის ჩემი მტნება?
როგორც ვსედაგ, შეუბღღავით
ჩემი სწავლა და მოძღვრება!“

არსად არის დღეს განკითხვა,
სუფევეს ვველგან ბნელწევიადი,
მამ როღისდა ეღირსება
ნაწამებ ხაღსს განთიადი?!

ვიდრე ხაღსი გაიღვიძეს
და დახწევეს თაკს ამ ტანჯვას,—
მირჩევიან, ღარ აღუდგე
და ჩავიდე ისევე საფლავს!..“

მონავარდე.

ნ ა ნ ა.

(მიბაძვა).

გლახის შვილო, რამ შეგაკროო,
რამ შეგაშინაო?
დედა არ გყავს,—მოგიაროს,
გიტხრას ნანინაო?
ობოლი ხარ, დედა შენი,
არ არის შინაო,
არც ვინ იცის, სად წავიდა
და სად აქვს ბინაო?
მამა მოვა, გულს ჰაგიკრავს,
გეტყვის ამბავსაო,
ტკბილათ მოგეაღერებო,
მოგცემს კაკასაო?
არა, ბიჭო, ფუნთუშელა,
ვერც მამას ნახაო,—
მტარვლის ხელმა ის განგმირა,
მიწას დამარხაო...
დედა შენი ქვეაზე შეცდა,
გაიჭრა ველსაო,
როცა ნახა რომ მის სახლკარს
აძღვევენ ცეცხლსაო.
პაწა კატო აქ არ არის,
სხვა ზდის სამადლოთო,
დღეს შენსავით მას ხხვა უვლის,
გდია საბრალოთო.
მშობლურ აღერს მოკლებული
იტანს ტანჯვასაო;
დედინაცვლის ჰანგზე გიმღერთ
ვინმე ნანასაო...
ნუ შეკრთები, ბიჭუკელავ,
დახუჭე თვალიო,
დაიძინე, გაიზარდე,—
წინ გიქეც ვალიო.
მამასავით ბრძოლა გელის,
შრომა, ვაებაო,
რომ ამ ბრძოლით მოიპოვო
ტკბილი ცხოვრებაო.
ალარ შეკრთე, პაწაწინავ,
მუღამ გამხსნედიო;
ხალხის მტარვალთ აწყველინე
გაჩენის ბედიო...
დაიძინე, გლახის შვილო,
შენ პაწაწინაო,
ამაოა, არ მოგემის
დედის ნანინაო.
მოვა დრო და თვით გაარჩევ
ბოროტ-მართალსაო;
და სიშართლის მოციქული
დასძლევ მტარვალსაო.
მამის მკვლელსა, დედის მტანჯველს

მოსთხოვ პასუხსაო;
დღეს თუ ტირი, ხვალ ივემებ
შენ სიხარულსაო...
ნანა, ბიჭო, გლახის შვილო,
თვალზე ყუყუნაო,
იავ ნანა, ვარღო ნანა, იავ ნანინაო.

დ. მეჩონგურე.

გამოსალმება.

მშვიდობით, ძმებო!.. ჯალათის ბრტყალებს
ვერსად წაუვალ. როგორცა ვხედავ,
ხვალ უნდა მომკლან, უნდა მაწამონ...
ნუ მიგლოვ მებრძოლს, მშობელო დედავ!..

მე მით ვამაყობ, რომ ჰირნათლათა
სახრჩობელიდან გადმოვიხედავ
და ერთხელ კიდევ განთიადისას,
უკანასკნელათ ზეცას შევხედავ.


მე შევასრულე, რაც რომ მეწადა...
მაშ შორს, ფიქრებო, შორს ჩემგან, სევდავ!..
არას ვინაღვლებ, ოღონდ ნუ მიგლოვ,
ჩემო ძვირფასო, მშობელო დედავ!..

ქ—რი.



მეგობრის საუბარი.

—რა გითხრა შენმა ცოლმა, წუხელ
რომ ღამის ორ საათზე დაბრუნდი სახლში?
— არაფერი.
— როგორ?! რათა?!
— მიტომ, რომ თითონაც სავ საათზე
დაბრუნდა.
— მერე შენ რაღა უთხარი?
— არაფერი.
— რათა?!
— თავისუფლების მომხრე და მოტრ-
ფიალე ვარ...
— მაშ „კრამოლნიკი“ ყოფილხარ!..!
— დიახ, ამ კითხვაში ვარ...



პოპულარიზებული განყოფილება

ძველი და ახალი.

ქვეყანაზე პირველათ ყველაფერი ახალია, მარა დროს განმავლობაში ყველაფერი ძველდება. ახალი და ძველი, ძველი და ახალი,— აი, რა შეადგენს ცხოვრების ჩარხს, აი, რა არის ცხოვრების წალმა-უკულმა ტრიალი.

ახალი თვალწარმტაცი, ცქრილა, მოუსვენარი, მგზნებარე, გულწრფელი, ჯანღონით სავსე არსებაა, ძველი კი, პირიქით, ულახათო, გამოფიტული, დახვეწილი, დინჯი და გულღვარძლიანია. პირველს მრავალგვარ სიკეთესთან ერთად ერთი ნაკლიც თან აქვს დაყოლილი: მას აკლია დიდათ საქირო გამოკთილება მეორეს კი ათასგვარ სიკუდესთან ერთი ღირსებაც მოეპოვება: ის გამოკთილებით არის აღკურვილი.

პირველ ხანათ ძველი და ახალი ერთად ცხოვრობენ, ერთმანეთს ეწყობიან. ამ ხანაში ახალი ჩვილია, ნორჩია, გონებრივად უსუსური და ძველის პატრონობას საქიროობს. მარა შევა თუ არა ის სიკაბუკის ასაკში, გაეცნობა თუ არა ქვეყნის ავან-ჩავანს, მაშინვე იწყებს თავისი საკუთარი გზით სიარულს და თან შორდება თავის აღმზღელ აპეკუნს. ამ დღიდანვე იწყება განხეთქილება ძველსა და ახალს შორის. ძველს არ მოწონს ახლის ურჩობა, მისდამი უპატივეცემლობა, განუსაზღვრელი თავისუფლებისადმი მისწრაფება, მისი მონამორჩილებიდან გამოსვლა და სხვა. ახალს კი ძველი ეზიზღება, როგორც მის მისწრაფებათა შემკვერელ-შემბოქველი გაბატონებული, მყველფელი ძალა. და აი, ამ ნიადაგზე იმართება მათ შორის სასტიკი ბრძოლა. ამ ბრძოლაში მკაფიოა უპირდაპირდებიან ერთმანეთს ძველი და ახალი რომელთაგან პირველი სიბნელისა და მყველფელობის წარმომადგენელია, ხოლო მეორე—სინათლისა და სამართლიანობის.

ახალი ძალა იბრძვის ვაშკაცურათ, თავგამეტებით, მარა სიჩქარისა და გამოუცთელო-

ბის მიზეზით პირველ ხანათ ხშირათ მარცხდება... მარცხდება, მარა გულს მაინც არ იტყვის, მომავალ გამარჯვების იმედს მაინც არ კარგავს, კვლავ ადრე იკრებს ახალგაზღვრულ ძალ-ღონეს და მწარე გამოკთილებით აღკურვილს მიაქვს მოწინააღმდეგეზე ახალ-ახალი მედვარი იერიშები. ამ იერიშებს ვერ უძლებს დახვეწილი ძველი ძალა და ის მარცხდება, მისი ბატონობა ისპობა.

სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი გამარჯვებული ახალი ძალა ადის ტახტზე, უდგება ცხოვრებას სათავეში და ატრიალებს მის ჩარხს თავის ნება-სურვილზე. ის აქ ადრე ეჩვევა ბრძანებლობა-ბატონობას, სამართალსა და სამართლიანობას თელავს, თავისუფლებას ზურგს აქცევს, ძველდება და მთლათ ემსგავსება თავის მტარვალ წინაპრებს ის რკინის რგოლს ავლებს აღუღებულ-აბობოქრებულ ცხოვრებას, დევნის და თრგუნავს ყოველ ახალ ძალას, მარა ცხოვრების ახალ ტალღებს მაინც ვერ ამავრებს და ადრე თუ გვიან მასაც წინ ექიმება მოწინააღმდეგე ახალი ძალა.

ასე წალმა-უკულმა ტრიალებს ცხოვრების ჩარხი, ასეთ დაუსრებელ დაძველება-განახლებას წარმოადგენს საზოგადოების განვითარების ისტორია. და ეს ასე იქნება, სანამ ჩარხის უკულმა მატრიალებელი პირობები და ძალები არ მოისპობა.

ყოველივე ზემოთქმულის დასამტკიცებლათ ისტორია აუარებელ ფაქტებს იძლევა, მარა დღეს, აღდგომას, მიემართოთ ჩვენ ქრისტეს სწავლა-მოძღვრებას და მოკლეთ გაიფიქრისწინათ მისი განვითარების ისტორია.

ძველ დროში, ორი ათასი წლის წინეთ თითქმის მთელ ქვეყანას სათავეში ედგა რომის უზარმაზარი იმპერია. მისი ბატონობა, რა თქმა უნდა, ჩაგვრა-ყველფაზე და უსამართლობაზე იყო დაყრდნობილი. ცხოვრება უკვე დაძველებული და ხავს მოკიდებული იყო და განახლებას საქიროობდა. ამ დროს პალესტინაში, რომელიც მაშინ რომის იმპერიის ნა-

წილს შეადგენდა, გამოჩნდა ახალი მქადაგებელი, რომელიმაც აღმართა თავისუფლების დროშა მტარვალთა წინააღმდეგ. ეს იყო უბრალო დურგლის შვილი იესო დაბა ნახარეთიდან. გაისმა ახალგაზდა მქადაგებელის წყნარი და მშვიდი, გულის ამატოკებელი ხმა: „ძირს ძველი ძალა, ძირს ბატონობა, ძირს მტარვალთა, ძირს ყვლეფა-ცარცვა, ძირს უსამართლობა. გაუმარჯოს ახალ ძალას, გაუმარჯოს სამართლიანობას, გაუმარჯოს თავისუფლებას“.

შეშფოთდა ძველი, დახვსებული ძალა, აყაყანდა მტარვალთა გროვა, ფეხზე დადგენ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, ერთი სიტყვით, ამხედრდა მთელი სახელმწიფო.

ახალი მქადაგებელი თავისი სწავლამოდღერებით დაუპირდაპირდა მთელ ძველ, ათასწლობით შექნილ, სწავლა-მოდღერებას, მთელ ძველ წესწყობილებას. გაიმართა სამკედრო-სასიცოცხლო უთანასწორო ბრძოლა ძველსა და ახალს შორის... იესო ცხადათ თუ ფარულათ ხან აქა და ხან იქ კრებს დაჩაგრულ, გაძვალტყავებულ ხალხს და თავისი მგზნებარე და მჩქეფარე სიტყვით აცნობს მას მისი უმწყო მდგომარეობის მიზეზებს და უთითებს მონური უღლის გადასაძრობ საშვალებაზე. სამი წლის განმავლობაში ის მოხერხებულათ და დაუღალავათ ეწევა თავის მოღვაწეობას. ის კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მტარვალთა და მყეფეფელთა მოქმედებას და თანდათან იკრებს თავის გარშემო ფანამოაზრეთა გუნდს. მისი ხმა უფრო და უფრო ძლიერდება და ეფინება მთელ არე-მარეს, მთელ იმპერიას. ძველი წესწყობილება რყევასა და ქანაობას იწყებს.

იესოს მტრები უკანასკნელ ძალღონეს იკრებენ და იუღდას საშვალებით იკერენ ახალ მქადაგებელს, „მავნე კრამოლნიკს“ და ჯვარს აცმენ გოლგოთაზე, როგორც ავაზაკს, როგორც მცარცველს... კლავენ მას, ასამარებენ, გულზე ლოდს ადებენ!.. ასე მარცხდება იესო, წყდება მისი ხმა და არე-მარეს აყრუებს მტარვალთა მხიარულება და სიცილ-ხარხარი.

ქრისტე საფლავმა ვერ დაიტია, მისმა მოძღვრებამ შეინძრია ქვესქელი, გაარღვია საფლავი, გადააგორა ლოდი და ამოხეთქა მჩქე-

ფარე ნაკადულათ, აღდგამკედრეთით და კვლავ ააფრიალა თავისუფლების დროშა. ეს დროშა მცირე, მარა თავ-განწირულ მებრძოლთა ხელში აწ უკვე აღარ ეშვება ძირს, თუმცა მის წინააღმდეგ ილაშქრება მთელი ძველი ძალა, ძველი რეჟიმი, ძველი წყობილება. უმოწყალოთ იყლიტებიან დროშის მტარებელნი, მარა გული მათი არ დრკება და ერთი წაქცეული მებრძოლის ადგილას ათი და ოცი ახალი დგება. ასე მედგრათ და თანდათანობით იკაფავს გზას ლატაკთა და დევნულთა მოძღვრება და მხოლოთ სამასი წლის შემდეგ იმორჩილებს ის საბოლოოთ თავის მტერთა და ორგულთა. ხანგრძლივი და უმაგალითო ბრძოლის შემდეგ ის შედის მეფეთა სასახლემში, მდიდართა სრა-პალატებში არა როგორც მონა, არამედ როგორც ბატონი, როგორც ბრძანებელი. ის ჯდება ტახტზე და ატრიალებს ცხოვრების ჩარხს თავის ნება-სურვილზე.

ქრისტიანობის გაბატონების და სახელმწიფო სარწმუნოებათ გამოცხადების პირველი დღიდანვე იწყება მისი თავდაღმართზე დიშვება, მისი შებლაღვა, დაქვეითება და გამტარვალება. აღრე არსდება საზიზღარი ინკვიზიცია, რომელიც უმაგალითო სასჯელებს იგონებს ადამიანის აზრისა და მისწრაფებათა შესამუსრავათ. ამუშავდება კოცონი, სახრჩობელა, მუხრუქი, მარწუხი, მანთი და „მართლ-მსაჯულების“ სხვა ასეთი საშვალებანი.

ამნაირათ, ჯვარცმული ნახარეველის უმწიკლო სწავლა-მოდღერება, რომელიც იწვევდა თავისკენ უძღლურთა და მაშვრალთა, რომელიც მდიდრებს ჯოცოხეთს უქადდა, ფარისეველთ და საღუკეველთ გმობდა და „ვაი თქვენდაო“ ეუბნებოდა, დღეს პირიქით ყველა ასეთი საზიზღოების მფარველათ გამოდის. დღეს ის ღარიბ-ლატაკს მხოლოთ სიტყვით ატყუილებს და სააქაო ჯოჯოხეთის მოთმინებით ატანას ურჩევს საიქიო სამოთხის დაპირებით.

დღეს ოფიციალური ქრისტიანობა ყოველგან, ყველა ქვეყნებში მტარვალთა იარაღს წარმოადგენს და სრულებით არა გაეს პირველყოფილ თავის უფალ, მებრძოლ ქრისტიანობას. ის დღეს სახრჩობელას უგზავნის

ლოცვა-კურთხევას მიტომ, რომ ის უკვე დაცვლებული და დახვეწებულია. ამიტომაც მის წინ ღღეს აღმართულია ახალი ძალა, ახალი მოძღვრება და უქადის გაწყენდას, განახლებას.

ჭალარა.



სასოგადო მიძიხილვა.

რეაქცია.

განმათავისუფლებელი მოძრაობისა ზვირთების უმაღლესი წერტილი 1905 წლის „დეკემბრის დღეებია; აი ამ დღეებში აღსხლტდა ფეხი რევოლიუციის, აი აქ უსწორო ბრძოლის, ყოველგვარი ჯოჯოხეთური ძალების და აუტანელი სიმძიმის ქვეშ „ჩაიმუხლა“ მან; „ჩაიმუხლა“ და ისევ წელში გამართვა მონღომა, მარა ეს „ჩაიმუხლება“, ჩაჩოქება სავალალოთ საბედისწერო გამოდგა: ხანგრძლივი „დადაბუნების,“ დავარდნის მოლა მასწავლებელი შეიქნა.

რეაქციამ კი ამით დემონისტური ფრთები გაშალა და ტარტაროზივით იწყო ხარხარი: 1906 წლის იანვარში ის მყისვე „ცეცხლითა მახვილით“ გადაერია მთელ რუსეთს. აი ეს იყო მისი პირველი ნაბიჯი, ეს იყო რეაქციონური ხანის დასაწყისი.

რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის ასეთ ვაგლახს კიდევ უფრო ხელი შეუწყო რუსეთის ნივთიერი წარმოების, ეკონომიური მდგომარეობის საერთო დაცემამ, საშინელმა კრიზისმა. ის გამოიწვია ერთი მხრით რუსეთი-იაპონიის ომში რუსეთის დამარცხებამ, მეორე მხრით კი საერთაშორისო აღდგომიციემობის შესუსტებამ სულ უფრო და უფრო გაამწვავა „სახალხო მოძრაობის“ ქარტესილი.

აი ამ დუხჭირ ეკონომიურ საფუძველზე აშენდა რეაქციის მრისხანე გამანადგურებელი ვითომდა ძლიერი, შეურყეველი სიმაგრე.

ხალხის ნივთიერი მდგომარეობის სულ უფრო და უფრო შევიწროებას თანდათან აღლიერებდა ერთი მხრით მთავრობისა და მსხვილი ბურჟუაზიის მიერ გამოცხადებული ხელო-

ვნური „ლოკაუტები“, რომლებითაც სურდათ უმთავრესათ მუშების, „შინაური მტრების“ მოძრაობის მოსპობა; მეორე მხრით თელი რუსეთის სივრცეზე სოფლათ მოდებჯლი მოკუსავლობა, გამძვინვარებული შიმშილობა, რამაც სოფლიდან ქალაქში მრავლათ შეყარა მუშახელი და მით ალაქის მებრძოლ პროლეტარიატს დამამკირებელი კონკურენცია გაუწია რამაც ისედაც მრავალ რიცოვანი უმუშევართა არმია საოცრათ გაამრავლა.

ვის არ ახსოვს პეტერბურგის, მოსკოვის, ლოდის და სხვა დიდი ქალაქების ქარხნების 1905—1906 წლების ლოკაუტები, ვის არ ახსოვს 1907 წლის აპრილში ყველა ქვეყნების კაპიტალისტების მიერ გამოცხადებული მებრძოლ პროლეტარიატისადმი მუქარა: არ გაბედოთ პირველ მაისობის გამართვა, თორემ „საერთო ლოკაუტს“ გამოვაცხადებთ და შემდეგ არც ერთ შენიშნულ მუშას სამუშაოზე არ მივიღებთო. სასაცილო იყო ეს მუქარა და ღირსეულათაც დააფასა ის მაშინ პროლეტარიატმა, მარა ყოველ შემთხვევაში ის კლასთა შორის გამწვავებულ ბრძოლას ბურჟუაზიის მხრივ ახალ ფორმას კი აძლევდა.

ნივთიერი მდგომარეობა, როგორც საზოგადოებრივი ჯგუფისთვის, როგორც ყოველი კერძო პიროვნებისათვის, ისე ხალხისათვისაც წარმოადგენს იმ საფუძველს, იმ საერთო წყაროს, ბაზისს, საიდანაც იშლება, იფურჩქნება მისი სულის კვეთება, მისი ენერგია, მისი მიდრეკილება.

პროლეტარიტი „დეკემბრის დღეებში“ ბრძოლის ველზე მარტოთ-მარტო რჩება; ბურჟუაზიამ მას უღალატა; მისი ნივთიერი მდგომარეობა წარმოების კრიზისებით, ლოკაუტებით, დამშეულო სოფლებიდან შემოსულ მუშახელის კონკურენციით და ამ სახით მოზღვევებულ უბედურებათა და გარემოებათა ძალით შევიწროებული უკიდურეს წერტილს აღწევს; ის თანდათან უკან იხევს და ბრძოლის ველს ძალაუფლებურათ შორდება, მარა—მწყობრათ, დარაზმულათ, გულგაუტყეველათ: ის 1907 წ. აპრილში პირველ მაისობას ისევ ძველებურათ „აღფრთოვანებით“ დღესასწაულობს.

რეაქცია კი—მძვინვარებას განავრძობს და

სულ უფრო და უფრო ძლიერდება: ის უპირველესათ „ცეცხლითა და მახეილით“ თავზარსა ცემს პროლეტარიატის მოკავშირეს—გლეხკაცობას—და მის ყველა თანამგრძობთ. „სახალხო მოძრაობის“ მოტრფიალე მოსწავლე ახალგაზღვრებს რაღაც ნაირი მატყუარა უკოლოური „ავტონომიით“ ხიბლავს და ამნაირათ ის ფიქრობს „მოძრაობისაგან“ მის ჩამოშორებას; გლეხკაცობა და წვრილი ბურჟუაზია მისი ძლიერებით დამფრთხალი მებრძოლ პროლეტარიატს ნივთიერ დახმარებასაც უსპობს. ძლიერდება რეპრესიები, ხშირდება ლოკაუტები, ვრცელდება უმუშევრობა და ყველა ამაებით მოქანცული მუშათა მასა იქსაქსება, ორგანიზაციებს ტოვებს. ტოვებენ აგრეთვე ორგანიზაციებს მებრძოლ რაზმების ზოგი ყაღბი ელემენტები და ავაზაკობის გზას ადგებიან. თვით პარტიულ „მუშაკაც“ კი უძლეველ პირობებისა გამო აშკარათ ემჩნევათ დასუსტება, მოდუნება, უხალისობა, უენერგიობა, გულცივობა და „თბილათ მოკალათებისათვის“ მზადება.

აი, ასეთ პირობებში, ცხადია, მებრძოლ პროლეტარიატს და მის პარტიას, სოციალ-დემოკრატიას, არ შეეძლო „სახალხო ბრძოლის“ გაგრძელება, არ შეეძლო რეაქციისთვის რამდენიმეთ მაინც გზა არ დაეთმო.

და დაუთმო კიდევ. მან ამ ბოლო ხანებში კავშირი თითქმის გაწყვიტა ისეთ დაწესებულებასთანაც კი, სადაც მას თავისი აშკარა წარმომადგენელი ეგულვება, სახელდობ სახელმწიფო დუმის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასთან.

რეაქცია, მემამულენი და ბურჟუაზია კი დღიდან თავისი გამარჯვებისა ხელი-ხელ ჩაკიდებული დაკარგული პოზიციების დაბრუნების ცდაში, ახალ-ახალ შემავიწროებელ ზომების გამოგონებაში და თავიანთი კავშირების მოწყობაში არიან გართული. მათი შურის-ძიება და მათ მიერ მუშების დევნა დღესაც არ შესუსტებულა.

მაგალ. გასულ წელს გაასამართლეს პირველი და მეორე სახელმწ. დუმა და შესაფერო მსჯავრი დასდო რეაქციამ ხალხის წარმომადგენლებს.

ასამართლებენ რეაქციონერთა სამსჯავროებში სხვა და სხვა „რესპუბლიკების“ მეთაურებს და ხელმძღვანელო, „მოძრაობაში“ მონაწილეობის მიმღებთ და ამათაც, რა თქმა უნდა, თავიდან იშორებენ: ბევრს ცივ ქვეყნებში გზავნიან და ბევრსაც სამუდამოდ სიკოცხლეს უსპობენ. ეს—რეაქცია რევოლუციას ასამართლებს, შესაფერო მსჯავრს სდებს და ამნაირათ, მისი აზრით, „სახალხო მოძრაობას“ საბოლოოთ სპობს!

მემამულეები და ბურჟუები, ამ ქვეყნის ბურჟუები მხოლოდ თავიანთი კლასის ეგოისტურ ინტერესებს დარაჯობენ და გაფაციცებით სარგებლობენ ქვეყნის ზემოთ დახასიათებულ პოლიტიკურ მდგომარეობით და „სახალხო მოძრაობის“ მოდუნება—შეჩერებით. განსაკუთრებით პროლეტარიატის დროებით ძალაუფლებური დასვენებით და მზათ არიან რაც შეიძლება მალე შეიღსონ ის დანაკლისი, რაც „განმათავისუფლებელმა“ მოძრაობამ და წარმოების კრიზისმა მათ მიაყენა.

ამ ბოლო ხანებში ბურჟუაზიამ დიდი რიხით მიიტანა იერიში რეაქციით ხელფებ შემორკილ მუშებზე და ყველგან შეეცადა წაერთმია მათთვის ყველა ის გაუმჯობესებანი, რაც „სახალხო მოძრაობამ“ მუშათა კლასს მიანიჭა.

ქირის შემცირება, სამუშაო დროს გადიდება იქ, სადაც ეს შესაძლებელია, სადაც არა—იქ ზედმეტი მუშაობა, ნარდათ და ნაქრობით საქმის აღება, „აკკორდი“, საათობით სამუშაო ქირის, ანგარიში დღიურის ნაცვლათ, აი რა ზომები მიიღო ბურჟუაზიამ თავისი „ზარალის ასანახლაურებლათ“.

ერთი სიტყვით, „სამათა კავშირი“—მთავრობა, თავადპუნაურობა და ბურჟუაზია—გამალებით მუშაობს „სახალხო მოძრაობის“ საბოლოოთ ამოხადებათ და თავის პოზიციის გასამაგრებლათ.

მარა, მათდა სავალალოთ და თავზარსაცემათ, ცხოვრების მიმდინარეობას ამ ბოლო ხანებში საწინააღმდეგო ნიშნები ეტყობა; მის წიაღში ახალი მოვლენები და ელემენტები ჩნდებიან და „განმათავის. მოძრაობის“ ძირფესვს და მის მასაზრდოებელ ძალას არა თუ

აქრობენ, არამედ პირიქით თან და თან და სულ უფრო და უფრო ზრდიან, აღვიძებენ, ამაგრებენ და ახლო მომავალში შესაძლოა ხდიან კვლავ „სახალხო მოძრაობის“ გაჩაღებას და კვლავ „იმედებით აღფრთოვანებას“.

რაში მდგომარეობს ეს მიმდინარეობა ან რა ნიშნებია ეს ნიშნები? ამაზე შემდეგ წერილში.

უანლენი.

როგორ უნდა უ... ავ

ლ. თ. სოციალიზმი?

ამ რამდენიმე თვის წინათ, ავსტრო-უნგრელმა ანტონ ბაუერმა აქ წამოყენებულ კითხვაზე თავის პარტიულ ორგანო „ბრძოლაში“ მეტათ საინტერესო საინფორმაციო წერილები დასტამბა. წერილები განსაკუთრებით იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ მათ არ აქვთ ადგილობრივი ხასიათი, არ არის ერთი რომელიმე სიხელმწიფოს მუშათა კლასისთვის შედგენილი; მათი მნიშვნელობა ყველა ქვეყნის პროლეტარებისთვის ერთნაირათ გამოსადეგი და სასარგებლოა. ამიტომ ამ წერილის სათაურში აღნიშნული კითხვის გარკვევის დროს უმთავრესათ ოტო ბაუერის წერილებით ვისარგებლეთ.

ვისაც უნდა მეცნიერული სოციალიზმი შესწავლოს, სოციალდემოკრატიულ პროგრამას საფუძვლიანათ გაეცნოს, მისთვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა ადოლფ ბრაუნის პაწია ბროშურა „მიზანი და საშუალება“ წაიკითხოს. წიგნაკში მოკლეთ და გასაგებათ განმარტებულია ჩვენი სადღეისო მოთხოვნები და მომავალ სახელმწიფოს წეს-წყობილება. კიდევ უფრო ფართოთ და მიზნის შესაფერათ განმარტებულია ჩვენი პრინციპიალური კითხვები კარლ კაუტკის და ბრუნო შეინლანკის მეტათ გავრცელებულ ბროშურაში „სოციალდემოკრატიების ძირითადი შეხედულებანი და მათი სადღეისო მოთხოვნები“. ვისაც ეს ორი ბროშურა წაუკითხავს, შეუძლია მერე ისეთი წიგნები წაიკითხოს, საცა უფრო ფართოთ და საფუძვლიანათ არის გარკვეული ჩვენი პარტიული პროგრამა. ასეთი წიგნია კარლ კაუტკის „ერთუბრით პროგრამა“, რომელშიაც

მეცნიერული სოციალიზმი შესანიშნავათ არის განმარტებული და რომლის შესწავლა დიდათ საჭირო და აუცილებელია.

სოციალდემოკრატიების პროგრამა არ არის ერთი რომელიმე კერძო კაცის გამოგონება, ერთი რომელიმე პარტიის კონგრესის დადგენილება, არამედ ის ხანგძლივი მეცნიერული შრომის ნაყოფია. ამიტომ ვისაც უნდა, ის სავსებით შეიგნოს, იმან უნდა მეცნიერული სოციალიზმის დამფუძნებელთა კლასიკური (საუკეთესო) ნაწარმოებნი შესწავლოს. მიზნის შესაფერი იქნება წაიკითხოს კაცმა ფერდინანდ ლასალის ცნობილი სიტყვა „მუშათა პროგრამა“. სიტყვაში ისტორიულათ გარკვეულია მუშათა კლასის მოძრაობა, აღნიშნულია, თუ როგორ დაიშალა საშუალო საუკუნეთა ფეოდალური საზოგადოება და მის ნანგრევებზე აღმოცენდა ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ურთიერთობა, რომელმაც თავის მხრივ წარმოშობა თანამედროვე მუშათა კლასის სოციალური მოძრაობა. ამნაირათ, ამ წიგნაკის წაიკითხვა გაგვიფართოებს ისტორიულ მეცნიერებას, შეგვაგნებებს ისტორიის მსვლელობის კანონს. აჰას შემდეგ თავისუფლათ შეგვიძლია წაიკითხოთ კარლ მარქსის და ფრიდრიხ ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი“, რომელიც დღეს მთელი სოციალდემოკრატიული მუშათა მოძრაობის თეორიულ მოძღვრების ქვიკუთხედს შეადგენს. „კომუნისტურ მანიფესტიდან“ პირველათ შემდეგი თავები უნდა წაიკითხოთ: I. ბურჟუაზია და პროლეტარიატი, II. პროლეტარები და კომუნისტები, IV. კომუნისტთა სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებთან დამოკიდებულება. ამ მანიფესტის მესამე თავი (სოციალისტური და კომუნისტური ლიტერატურა) მდამოკითხვებებისათვის საერთოთ ძნელი გასაგებია, რადგან ამის გაგება ისტორიის წინასწარ-კოდნა-მომხადებას თხოულობს. ამ თავში მარქს-ენგელსი ძველ სოციალისტების სწავლა-მსოფლმხედველობას კრიტიკულათ ეხებიან და თავის მსოფლმხედველობას უპირდაპირებენ, ამ კითხვის შესასწავლათ უნდა წაიკითხოთ ფრიდრიხ ენგელსის ცნობილი წიგნაკი „მეცნიერული სოციალიზმის განვითარება“. წიგნაკში პოპულიარულათ (გასაგებათ) გარკვეულია, თუ

როგორ და რა ნიადაგზე აღმოცენდა „კომუნისტური ანიფესტის“ მიერ დასაბუთებული სოციალიზმი და აგრეთვე კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარებული მთელი ძველი უტოპისტური სოციალიზმი.

ჩვენ მიერ დასახელებული წიგნების ზედმიწევნით შესაგნებათ საქირთა ვიცოდეთ ამ ნაწარმოებთა ისტორიული წარმოშობაც. ამ შემთხვევაში დიდ დახმარებას გავციწვეს ფარც მერინგის „გერმანიის სოციალდემოკრატიის ისტორიის“ წაკითხვა.

ჩვენი აზრით, სოციალდემოკრატიულ მსოფლ-მხედველობის პირველ შესწავლისათვის სრულიად საკმარისია ზევით დასახელებული ნაწერების გაცნობა. ვისაც უნდა უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეითვისოს ეს მოძღვრება, მისთვის აუცილებლათ საქირთა პოლიტიკური ეკონომიის და სოციოლოგიის სხვა დარგების შესწავლაც. აქ ჩვენ პირველათ უნდა წავიკითხოთ მარქსის „საქირთა შრომა და კაპიტალი“, სადაც მდამიოთ განმარტებულია საქირთა შრომისა და კაპიტალს შორის ეკონომიური ურთიერთობა ლასალის ნაწერებიდან საქირთა წავიკითხოთ „ბასტია-შულცე“, რაც მუშათა პროგრამიდან შეთვისებულ შეხედულებას უფრო გააღრმავებს და გაათართობებს. დაბოლოს, საქირთათ ვსვლი გავეცნოთ ენგელსის წიგნს: „მუშათა მდგომარეობა ინგლისში“, ამ წიგნში ისტორიულათ არის განხილული სოციალიზმის და მუშათა მოძრაობის უმთავრესი პრობლემა, რომელიც შემდეგში „კომუნისტურ მანიფესტში“ უფრო ვარკვეულათ და ვადაქრით არის განმარტებული. როგორ უნდა შევისწავლოთ კლასთა ბრძოლის ისტორია,—ეს შემდეგ წერილში გვექნება.

შვარცი.

„ნ ა კ ი რ ა ლ ი ზ ნ ა ი შ?“

(მოგონება ახლო წარსულიდან)

I

1905 წლის 19 ოქტომბერს ჩვეულებრივი საღამო იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოღრუბლულ ცას და სიცივეს. სხვა-მხრივ კი შეენიერი იყო ეს საღ მო, რადგან

ყოველ-დღე გაუხარელი, გამწარებული ხალხი,—ახალი ამბებით, ახალი იმედებით ტკეზბოდა.

ხარობდა ქალი და კაცი, უფრო კი ახალგაზდობა. მოხუცებულთა მეტ ნაწილს არ სწამდა ახალი ცხოვრება და ვერ სთმობდენ ძველ, შეჩვეულ, ძვალ და რბილში გამჯდარ პირობებს. უიმედობით შესცქეროდენ მომავალს დრ ხშირათ შემოგჩივლებდენ:—ბიძავ, ძალათ არაფერი ვაკეთდება, ჩვენ დავვიჯერეთ, უფრო ვამოციოილებს! მარა იმათ არავინ უჯერიდა და—ისინიც ძალა-უნებურათ საერთო ფერხულში მონაწილეობას ღებულობდენ.

ს. შ-ის კანცელარიაზე დიდი მიტინგი იყო გამართული. ვინ ვინდოდა, რომ იქ არ ყოფილიყოს: მამასახლისი და „პოპოშნიკი“, თავადი და გლეხი, ბერი და მღვდელი. ყველა ტაშს უკრავდა, ვაშთი ავილდოვბდა, ყველა აღტაცებით შეცქეროდა ტრიბუნაზე ამსვლელ-ჩამმოსვლელ ორატორებს—ქალსა და კაცსა.

ორატორები ცეცხლს აფრკვევდენ: ლაპარაკობდენ ძველი წესწყობილების უფარვისობაზე, ცხოვრების განახლების საქირთაზე, ბიუროკრატიაზე, მასთან ბრძოლაზე, ბრძოლის საშვალეზაზე, მომენტის შესახებ, ჯართან შეტაკებაზე და სხვა

მიტინგი დაიშალა. როცა დადამდა და არე-მარეს ბნელი მოედო,—დსავლეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-ჩრდილოეთიდან მოისმა მწყობრი რევოლიუციონური სიმღერები. მამაკაცის მოძახილს წვრილათ შეკაკანებდა ქალის ნარნარი ხმა და მედგრათ გუგუნებდა მოხუცის დინჯი ბანი. და ამ საერთო ჰარმონიულ, აღმაფრთოვანებელ სიმღერას გუგუნი ვაჰქონდა სოფლის მიდამოებში.

მიტინგიდან სახლისაკენ თავჩაქინდრული მიეშურებოდა ათანასე რომელსაც ბზის მოკლე ჯოხი მარჯვენა მხარზე ვადაედო და ჩოხის კალთა შემოეკაპიწებია.

—რაცხა კი იქნება... ან კი და ან გლახა!—სახლში შესვლისას შეილაპარაკა ათანასემ, ჯოხი კუთხეში მიავდო, ცეცხლის პირათ „ჯორკოს“*) ფეხი წაკრა ვაჯავრებით:—

*) სკამის მაგიერი დაბალი საჯდომი.

ვერ გამოსწიეთ, ჯორკი რომ იწობაო, — და ახალუხის კალთით ოფლი მოიწმინდა.

— რა იყო, კატო, რამ გაგაბღიზინა? ახალ თაობას ხომ არ ემღურა? — ირონეულათ კითხა ტასომ და ცეცხლს შეუკეთა.

— შენ კაცი არ გეკითხება, შენდა იყავი!.. უკეთესია ერთიცახე ხეფსი ¹⁾ მოიტანე, თუ რამე გაქ... ელენაი სად არის?.. გოგილოსას იქნება, რალას ვკითხულობ: რაცხას ბჟუტურობენ ²⁾ ალბათ. აგერ არ ვნახავ, რაცხა გამოვა!.. „უჩნი მ უშვი ნებასო და შეყვარება მცნებასო“... თქვენ, მოხუცები, რას აკეთებთო? ჩადეკით ჩვენ რაზმში, მოგვემართო, ერთობით დავამარცხოთ მტერიო!.. კაი დაგემართოს, კაია მტერის დამარცხება, მარა იმას კი არ კითხულობენ, თუ რაით!.. ნაჯახი, წალდი და ბარი დევიკავოთ ხელში? ან და დევიკავე ფილითა ³⁾ და ჩარჩმით ⁴⁾ გაეცი პასუხი ბერდენას, ვინტოვკას და ზარბაზანს. შენი თავი მიცოცხლა ღმერთმა! თქმა, იცოცხლე ადვილი, იყოს, ქნაი არის ძნელი თვარა... ეჰ, რაცხა კი იქნება! ხვალ ნასაკირალზე ⁵⁾ უნდა წვედიდეთ! ვნახოთ... ა დათვი და ა კვალი — ასე ლაპარაკობდა ათანასე. ტასო კი ვახშამს ამზადებდა. ამ დროს გაფართქალეზულ-გახარებული შევნიერი ელენა წიგნებით იღლიაში სახლში შემოსრილდა; ჯერ დედას აკოცა, მერე ათანასეს მოკვია ხელები და ნაწყვეტ-ნაწყვეტათ დაიწყო ტიტინი. მამილო, დედილო, ხვალ უნდა წვედიდეთ! ყველაფერი მზათ არის!.. გოგილოსას კრება იყო ახლა და ბეშტიამ „დოკლადი“ გააკეთა, თუ რამდენი იქნება მტერი, ვინ ეხლება, ან საით, რომელი გზით წავლენ... ნ — საკენ აპირობენ და მოსახვევში ხიდან არის პოზიცია არჩეული... ყველა მიდის, ყველა!.. ჩვენც წავალთ, ჩვენც, მამილო! შენც დედი!.. მე და კატო „სესტრათ“ დავენიშნეს. ჩვენთან სტუდენტი იქნება, იმან კარგათ იცის ექიმობა, კრილობებს შეეუზხვევთ დაკოდილებს...
ელენეს გრძნობით ლაპარაკი და აღტაცება მსმენელთაც გადაედვა და ათანასეს მო-

ღეშული სახე ცოტათი გაუბრწყინდა; მან თავის მეუღლეს ტასოს ხუმრობით მიმართა: —
—ა, შენი ახალი თაობის ციციანი!.. ⁶⁾), რაზედაც ტასომ უბასუხა: როგორც ჩემია, ისე შენი არისო.

ბევრი აღარ დაუყოვნებიათ. ვახშამი მზათ იყო და შეუდგენ კიდევ ვახშამობას. სამივე სდუმდა, თითქო მათი აზრი, ქოხიდან გამოსული, ჩასასაფრებელ ადგილს ათვალეირებდა, პოზიციათ თავს დასტრიალებდა, მარა სიჩუმე დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ვახშამი გაათავეს. ათანასემ ფრჩხილით კბილის ჩიჩქნა დაიწყო და თანაც ჩაილაპარაკა:

— რაც კარგია, კარგია, მარა ისე რომ არ დაგვემართებოდეს, ნათქვამი რომ არის: „რეგვენი საქმეს წაახდენსა“ ფათარაკს დააბრალებსო“, უკეთესი იქნება. ვნახოთ, რაცხა კი იქნება!

ტასომ სუფრა ⁷⁾ არეკა და კუთხეში მიაცუდა. ძალი და კატა ნასუფრალზე ერთმანეთს წაეკიდენ. მურამ დაუღრინა, კატამ ბრქვალი გაჰკრა, ატყდა კნავილ-ღრენა. უთუოთ დაკაწრადენ ერთმანეთს, ათანასეს რომ ცოცხი არ დაერტყა მურასათვის და კარში არ გაეგდო, თუმცა მურა კულ-ამოძუებული ისევ შემოძვრა ფარულათ სახლში.

— ელიკო, ელიკო!.. მოისმა ქალის ხმა და ელენეც მოწყვეტით გამოვარდა გარეთ.

ეს იყო კატო, რომელსაც აფთიაქიდან ბამბა და კრილობის შესახვევი დოლბანდი მოეტანა, ნაწილი თავისთვის დაეტოვებია და ნაწილი ელენეს გადასცა. ეზოს კიშკართან დიდ ხანს ჩურჩულებდენ და კისკისობდენ ეს გოგონები.

— ხვალემდის, ამხანაგო! — ერთმა მეორეს გადასძახა და ელენეც შემოვიდა სახლში.

დ. ელპიტოშვილი.

(შემდეგი იქნება)



¹⁾ საქმელი. ²⁾ ლაპარაკობენ ³⁾ საჩიტე - თოფი ⁴⁾ საფანტი. ⁵⁾ აღბლის სახელის გურიაში.

⁶⁾ ქალიშვილი.

⁷⁾ დაბალი, კიწრო და მძელი სტოლი.



როტ-რ

საქართველოს „მოღვაწენი“
 ეძლევიან განცხრომასა,
 კვერცხებითა ულოცავენ
 ქრისტეს მკვდრებით აღდგომასა.

ესდგებზე ავრცელებენ
 სიცრუეს და კორებს მყაროსა,
 ერთი სიტყვით, მიღვაწობენ,
 ვით შეფერის ჭკუა-მწყურალსა.

რედ.-გამომცემელი პლატონ გაჩეჩილძე.

13 აპრილიდან თფილისში გამოდის განახლებული იუმორისტულ-პოპულიარული
 უოველჰვირეული ნახაბიბიანი უურნალი



„ეკალი“



ეურნალში მონაწილეობას იღებენ: ა. — ივ. გომართელი, შვარცი, რაუდენიძე, ვა-
 ლენტინ, უანლენი, ჭალარა, ნ. ხ., ი. ნიკოლაიშვილი, მონავარდე და სხვები.

ეურნალში აწის ორი განყოფილება: იუმორისტული და პოპულიარული. პირველ განყოფილე-
 ბაში დაიბეჭდება უოველჰვირე იუმორისტული ნაწარმოები: ლექსები, კუზლეტება, სტენები, სურათები,
 კამედეები, ანეკდოტები და სხვა. მეორე განყოფილებაში — მდაბათ დაწერილი წერილები: ზოლი-
 ტიკურ ეკანომიდან, ბუნების შეტნიერებიდან, მედიცინიდან და სხვა; შესანიშნავ მწერალთა და მო-
 ღვაწეთა ბიოგრაფიები, სურათები, ბაბლიოგრაფიები და სხვა.

ეურნალი ღირს 1 წლით 5 მან.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

კორესპოდენტებს და თანამშრომლებს მიეცემათ შესაფერო ჭონორარი მხოლოდ იმ შემთხვევაში,
 თუ წინდაწინვე გვაცნობებენ თავის ზირობას.

დასაბეჭდი წერილები ერთ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი გაწვეული ხელით.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ. Тип. „Сорапанъ“ Александру Мумладзе
 „ეკალის“ ძველი ნომრები ერთათ შეკრული იყიდება 50 კაპ.

ელექტრო-მბეჭდავი აზხ. „სორაპანი“, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა, № 1.

მეკალი

№ 2 იუმორისტულ-პოპულარული ჟურნალი 1908 წ.

რედაქციის სახელით
მოულოდნელი ტენსიური დაბრუნების გამო ეს
ნომერი ნაბეჭადი და უკარგობით გამოდის.



გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი .

ბეკეტების საეურობდებო!

„მეკალის“ რედაქცია უკანასკნელათ თხოვს ბათუმის, ჩოხატაურის, ქიათურის, მიხაილოვის და სხვა აგენტებს, დაჩქარებით გაგვისწორონ მათზე დარჩენილი ანგარიშები, თორემ რედაქცია იძულებული იქნება, გამოაცხადოს მათი სახელი და გვარები, მათ საქციელს შესაფერი სახელი უწოდოს და ანგარიშები კი სხვა საშუალებით გაასწორებინოს.

სააღდგომო ვიზიტები

აღდგომა დღეს სავიზიტოთ
ჩამორება მოვისურვე,
ყელს შევიბი თეთრი ბანტი,
თავს ცილინდრი დავიხურე.
ღრუბლიანი დარი იყო,—
საწვიმარი მოვიხურე,
კონიაკი გადავკარი
და მით გული გავიხურე.
ფაიტონი მოსრილდა,
შიგ ჩავბძანდი, ვით ბურკუა,

და ვიფიქრე: „ქვეყანაზე
 რათ არის, რომ ყველა სტყუა?
 თვალთ-მაქცის და ფარისევლის
 სათვალავი ნეტა თუა?
 ვინც სინდისი გადმოტერა,—
 ის სინდისზე მუდამ ბზუა!“..

გავიჭიმე ფაიტონში
 და ვესტუმრე გუნთასა,
 „ნიშადურის“ ბატონ-პატრონს,
 ვინც აშტერებს ღუნთასა...
 მეტ სახელათ ეძახიან:
 „ლგუნთას“ და „ღუნთასა“,
 ჩემდა თავათ მე ვეძახი:
 „ესდევების წუნთასა“.

ზალის კარი რომ შევადე,
 „მოღვაწეთა“ ვნახე კრება,
 მართალს გეტყვით, მათი ნახვა
 სრულებით არ მენატრება.
 სტოლი იყო საადღგომო
 ტურფა რამეთ მოკაზმული,
 ყველაფერი ზედ ელაგა,
 რასაც ნატრობს სული, გული!..

ეროვნული საქმელებით
 საესე იყო კილით-კიდე;
 ნეტარებას ყველა გრძნობდა,
 კახურისა გადაშკიდე.
 ასეთ კრების დანახვაზე
 უცბათ შევეკრთი, დავიბნიდე,
 მარა ჩქარა გამოვეკრევი
 და გონება მოვიზიდე.
 „ქრისტე აღდგა“—მიეულოცე
 ყველა იქ მყოფ „მოღვაწეთა“:
 აკობიას და ილიკოს,—
 თავდადებულ მიწამეთა;
 „ბატონსა“ და ფირცხალავას,—
 ხალხის მსხნელთ და მოწყალეთა;
 იასა და „ხეობელსა“,—
 საქართველოს დარაჯ-მცველთა.

გადავკოცნე არჩილიცა,
 მოვიკითხე ძველი „ლალი“,
 ვილაც მღვდელიც ბძანდებოდა,
 მარა ავარიდე თვალი.
 ამ „მოღვაწეთა“ აშვენებდა
 ზოგს ჩოხა და ზოგს ქულაჯა...
 რაი მერე, იმათ ხელში
 ეროვნული არის მაჯა.

თუმც ხალხი მათ არ აფასებს,
 მაინც არ შურთ შრომა-გარჯა!..
 ისიც ვნახე, ზოგიერთი
 ხალხს თხოვნით რომ დაედლარჯა.
 ტოლუმბაშათ, რა თქმა უნდა,
 კაცი იყო მოსაწონი,
 მეცნიერთა-მეცნიერი,
 ბრძენთა-ბრძენი თვით „ბატონი“,—
 ხან ანარქო-კომუნისტი,
 ფედერალთა ხან პატრონი,
 ესდევების ცოდვა-მადლის
 ყალბ სასწორზე გადმომწონი.
 წინ ელაგა ქართველურათ
 ყანწი, ჯიხვი, კულა, თასი,
 ოქრო-ვერცხლით მოქედილი,
 ძველებური და ძვირფასი.
 ზეწამოდგა ტოლუმბაში,
 ანგელოზის დასამზავესი,
 და წარმოთქვა: „ყმაწვილებო,
 თუმც დღეს ხალხში არ გვაქვს ფასი,
 მარა მწამს, რომ საბოლოოთ
 ჩვენ გავიტანთ მაინც ლელოს
 და დავძახოთ ჩვენებურათ:
 გაუმარჯოს საქართველოს!“..

ეს ხმა ტკბილი მოეფინა
 ჩვენი ქვეყნის მთას და მდელს.
 და ხმა მოსცა ანარეკლი
 ამ ეროვნულ სადღეგრძელოს.
 დაფა-ზურნამ შეასრულა:
 „ყოჩაღ, ყოჩაღ! ვაშა, ვაშა“
 აკობიამ ტაში დაკრა,
 გამობტა და ითამაშა.
 საცოდავით აბანცალდა,
 იბტუნა და იფარფაშა...
 და იმასაც მიაქახეს:
 „აფერუმ“ და „ვაშა, ვაშა!“..
 მასპინძლისა სიხარულსა
 ეტყობოდა გულ-წრფელობა,
 საქებია ვალიკოსი
 ჰურ-მარილი და ქველობა.
 მასპინძელმა მოიმარჯვა
 დიდი ყანწი, ღვინით საესე,
 და დაიწყა: „ესდევები,
 ქრისტე ღმერთო, შენ დაავსე!..
 „ნიშადურის“ მკითხველები
 გაამრავლე, აათასე,

ჩემი ღვაწლი, ჩემი შრომა,
მეუფეო, დააფასე!
გადმოხედე ჩემს „ნიშადურს“,
მოეც ძალა, მოეც ღონე
და მით ყველა ჩვენი მტრები
დაამწუხრე, დააღონე!“

რა თქმა უნდა, აქაც დაკრეს
კიდევ ზურნა, კიდევ დაფი
და, ეს არის, მეც მიწყდება
მოთმინების უკვე ძაფი.
აღარ ძალიძის მოვისმინო,
თავში ტვინი გადაბრუნდა!..
წავალ, სხვებსაც ვესტუმრები,
იმათაც ხომ ნახვა უნდა.

კრიმანჭულაძე.



კვირიდან-კვირამდე

ურწმუნო თომა. საჯაყი საქმე.

ღღეს ურწმუნოთა კვირის პირველი ღღეა.
როგორც საღმრთო წერილი მოგვითხრობს,
ქრისტეს თორმეტ მოციქულებში ერთი ხომ
მოღალატე, გამცემი იუდა ერია, ხოლო მეორე
ურწმუნო თომა. პირველმა გასცა თავისი
მასწავლებელი, მტრებს ჩაუგდო ხელში და
მით გოლგოთაზე აიყვანა, ჯვარს აცვა, მოკლა
და დასამარა ის, ხოლო მეორემ არ დაიჯერა,
არ ირწმუნა მასწავლებლის საფლავიდან ამო-
სვლა, მისი მკვდრეთით აღდგომა.

რამდენათაც იუდას მოქმედება საზიზღარი და
შემადრწუნებელია, იმდენათ თომას საქციელი
მოსაწონი და საქებაა. თომამ ექვის თვალთ
შეხედა თავისი მასწავლებლის საფლავიდან
ხორციელათ აღდგომას, უკვე გაცემული
გვამის გაცოცხლებას. ცხადია, მას თავისი
მასწავლებელი მომაკვდავ ადამიანათ მიაჩნდა
მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ის ახალი
სწავლა-მოდღერების წარმომადგენელი იყო,

რომ ის მხოლოთ შესანიშნავი ადამიანი იყო,
რომელსაც სასწავლის ქნა, შეუძლებელის შეძ-
ლება არ ძალ-ედდა.

საღმრთო წერილს თუ დავუჯერებთ,
თომას გამოცხადა მკვდრეთით აღდგომილი
ქრისტე, უჩვენა მას ხელებზე და ფეხებზე
ნალურსმალი ქრილობები და ამით გაფანტა
მისი ურწმუნოება, მისი ეჭვები. ეს მართლა
ასე იყო თუ არა,—ალახმა უწყის, გადაქრით
არც დედასტურება შეიძლება ამისი და არც
ვარისყოფა. თუ ქრისტე მკვდარი იყო, როცა
დასაფლავეს, ცხადია, ვერ გაცოცხლდებოდა,
რადგან მეცნიერება ასეთ აღდგომა-გაცოცხ-
ლებას ვარს ყოფს, ხოლო თუ მკვდარი არ
იყო და სიცოცხლის ნიშნები კიდევ ეტყობოდა,
შესაძლებელი იყო მოსულიერებულიყო და
მეგობართა დახმარებით კიდევ გამოსულიყო
გამოკვამული საფლავიდან. ეს კითხვა ღღემ-
ღის გადაუქრელი და საკამათოა, მარა ის კი
ცხადია, რომ ურწმუნო თომა დარწმუნდა
ქრისტეს სწავლა-მოდღერების განუზომელ
სიდიადეში და მხურვალე მონაწილეობა მიიღო
მის გავრცელებაში.

და მეც, ღღემღის ურწმუნო, ღღეს გა-
დაქრით. დავრწმუნდი ჩვენი „სოციალისტ-“
ფედერალისტების და მათი გაზეთების არა-
რაობაში. ხშირათ მინახავს ისინი უხეცხულ და
სამარცხენო მდგომარეობაში ჩაყენებულნი, რო-
გორც თხლეზე დაქერილი ქურდი, მარა კიდევ
მწამდა, კიდევ ვფიქრობდი, რომ უნებლიეთ ან
შეუფერებლათ ჩაღიან ასეთ საქმეებს-მეთქი.

მოგეხსენებათ; „სოციალისტ“-ფედერა-
ლისტები სამკდრო-სასიცოცხლოთ გბრძვიან
სოციალდემოკრატიას და არავეთარ ხერხსა და
საშვალეებს არ თაკილობენ, ოღონდ კი რამე
ჩირკი ჩამოსცხონ, რამე ვნება მიაყენონ და
სახელი გაუტეხონ მას. ზოგჯერ მეც მიფიქ-
რია: სანახევროთ მაინც მართალს სწერენ,
თვარა ამდენი დაუბოლოვებელი ტყუილების
თქმას და მოგონებას როგორ იკადრებენ-მე-
თქი. ჩემი მადათმი რწმენა უფრო გაძლიერ-
და, როცა ისინი სხველმწიფო საათათბიროს
დებუტატი კარლო ჩხეიძის სიტყვებს კრიტი-
კულათ შეეხენ და დაგმეს. მეც ვფიქრობდი
კარლო ჩხეიძეს თუ მეტი არაფერი უთქვამს,

რაც დევნებში იყო გადმოცემული და სატახტო ლიბერალურ გახეობებში აღნიშნული, სწორედ დასაგმობი და სასაცილო ყოფილამეთქი. მისი სიტყვები პოლშის ავტონომიის შესახებ, დამშეულთა საკითხის შესახებ და ჩვენებური შკოლების შესახებ მართლა ისე იყო გადმოცემული დევნებში, რომ მისი ავტორი იმედს უტრუებდა თავის ამრჩევლებს, სახელს უტეხდა სოციალდემოკრატიას.

და აკი მოხერხებულათ ისარგებლეს ფედერალისტებმა დეზ. ჩხეიძის მოჩვენებული უვარგისობით. სიხარულით ცას ეწიენ ეს საბრალონი, დაკრეს ბუკსა და ნაღარას და რა არ მოჩმახეს, რა არ წაუმატეს თავისი მხრით იმ დამახინჯებულ ცნობებს!.. ახლა გამოჩნდა, რომ ამ ნაცარქეჩიებს ნაცრის ბღღვირი აუყენებიათ თავის „ეროვნულ“ კერასთან, ამ ბღღვირით თვალები ამოვსებიათ, დაბრმავებულან, სასაცილო მდგომარეობაში ჩაცვინულან და მით საჯაყი საქმეც მოსვლიათ!..

საქმე ისაა, რომ სათათბიროს სხდომების სრულ სტენოგრაფიულ ანგარიშებს ბეჭდავს მხოლოდ ოფიციალური ორგანო „როსია“, სადაც დეზ. ჩხეიძის სიტყვებიც უცვლელათ არის დაბეჭდილი. ამ ანგარიშებიდან ვტყობილობთ, რომ დეზ. ჩხეიძეს ყველა ზემოჩამოთვლილ კითხვების შესახებ ულაპარაკია ვრცლათ და დასაბუთებულათ. მის სიტყვებში ბევრი ისეთი აზრებია გატარებული და დასაბუთებული, რის განგებ გადაფუჩეებას აბრალევენ მას ჩვენი ფედერალისტები. მე მეგონა, რომ მათ რამე საბუთი ქონდათ, როცა ასეთი რიხით ილაშქრებოდენ ხალხის წარმომადგენლის წინააღმდეგ, მარა, ვაი სირცხვილო, აქაც თურმე ჩვეულებრივ ქარის წისქვილებს ებრძოდენ ეს უბადრუკნი, აქაც თურმე ხელთოფელათი იბრძოდენ ეს უიარაღო მებრძოლნი!

ყოველივე ეს მე მხოლოდ დღეს გავიგე

და ვნანობ დღემდის რათ არ ვიკოდი-მეთქი, მარა ვნუგეშობ მით, რომ ფედერალისტებმა ეს დღესაც არ იციან. აბა ვნახოთ, რას იტყვიან ეს „მოღვაწეები“, როცა გაზეთ „როსია“ს ნომრებს ჩაიგდებენ ხელში და იქ თავისი „ლამაზი თვალებით“ წაიკითხავენ დეზ. ჩხეიძის მათ მიერ ყბათ აღებულ სიტყვებს.

უკულმართი



ქრისტე ქადაგობს.

პოპულარიზებული განყოფილება

ზ ი რ ე ე ლ ი მ ა ი ს ი

რუსეთი ყველაფერში ჩამორჩენილია. ჩამორჩენილია დროთა აღრიცხვაშიაც. მისი კალენდარი 13 დღით უკანაა ევროპისაზე. ამიტომ იქ პირველი მაისი ჩვენებურ 18 აპრილს მოდის. მაშ, იქ დღეს 1 მაისი უკვე შესრულებული ფაქტია, იქ პირველ მაისობის დღესასწაულობა მუშათაგან უკვე დათავებულია.

მარჯ რათ დღესასწაულობენ 1-ლ მაისს? ვინ ან რათ უქმობს მას?

1-ლი მაისი--ეს მუშათა დღესასწაულია. ის არაა რომელიმე გმირის ან წმინდანის დღესასწაული, ის არ არის რომელიმე გენიოსის მოგონების დღე, არა, ეს მთელი კლასის, მთელი პროლეტარიატის, ამ გმირთა გმირის, დღესასწაულია. მას უქმობს მხოლოდ ის, ვინც ამ მასას ეკუთვნის, ვინც მშრომელთა ბანაკში იმყოფება.

ეს დღესასწაული დიდი ხანი არაა რაც დაადგინეს. 1889 წელს პარიჟში შეიკრიბნენ მუშათა წარმომადგენლები ყველა ქვეყნებიდან მუშათა კლასის საერთო კითხვების გადასაჭრელათ, მათი ინტერესების ერთიანობის და საერთაშორისო სოლიდარობის გასამტკიცებლათ. მათ შეიმუშავეს ის, რაც აუცილებელია მთელი ქვეყნის მუშებისათვის, ყველა მავრალთათვის: 8 საათის სამუშაო დღე, მუდმივი ჯარის გაუქმება, საყოველთაო არჩევნების შემოღება და სხვ. და ამით მათ საფუძველი ჩაუყარეს ახალ ინტერნაციონალს, საერთაშორისო მუშათა სოციალისტურ პარტიების კონგრესებს და სწორედ ამ სოლიდარობის ნიშნათ, ამ ერთობის გასამტკიცებლათ მიიღეს წელიწადში ერთი დღის დღესასწაულობა.

პირველათ ასეთ დღეთ დასახლებული იყო პირველი ეკენისთვე. ამ დღის დღესასწაულობას იცავდნენ ამერიკელები, რომელთაც ერთი წლით ადრე მოუვიდათ ახრათ მუშათა დღესასწაულის დაარსება, მარა კონგრესმა მიიღო რა მათი მართალი აზრი, ვარყო. ეს

დღე და დაადგინა სადღესასწაულოთ პირველი მაისი. ამის საბუთი სულ უბრალო იყო.

მაისი გაზაფხულის თვეა; სექტემბერი კი შემოდგომის; პირველი განახლების, აღორძინების, აყვავების, აფერადების წინამორბედია, მეორე დაქნობის, დაშეშების, გაცვეთის, სიცივის წინამორბედია და ამით უფრო იმ კლასებს მოგვაგონებს, რომელნიც ბერდებთან, წარსულისაკენ იცქირებიან, ისტორიისთვის ჩასაბარებლათ ემზადებიან და არა მუშა კლასს—ამ ამომავალ გაზაფხულს კაცობრიობისას; რომელმაც უნდა გაქედოს მისი ბედნიერება და საბოლოო კეთილდღეობა.

მეორე მხრით 1 მაისის დღესასწაული ევროპაში და ჩვენშიაც მუშათა წინაპრების—ხელოსნების—ჩვეულება იყო, რის ნაშთები ჩვენში დღემდისაც არის დარჩენილი.

ამნაირათ, ისტორიული ტრადიცია და სიმვოლიური მნიშვნელობა დაედვა საფუძვლათ პირველი მაისის მუშათა დღესასწაულათ გამოცხადებას.

ასე და ამრიგათ დაწესდა პირველი მაისობა. მას დღეს მთელი ქვეყნის მუშები დღესასწაულობენ. ზოგან გაფიცვით ეგებებიან, ზოგან ქუჩებში მანიფესტაციებს მართავენ. და ეს მათთვის აკრძალული არაა, როგორც რუსეთის უზადრუკ მცხოვრებთათვის. მარა კაპიტალისტები კი მას ყველგან მტრულათ ეგებებიან. მუშათა სოლიდარობის გამტკიცება, მათი ყელზე ბაწრის წაჭერის ნიშანია; მუშათაგან საერთო ინტერესების შეგნება და მათთვის საბრძოლველათ მოედანზე ერთსულოვნათ გამოლაშქრება—ქვეყნის მყველფელთა და მფლობელთა ბატონობის ადრე დასამარების წინასწარმეტყველია. და ამის შიშით თავზარდაცემულნი, ისინი მუშათა ასეთ მისწრაფებას რეპრესიებით ეგებებიან.

გასულ წელს მაგალითათ გერმანიაში ბევრმა ფირმებმა პირველ მაისობის დღესასწაულობისთვის მუშებს ლოკაუტი გამოუცხადეს და სამუშაოზე მიღების უარი უთხრა. მარა ასეთი

რებრესიები, თავისთავათ ცხადია, ვერ შეაშინებს მუშათა კლასს.

ამ კლასმა იცის, რომ პირველი მაისი მისი საკუთარი, კლასობრივი დღესასწაულია. ის ამ დღეს ბურჟუაზიისაგან განმარტოებულ დღას და საბრძოლველათ თავის რაზმებს ათვალიერებს. ყველა ქვეყნის მუშები ამ დღეს გამოდიან ქუჩებში და თავის ძალას აჩვენებენ მტერთა და მეგობართ. პირველთა შიშისზარის დასაცემათ და მეორეთ გასამხნეველათ. ამ დღეს ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია, ქვეყნის ყველა მხარეები თავის მომავალ მეუფის პროლეტარიატის პირით ერთმანეთს ძმურ სალაშს უძღვნიან და საკაცობრიო იდეალით გამსჭვალვას აჩვენებენ.

ამით პირველი მაისი—ეს მუშათა დღესასწაული, საკაცობრიო იდეალისთვის ბრძოლის დღესასწაულია.

არ.



სხვა-და-სხვა პოლიტიკური მოძღვრება.

პოლიტიკური ცხოვრება გართულდა და გამრავალფეროვანდა. მრავალ გვარი პოლიტიკური მოძღვრება და პარტია ერთმანეთს ეჯიბრებიან და ხალხისაგან ცნობას თხოულობენ. ამავე დროს პოლიტიკური ცოდნა ძლიერ ნაკლებათაა გავრცელებული. ამიტომ ძნელი ხდება პოლიტიკაში შეგნებულათ ჩარევა, ამა თუ იმ მოძღვრების გაგება და პარტიის შეგნებულ წევრათ გადაქცევა. ხშირათ კაცს რომელიმე პარტიის წევრათ მოაქვს თავი, მარა პარტიის ანბანიც კი არ გაეგება სოციალიზმში, დემოკრატიზმში, ლიბერალიზმში, ფედერალიზმში, კონსერვატიზმში და სხ. და სხ. აი, რა ისმის დღეს ირგვლივ და ვისაც კი ამ მოვლენის ანგარიშის გაწევა სურს, მას ამ მოძღვრებათა საფუძველნი მაინც უნდა ქონდეს გაცნობილი. ჩვენი მიზანია რამდენიმეთ დავებნაროთ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და უმთავრეს მოძღვრებათა ძირითადი დებულებანი

მარტივათ გავარკვიოთ. რასაკვირველია, ეს წერილები ვერ მიცემს მკითხველს ყოველმხრივ პასუხს, სამაგიეროთ მიცემს ცოდნათა იმ ძაფს, რომლის საშვალეებითაც შესაძლებელია კითხვაში არ დაიბნეს და ერთი მოძღვრება მეორესაგან მკაფიოთ გაარჩიოს. ყველაზე მეტს ჩვენში ლაპარაკობენ სოციალიზმზე და ჩვენც ამ მოძღვრებით დავიწყებთ.

1. სოციალიზმი.

სოციალიზმი ეწოდება ისეთ პოლიტიკურ მიმართულებას, რომლის მიზანია საზოგადოებაში მოსპოს ქონებრივი უსწორ-მასწორობა, ერთი მეორის ჩაგვრა—ყვლეფა და გამეფოს საერთო, საზოგადო საკუთრება, ნიეთიერთათ გათანასწორებული საზოგადოება. ასეთი მიზნის დასახვა არ ახალია, ძველია. მას შემდეგ, რაც კაცი კაცს ჩაგრავეს, ადამიანი ადამიანზე ბატონობს, არსებობენ ისეთი პირები, რომლებიც ამას ებრძვიან და მის გაქრობას ქადაგებენ. ძველ საბერძნეთში, რომში, ქრისტიანობის პირველ ხანაში, საშვალო საუკუნეებში და შემდეგ ასეთი პირები ერთობ მრავალი იყვენ. მარა ამ ხანგრძლივი დროს განმავლობაში სოციალიზმი, როგორც ერთი პოლიტიკური მოძღვრება, არ შემუშავებულა და შესაფერი ყურადღება არ დაუქსახურებია. ამ დროს სოციალიზმი იყო ან თითო-ოროლა პირის ოცნების ნაყოფი, მათ მიერ სანატრელი წყობილების აღწერა ფანტაზიის დახმარებით (მაგ. ტომას მორი) ან და რომელიმე რელიგიური სექტის პრაქტიკული მოძრაობა, ვიწრო ფარგალში წევრთა შორის ქონების გათანასწორება (პირველ ქრისტიანთა მონასტრები). ამ გარემოების მიზეზი ისაა, რომ მაშინ არ არსებობდა დაჩაგრულთა ისეთი კლასი, რომელსაც შეძლებოდა სოციალიზმისათვის ნიადაგი შეექმნა და ამ მხრით რაიმე მოძრაობა დაეწყო.

ასეთი კლასი დაიბადა და გამძლავრდა მხოლოთ შემდეგ, მრეწველობის აღორძინების წყალობით. ეს კლასია პროლეტარიატი. ამ კლასის განვითარებას ფეხდაფეხ მისდევს სოციალიზმის განვითარება და მისი ერთ უდიდეს მოძღვრებათ გადაქცევა.

პროლეტარიატის განვითარება შეიძლება გაიყოს ორ დიდ ხანათ: ერთია ის ხანა, როცა ეს კლასი არის მეტისმეტათ დაძაბუნებული, და

ჩაგრული, წვრილ-წვრილ სახელმწიფოებში გაფანტული, კლასიურ შეგნებას მოკლებული და კაპიტალისტა უენო საწველ ფურათაა გადაქცეული. ამ დროს პროლეტარსაც დაბალი წარმოდგენა აქვს თავის თავზე; მისი აზრით ის ასეთ ბეჩავათ არის შექმნილი და ასეც უნდა დარჩეს; ის ითხოვს მხოლოდ დახმარებას და განკითხვას შეძლებულთაგან. მისი მთელი პოლიტიკური ფილოსოფია გამოიხატება შემდეგ თქმულებით: მთა და ბარი ვის გაუსწორებიაო.

მეორე ხანა იწყება იქიდან, როცა პროლეტარიატი თანდათან თავს იყრის დიდ ფაბრიკებში და სხვილი მრეწველობის მუშათ ხდება. აქ შესაძლებელი ხდება ერთმანეთთან უფრო დაახლოვება, ერთათ ბრძოლა, ეკონომიური მოძრაობის დაწყება. ამ ბრძოლაში ის თანდათან იღნებს თავის კლასიურ ინტერესებს, გრძნობს თავის თავს ერთ განკერძოებულ კლასათ და პოლიტიკურათაც იწვრთნება. ის ახლა თავის იმედს მხოლოდ თავის თავზე ამყარებს და ისტორიის შეგნებულ აგენტათ გამოდის. მისი პოლიტიკური ფილოსოფია გამოიხატება შემდეგი სიტყვებით: მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეაო, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერდიეთ!

ამ ორმა ხანამ წარმოშვა ორნაირი სოციალისტური მოძღვრება: ერთს ეწოდება სოციალიზმი უტოპიური (განუხორციელებელი), ხოლო მეორეს—სოციალიზმი მეცნიერული ანუ მარქსისტული.

პირველი სოციალიზმი აღორძინდა მეფრამეტე საუკუნის გასულს და მეცხრამეტის დასაწყისში. მისი მამამთავრებია: სენსიმონი, ფურიე და ოენი. ამათი აზრით სოციალისტური წესწყობილების დამყარება შეუძლია არა დავარდნილ და უვიც პროლეტარიატს, არამედ შეძლებულ და განათლებულ კლასებს, დიდი ბუნებოვან მრეწველთ, მეფეებსა და ქველნობქმედთ; საჭიროა მხოლოდ ამ ბატონების დაჯერება სოციალური წყობილების სიკარგეში, პროლეტარიატის ტანჯვა-ვაების მოსპობის საჭიროებაში. ამ მიზნით ისინი თავისი მოწოდებებით მიმართავენ გაბატონებულ კლასებს, ბურჟუაზიას, ხშირათ მეფეებს და მთავრობას. თვით ლუიზლანი, 1848 წლის

რევოლიუციის ცნობილი მოღვაწე და დაშინდელი მუშათა მოძრაობის იდეოლოგ, თავის წიგნს: „შრომის ორგანიზაცია“, ასე იწყებს: „ამ წიგნით მოგმართავთ თქვენ, შეძლებულნი! შრომის საქმე, ეს თქვენი საქმეა“ და სხვა. ამიტომ ესენი კლასთა ბრძოლას ვარს ყოფდნენ, რადგან ამით ბურჟუაზიას გვაჯავრებთ და მუშას აღარ დაეხმარებაო. ესენი არ იყვენ რევოლიუციონერები; პირ-იქით, რევოლიუცია ერთიანათ დაღუპავს პროლეტარების საქმეს, საჭიროა მშვიდობიანი გზით, შეძლებულთა მომხრობით და მორიგებით არსებული ცარცვა-ყვლეფის მოსპობა—ამზობდენ ისინი. ამავე დროს არსებულ წყობილებას ისინი ატარებდნენ. სასტიკ კრიტიკაში, დიდებულათ ამტკიცებდნენ მის უვარგისობას.

მეორე მხრით, ამავე დროს არსებობდნენ სოციალისტ-რევოლიუციონერებიც, ე. ი. ისეთი პირნი, რომელნიც ფიქრობდნენ სოციალიზმის განხორციელებას ძალით, აჯანყებით, რევოლიუციით. ამ მიმდინარეობის მეთაურია ბაბეფი, მეფრამეტე საუკუნის გასულს (სიკვდილით დასაჯეს 1795 წ.), და შემდეგ ბლანკი და ბლანკისტები. მარა ამათი აზრითაც ამ სოციალურ გადასხვაფერებაში თვით პროლეტარიატს არავითარი ადგილი არ უქერია; რევოლიუციას ახდენს არა ეს კლასი, არამედ შეთქმულთა გუნდი, საიდუმლოთ მოწყობილი ორგანიზაცია, რომელშიაც შედიან ყველა თავდადებულნი და მებრძოლნი. ესენი იგდებენ ხელში მთავრობის ძალას და მალედიან ქვევით ძალათ ამყარებენ სოციალიზმს. ასეთი შეთქმულობა ბლანკმა ორჯერ მოაწყო მეოცდაათე წლებში, მარა ორივე ჯერ უნაყოფოთ ჩაიარა.

ამნაირათ, უტოპიური სოციალიზმის დამახასიათებელია ის, რომ მის განხორციელებას ფიქრობდნენ ისეთი საშვალეებით, რომლითაც ეს ყოვლად შეუძლებელია. მას ვერ განახორციელებდნენ ვერც გაბატონებულნი და ვერც შეთქმულთა მცირე გუნდი.

ამ უტოპიურ სოციალიზმს ლახვარი ჩასცა მეცნიერულმა სოციალიზმმა, რის შესახებაც შემდეგ ნომერში მოვილაპარაკებთ.



■ კაცის-ჭამია ველურები.

ქველი

№ 3 იუმორისტულ-ნაზუდიარული ჟურნალი 1908 წ.



ფუდერალისტების იერიში.

ი ბ რ ი უ ბ ი.

ფედერალთა დიდი ჯარო
 ესდეთ ციხეს მიქსია,
 მარა ზასუხს არვინ აძლევს,
 როგორც რიგი და წქისია!
 შეილდ-ისრითა: აღჭურვილებს
 ბლაგვი ტმლები ხელთ უპურიათ
 და ასეთი იარაღით
 ციხე ვეღარ დაუპურიათ!...
 ამ შეომართ ამბჯარ-ფარსა
 მოდებია ხვესი, ობი
 და სევიდან კადმოყურებს
 სარბახნები დამამხობი.
 აგერ ერთ გუნდს ასასწულელათ
 უხმარია მთელი ძალა,
 მარა, ვაი, პირქვე მოდის
 კოტრიალით ვიწამლას...
 ჩანს, შეურილა, შეგროვილა
 ღახარი და ყველა გლახა
 და მიტომაც დაცინიან
 მათ შემოდან: ხა, ზა, ხა, ხა!...
 და ასეთსა ჯარს წინამძღვრობს
 გმირთა-გმირი თვით გუნია...
 მაშ რათ გიკვიროთ, მათამა საქმე
 გასტეროს რომ ღუნია!..

ოღრასინი.

საალღორომ ვიზიტები.

(გავრძელება) *)

ფედერალებს რომ მოემორდი,
 რა თქმა უნდა, განიხარდა
 და ვიფიქრე: „ვინ ეზვეროს,
 ვის ავხადო კიდევ ფარდა?“
 ამ დროს უცბათ დაგინა'ე
 „გოლთს კავკას“ მე წარწერა,
 გადაწვიტე შეესულიყა,
 რედაქცია დამეხვერა.
 დიდკატურათ მივადექი
 ხუდიგნ ბის მთავარ ბუნაგს,
 კავიჭიმი, კავიბერე,
 როგორც შეფერს წყქას და სუნაგს.
 და შევედი დიდ დარბაზში,
 ხუდიგანთა ვნახე გროვა,
 კაცს არც ერთი არა გავდა,
 შე შეკობსა მკლების სროვა!..

და ვიფიქრე: „აჭა, ხალხი,
 ვინც ხვეს სისხლი გამოგვწოვა...
 მარა მათი აღსასრულიც
 უსათუთა დრე მოვა.
 — ქრისტე აღდგა, მეგობრებო!
 უცხო მოველ ხუდიგანი...
 — ტეშისარიტათ! — შემომჯდაუქს
 და დარბაზმაც მასცა ბანი.

„პატრიოტთა“ სტალი იყო
 სანოვანო დატვირთული,
 მის აწერას მე ვერ შევძლებ,
 საქმე არის მეტათ რაული...
 მხოლოთ ვიტყვი — ბლომით იყო
 „სმიინოვი“ და „მონობოლკი“, —
 დორის შაშხოს სადარაჯოთ
 დარაზმული, როგორც პოლკი.
 თქვენც კი იცით, „პატრიოტებს“
 უდით რაღაც მყარლი სუნი
 და ეს კრება დიდებული
 ამით იყო დასაწყენი.

ტოლუმბაში კარგი უფდათ, —
 თვითონ მამა გოროდც ვი,
 თავეის ლოცვა-კურთხევითა
 ჩავრულ ხალხის დამატკევი.
 ტოლუმბაში მოემხდა,
 დაიჭირა ხელში შტოფი,
 დაიმანჭა გამტეველი,
 კადმოყარა დორბლი, ცოფი...

და დაღად ჭეო: „კრამოღნიკე ს
 კვლავ შტიკები და კვლავ თოფი!..
 დმერათ ჩემო, ჩვენთან იმას
 რა აქვთ ნეტა გასაყოფი!!
 რაც ვადინეთ ჩვენ მათ სისხლი,
 რაც დაუხტეთ, ეს არ კმარა ..
 პატრიოტთა, კიდევ სისხლი,
 კიდევ უღეტა ჩქარა-ჩქარა!..
 მოგილოცეთ დიდ დღესასწაულს,
 ძმა-ბიჭებო, ქრისტე აღდგა!
 და თან ჩვენი ბატონობის
 სანეტარო დროცა დადგა...
 ჩვენი ძალა, დაცემული,
 შეწამოდგა, გამოტოვდა,
 დაიზიდა სობროვევით
 და დუმშიც კი შეტოვდა.
 ჩვენ იქა გვყავს დემუტატათ
 კურთხეული ტიმოშკინი,

ვისაც დიდათ გაწვრთნილი აქვს
 გულში გრძობა, თავში ტვინი.
 იმან თავი ისახელა,
 სიტყვა რომ თქვა გასაშტერი,
 ეველას კუდიო ქვა ასურია
 და დაბრუნა ეველა შტერი...
 მისმა რეხმა დაგვიმტკიცა
 საბძანებლათ კავკასია,
 სადაც უნდა დაგასხსლოი
 „რუსი“ ასი-ათასია.
 მაშ, ტიმოშკინს გაუმარჯოს!..
 ის ჩვენი გზა და სიდი,
 ჩვენი მტრების რისხვა-მეჩის
 გამჭრობი და აშარიდი!..

კიდევ მინდა ვადღეგრძელო
 განსხვავებით რეაქცია,
 ჩვენი მხსნელი და მთარეველი,
 კრამოლა რომ გააქცია...
 გაუმარჯოს ჩვენს ერთობას,
 ის გახადოს თვითმშეწობელი,
 გაამრავლოს ბორკილები,
 თოკება და სატრნობელი!“..

ხულიცებმა ზედ დაჯდავლეს:
 „ბრაფო! ბრაფო! ურს! ურს!“
 მუხიკამაც ჭიმნის დაკერიო
 სადღეგრძელო უდასტუქა.
 ეველავ მუხიკამი შასრულა
 ტრეხვაცა და ჩიკა-ჩიკა,
 აბანტადლა მთლათ ეს კრება,
 შეირია, შეიბრია!“..

ეველა ერთათ ახრიალდა
 და შეიქნა ვარახლა,
 რა თქმა უნდა, აქ ნახუდმა
 გამაბრახა, გამახელა.
 შეუშინეველათ გამოვედი
 და ვიფიქრე: „ვნახავ მუშებს,
 მარა, განა მათა ნახვა
 გულის წყლულთა დამიშეშებს?!“

კრიმანჭულაძე.

ს ა უ ბ ა რ ი .

(„ორ ცეცხლ შუა“ს გამა. „ნიშადური“ № 40)

1-ლი მკითხველი. რას ერჩიან ამ გუნის, რომ ორ ცეცხლ შუა ჩაადგეს ეს პატროსანი მოღვაწე? უკუინებენ—ციხეში რათ არ ჩაჯექი, ჯარიმა რათ არ გადაიხადეო და

სხვა. სწორეთ უცნაური მსჯელობაა! ღმერთმა ინება და მთავრობამ ამ ერთ კრამოლნიკს ძლივ-ძლივობით აპატივა სასჯელი და, წარმოიდგინეთ, სიხარულის მაგიერ მწუხარებას ეძლევიან ჩვენებური კულაბიკები!!!

2 მკითხველი. გუნია ახლა მართლა ორ ცეცხლ შუა გახივებული, მარა თვითონ ჩაიგდო ასეთ მდგომარეობაში თავისი თავი და ვისი ბრალია? ერთი მითხარი, მთავრობა კრამოლნიკებს როდის ათავისუფლებდა, რომ გუნია გაეთავისუფლებია ციხისა და გრძდ ასი თუმანი ჯარიმის გადახდისაგან, ის რომ მართლა კრამოლნიკი და ბუნტოვნიკი იყოს?!

1-ლი მკითხველი. მაშ რათ გაათავისუფლეს?

2 მკითხველი. თვითონ გუნის კითხე და გეტყვის. ის თვითონ საჯაროთ ლაპარაკობდა მაშინ, რომ მისი განთავისუფლება სოციალდემოკრატიების შემწეობით მოხდა.

1-ლი მკითხველი. როგორ?! მე არ მჯერა, რომ გუნის სოციალდემოკრატები დახმარებას გაუწევდენ და ან რა დახმარება შეუძლიათ მათ!..

2 მკითხველი. დიახ, არ შეუძლიათ, მარა ვალერიანი ისეთი მოკახრაკებული კაცია, რომ ეს საარაკო საქმეც შეძლო!.. ასი თუმანი რომ თხოვეს,—დაეღრიჯა ვალერიან გენ-გუბერატორს—საწყალი კაცი ვარ, ქონებით პროლეტარის შესადარი ვარ, თუმცა აზრით ზ მოქმედებით კი მისი მოსისხლე მტერი ზ ორგული ვარო. კარგი, ფული კი გვერჩია, მარა, რა გაეწყობა, სამაგიეროთ ციხეში მიბძანდიო,—უპასუხეს ვალიკოს აბა რა დღიხა უნდოდა გუნის თავისი არტიტობა, ასეთ გასაქირში თუ არ გამოიყენებდა: ციხის ხსენება, ვალერიანის შეკრთობა და გულის წასვლა ერთი იქნა. წამოიკვაქა თურმე აი უშველებელი კაძახი იატაკზე და დაიწყო ფხანკალი... ასხურეს ცივი წყალი, ასუნთქეს კაბლები და, როგორც იყო, მოაბრუნეს. რა მოგივიდაო,—კითხა გენ-გუბერნატორმა. თქვენო აღმატებულეზავ, დაიწყო თურმე ვალიკომ სუსტი ხნით, შემებრალეთ, ციხეში ნუ გამგზავნით და აქვე მომკალით თქვენი ბედნიერი ხელითო. რათაო, განცვიფრებით კითხა გენ-გუბერნატორმა, იქ თქვენები ბევრია და არ მოგაწყენნო. არა, თქვენო აღმატებულეზავ, იქ, ციხეში, ჩვენები კი არა სულ სოციალდემოკრატები არიან და მისვლისთანავე ყელს გამოშკრიან თავისი მურტალი ხელებითო. რათაო,—შეეკითხა გენ-გუბერნატორი. თქვენო აღმატებულეზავ, მე მათი მოსისხლე, დაუძინებელი მტერი ვარ, **МЫ СЪ НИМИ НА НОЖАХЪ** და სამაგიეროს ციხეში გადამიხდიანო. ტყუ-

იღს ამბობ, თავს იკატუნებო, — უთხრა მისმა აღმატებულებამ. საბუთებს მოგართმევთ, დავიგმტკიცებთო, — შეეხვეწა ოთხათ მოღუნული ვალიკო და თანაც წარუდგინა „ნიშადურის“ ნომრები, სადაც მოთავსებულია პროვოკატორული სურათები; ზოგიერთი სტატიების თარგმანიც მზათ ქონებოდა და ამით საქმეც გაიჩარხა. გენ.-გუბერნატორმა გადაათვალიერა საბუთები, გაიღიმა, დაკრა ბეჭეებზე ვალიკოს ხელი და უბძანა: დაერწმუნდი, რომ საქირო კაცი ყოფილობარ და მიტომ გათავისუფლებო.

1-ლი მკითხველი. იიმიე, რა საკადრისია, ამას უგონებენ ვალერიანს, თვარა მართლა რაღა იკადრებდა!.. ეს რომ მოგონილი და მოქორილი ამბავია იქიდანაც ჩანს, რომ გუნია სასჯელისაგან არ გაუთავისუფლებიათ, როგორც თვითონ სწერს, ის დასაჯეს სასტიკათ: მას გაზ. „ისარი“ დაუხურეს სამუდამოთ.

2 მკითხველი. ნუ ცხარობთ, მოითმინეთ! ახლა ის მიბძანეთ, გაზეთი რომ დაუხურეს, შრატტი წაიღეს, სტამბა დაბეჭდეს?

1-ლი მკითხველი. არა.

2 მკითხველი. მამ გაზეთის სახელის გამოცვლა ჩვენს დროში დიდი რამ საქმეა თუ? „ისარი“ დახურეს, „ამირანი“ გამოვიდა, მორჩა და გათავდა, ეს რა სასჯელია ამით თავის მართლება უბრალო წყლის ნაყვია სხვა არაფერი.

1-ლი მკითხველი. !!! ??? !!!

ლიუციფერ.

ზრელი არის მს ჰვმჰანა!

I.

კაჭი სატროფოს ჩხვევია,
კულში იკრავს ეკანება,
ეშხით მოფრადი, აღთქმას აძლევის,
სიტყვებში ემონება

ქალი მორცხვით უკან იხეკს,
წითლდება და თითქოს კრთება,
მაცრამ მანც მის სახეზე
თანაგრძნობას იხატება.

ბავე ამ ორ ბედნიერთა
კვლავ ერთმანეთს ეწებება,
სიეკარული, აგრე ტკბილი,
ფიქრობენ, რომ სულ იქნება.

მაცრამ კითხვა იბადება:
ეველა აგრე ხარობს განა?

არა, არა, ჩემო კარგო,
ჭრელი არის ეს ქვეყანა!..

II.

დედას ბევრხელ განაწამებს,
ჯაყრით აღარ ეძინება,
თვალს მიღუღაღს თუ არ, წამსვე
ზინმშო შვილი ესისმრება.

მისი შვილი გვერდში უდგას
ეველას, ვინც კი იჩაგრება,
და დედაც გრძნობს, რომ ასეთებს
კარგი დღე არ დაადგება.

მე რე დღეს დილით აღრე
სახლის კარი გაიღება,
დედას სწერენ დეპუტათა:
„შენი შვილი დასჭრეს, კვდება“.

აქაც კითხვა იბადება:
ეველა აგრე წყალობს განა?
არა, არა, ჩემო კარგო,
ჭრელი არის ეს ქვეყანა!..

III.

მართულ სახლში ტკბილათ ძინავს,
შუადღეზე თუ აბძინდება,
ზარს ჩამოკრავს ბედნიერი
და საუზმეთ დაბძინდება.

სეირნობას მოისურვებს, —
ეტლი კარზე მიადგება,
საღამოსე ნეკუელებრიფ
ბალ გენერში მიბძინდება.

მხიარულათ დღეს ატარებს,
ღამეც ტკბილათ ეძინება;
არ აკვია არაფერი:
ქამა, სმა თუ დროს ტარება.

მაცრამ კითხვა იბადება:
ეველა აგრე ხარობს განა?
არა, არა, ჩემო კარგო,
ჭრელი არის ეს ქვეყანა!..

IV.

სამუშაო ვერ იშოვნა,
აქეთ-იქით ეხეტება...
ერთი-ორი ასეთი დღე, —
შიმშილითაც კი მოკვდება!..

ერთ დროს მისმა მარჯვე შეღავმა
 არ იტოვდა მოსვენება,
 ხელა სჩუქლს გამაძლარი
 „შორ წადი“, — ეუბნება!

„ხელის გაწვდას“ არ კადრულობს,
 არ სჩუქვია, ესირცხვება...
 სიმუშაოს მას ვინ მიტყვის, —
 ჯან-მთელი რომ იხვეწება.

აქაც კითხვა იბადება:
 ეგელა ატრე წვალბის განა?
 არა, არა, სქემა კარგა,
 ქრელი არის ეს ქვეყანა!..

ფუტკარი.



მცირე განმარტება.

ხეობელის და მისი ამხანაგ „ამირან-ნი-
 შადურელების“ გალაშქრება ს. დ. პარტიის
 წინააღმდეგ მოგვეხსენებათ. ამ ვაებატონებმა
 საქვეყნოთ გამოაცხადეს, რომ პარტიამ აუშვა
 თავისი რაზმელები და ხალხი ააწიოკებიაო.
 ბ. ია ეკალაძე სწერდა: ათასი საზიზღრობა
 ჩაიდინეს მუშათა პარტიის წევრებმა, „ხოლო
 ნამდვილი, წმინდა სოციალ-დემოკრატები იყვენ
 თუ ყალბიო — ეს იმათმა სულმა ზღას, ვინც
 თავის თავის განსაღიღებლათ და გაბატონე-
 ბისათვის ნება დართო ათას მაწანწალას ამო-
 ფარებოდა ს. დ. დროშას“. ვინ დართო ნება?
 არა მარქსის მოძღვრების „ზედმიწვევითი“
 მკოდნეებს, არამედ სხვებს, ხსნის იგივე ავ-
 ტორი, ე. ი. ნება დართეს ყველა ადგილო-
 ბრიე მუშაკთ და ორგანიზაციებს, ვინაიდან
 მარქსის „ზედმიწვევით“ მკოდნე — იშვიათია.
 („ისარი“ №42).

ია ეკალაძეს დაემოწმა „ისარის“ რედაქ-
 ცია და თან დასძინა: „იგი (ია ეკალაძე) შიე-
 ხო ფრიად საგულისხმეორო და თქვენთვისავე
 სასარგებლო საკითხს, რომელსაც უთუოთ
 უნდა ანგარიშის გაწევა. თუ თქვენ თვითონ
 ვერ მიხვდით ჯერ... რომ ასეთი ტაქტიკა
 დიდ ენებას მოუტანს მუშათა პარტიას, ია
 ეკალაძის მადლობელი უნდა იყოთ, რომ პირ-

დაპირის მხილებით გაფრთხილებენ.“ (№45).
 იგივე განიმეორა „ზაკავკაზიემ“ (№80).
 ერთი სიტყვით, ს. დ-იამ რაზმელებს
 ქვეყანა დააქცევია, მან ეს ვერ შეიტყო ან,
 თუ შეიტყო, ყურადღება არ მიაქცია, პირ-
 იქით კიდევაც ხელი შეუწყო და სხ. და აი
 ახლა ყველა ეს გაიგეს ხეობელ-ეკალაძე-ისრე-
 ლებმა და ამ მოვლენას ებრძვიან. აი მთელი
 კომპანია ამ ვაებატონებისა.

ახლა ვიკითხოთ: მართლა აუშვა ს. დ-
 იამ რაზმელები სახულიგანოთ? მართლა არ
 მიიღო მან თავის დროზე მათ წინააღმდეგ
 ზომები? მართლა არ მიაქცია მან თავისი ყუ-
 რადღება მაშინვე, როგორც კი რაზმელები
 გამოვიდნენ ორ-ციის მორჩილებიდან?

ყველა ეს მოიმოქმედა პმრტიამ და აი
 უტყუარი საბუთი: 1906 წ. დაბეჭდილ და
 ცალკე წიგნაკათ გამოცემულ რეზოლიუციასთა
 კრებულში, რომელიც იმავე წელს მიიღო
 კავკ. ორგ-ბის სიეზდმა, სხვათა შორის, სწე-
 რია:

„ამასთანავე სიეზდი წინადადებას აძლევს
 ადგილობრივ ორგ-ბს ენერგიული ზომები მი-
 იღონ ყველა წითელ რაზმელთათვის იარა-
 ლის ასაყრელათ, რომელნიც უმთავრესათ
 სოფლებში ტრიალებენ და პარტიის სახე-
 ლით ცარცვავენ ადგილობრივ მცხოვრებთ,
 რითაც სახელს უტეხენ სოციალ-დემოკრა-
 ტიას და დემორალიზაცია შეაქეთ ხალხის მა-
 საში.“¹⁾

მაშასადამე, ჯერ კიდევ 1906 წ. მიუქ-
 ცევია ამ საქმისთვის პარტიას თავისი ყურად-
 ღება, მის შესახებ მსჯელობა ქონებია, განჩი-
 ნება გამოუტანია, ენერგიული ზომები მიუ-
 ღია, რაზმელთა საქციელი დაუგმია და სხ.
 და სხ. და მიუხედავათ ყველა ამისა, „ისარ-
 ხეობელ-ეკალაძის“ კომპანია გამომდგარა
 დღეს, 1808 წ., და პარტიას აბრალებს ყველა
 იმას, რასაც ის ორი წლის წინთ ებრძოდა!

ნუ თუ აქედან ცხადი არ არის, მთელი
 შავრაზმული სულის კვეთება ამ ცილის-მწა-
 მებელთა? ეს უტყუარი საბუთია იმის, რომ
 მთელი ეს „ნიშადურულ-ისრულ-ზაკავკაზიუ-
 რი“ გალაშქრება გამოწვეულია არა მართლა

¹⁾ ამ ბროშურის ნახვა შეუძლია ყველას, ვისაც
 კი ეს კითხვა აინტერესებს.

სიმართლის და ხალხის საქმის სიყვარულით, (ეს რომ ასე იყოს, ამ საქმეს ყურადღებას მიაკცევდნენ 1906 წ.), არამედ მხოლოდ იმ განზრახვით, რომ პარტიას ჩირქი მოსცხონ, ცილი დასწამონ. დვენონ და ასე თავისი ვიწრო ეგოისტურ მიზნებს მიაღწიონ.

ორგ.

წმრილი ამბავი

(ქართლიდან)

როგორც ბავიბეთ, რკინის გზის I კლასის ბუფეტში ვილაცავებს წითელ პარასკევს მარხვა უქამიათ. ეცადეთ, რომ ეს ამბავი ბ. ხეობელმა არ გაიგოს, თვარა უსათუოთ ბროშურას დაწერს: „სოციალ-დემოკრატია I კლასის ბუფეტში.“

ხეობელის სიტყვით სოციალ-დემოკრატებს ხატები მოუხარშავთ ქვაბში, რისთვისაც ვითომ ეს გამოხარული ხატები განრისხებულან, უშველებელი სიტყვა მოუყვანიათ და გლეხების ნამუშევარი გაუფუჭებიათ. ხეობელს ასეთი სიცრუისათვის ხატები პროტესტს უცხადებენ: სეტყვა ჩვენ არ მოგვიყვანია და ბ. ხეობელი ტყვილათ ცილსა გვწამებსო.

ვილაც მაწანწალებს სოფ. ბრონის წყაროში მკვიციკლისათვის 2 წ. წაუტომევიათ. ამავე ხანებში ქურდ-ბაცაცა გიბიჩას, ბატები და ქათმები დაუპარნია. ეს რომ ხეობელმა გაიგოს, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ დაწერს თავისი ტეინის ნალიტინევი „სოციალ-დემოკრატია სოფლათ“ გაგრიქლებას.

წვერ-ქიქინა.

„ნ ა კ ი რ ა ლ ი ზ ნ ა ე შ ა“?

(მოგონება ახლო წარსულიდან.)

II

დასასრული.

ლამის მნათობი პირ-ბადრი მთვარე აღერსიანათ დატკეროდა მიძინებულ არე-მარეს. დუმდა ყოველი! დუმდა ყოველი, თითქოს სამუდამოთ შეჩერდა ცხოვრების ჩქეფა, შეწყდა ორონ-ტრიალი, მხიარულება და ტანჯვა-წამება, მარა ყოველივე ეს დროებითი იყო და მიძინებული სოფელი გათენებას უცთიდა; ლამეს დღე უნდა მოყოლოდა, წყვდიადი სინათლეს უნდა გაეფანტა.

მთვარემ დაკარგა თავისი ძალა; აღმოსავლეთი წითლათ შეიღება. ნამით ატრემლვებული ბალახ-ბულახი დილის გრილმა სიომ შეარხია, ამოძრავდა ყოველი არსი. გამოვლენიდა

სოფელსაც და კვლავ გაჩაღდა ცხოვრება, დადგა დღე სასინარულო, სანეტარო. ეს დღეა საბედისწელო: ის მოგვიტანს ან გამარჯვებას ან დამარცხებას. ერთ აზრს ერთ მისწრაფებას შეეპყრო სოფელენი, ქალი იყო ის თუ კაცი, ახალგაზდა თუ მოხუცი. შეიარაღებული ხალხი, ვისაც რით შეეძლო შეიარაღება, ყოველი კუთხიდან მოდიოდა ტყეში—დანიშნულ ალაგას, პოზიციის მახლობლათ. მათი სერიოზული სახის გამომეტყველება და აღფრთოვანება ყველას მათკენ იზიდავდა და მათ უერთებდა.

დანიშნულ ადგილს მახლობელი სოფლების მცხოვრებთ უკვე დაემზადებიათ. მებრძოლთათვის სურსათი, ბრძოლისათვის საჭირო ყოველნაირი მასალა: ტყვია-წამალი, პატრონები, თოფის საწმენდი ზეთი და ქონი. „სესტრიცები“ ფართო და გრძელ დოღბანდებს ხევედნ მოკლე-მოკლეთ, ბამბას ანაწილებდენ. ყოველივე თავის რიგზე და ადგილას იყო, თითოელს თავის საქმე ქონდა მიჩენილი, ხოლო ყველას კი საერთო—ბრძოლა.

უკვე შეადგემ მოატანა.

— ბარელამ ჩავჯდეთ ჩვენ ჩვენ-ალაგას, სადაცაა, გამოივლიან კიდევ!—ათანასემ მიმართა ამხანაგებს.

— დროა, დრო!—თითქმის ყველა დაეთანხმა.

ბეშტიამ გძელ თმაზე ხელი გადაისვა, ჩაახველა, შეხტა მარდათ ხის ნამორზე და მიმართა მებრძოლთ:—„ამხანაგებო! სერიოზული მომენტი: ან უნდა დავიხოცოთ, ან არა და გამარჯვება უნდა დაგვრჩეს! უკან დამხვეს ამხანაგის ტყვია გულს გაუგმირავს! ყველამ იცით თავისი დანიშნულება, საზოგადო მოვალეობა, თავ-თავის პოსტი. ივანიკაი ზეით გაჩერდება, სიმონიკაი ქვეით. ყველა გამვლელ-გამომვლელი დააკავეთ და აქანაი მოიყვანეთ. ტყვეებს ადამიანურათ მოეპყართ, შელრაცხყოფა არ მიაყენოთ. კიჩა, შენ იმ წიფელასთან იქნები, სანდროც და კირილევ გვერდით გეყოლება. ვაშლები ფრთხილათ. სანამ ქვეიდან თოფის ხმა არ მოგესმათ, ადგილიდან არ დაიძრათ და არც ვაშლი გადაისროლოთ.“

— ბეშტია! ქვედა ბოგასთან¹⁾ ორი ცხე-

¹⁾ ხიდთან.

ნოსანი გამოჩნდა, მგონი სტრაჟებია,--დაი-
ძახა ქვედა პოსტებზე მდგომმა ამხანაგმა.

წამსვე ყველანი ჩაესაფრენ თავ-თავის
ადგილას.

სრული სიჩუმეა. თითქოს შეწყდა გუ-
ლის ძეგრა. ტყეც საიდუმლოებას მოუცავს და
რალაცას მოლოდინში წყნარათ ირხევა.

— თუ მიტყუა ამ მაქანელამ, მამა მიც-
ხონდება,--თავში ვრეხვებ თოფს იმ წუთებს!
— იოხუნჯა ათანასემ, მარა ის მალე ჩააჩუმეს.
ამ დროს პირველმა თოფმაც დაიჭექა. პირ-
ველს მოყვა მეორე, მესამე, მეოთხე, ერთ-
მანეთში აირია; სახარელი ხმაურობით გასკდა
ვაშლი და წამლის ბოლმა მოიცო არე-მარე.

მტრის ავანგარდი შეკრთა. მხედრები
ცხენებიდან გადმოხტენ სწრაფათ და მიწაზე
დაწვენ. ვინ მუცლით მიხობავს, ხეს ეფარება,
ვინ ხრამში გადაიჩენს, ვინ კრუსუნებს და
ქრილობისაგან შეწუხებული ყვირის...

— სად მიხვალ, ბიჭო, მოგკლავენ... ამხა-
ნაგმა მიაყვრა კიჩას, მარა კიჩა გადახტა თა-
ვისი საფარიდან შარა-გზახზე, რადგან მის ზიერ
გადასროლილი ვაშლი არ გასკდა, გაათრე-
ბულ ვეფხვივით დააფრინდა ვაშლს, აირ-
ბინა ისევ უკან და საფარს ამოაჯდა. ამ დროს
მტრის უმთავრესი ძალაც მოახლოვდა და
კიჩამაც ხელ-მეორეთ გადაისროლა ვაშლი.

კვლავ იგრიალა, კვლავ შეირყა ცა და
დედამიწა!..

დაიჭრა ამხანაგი, მოკლეს სიმონა!.. „სე-
სტრიცები“ ქრილობებს უხვევენ, თავზე ხელს
უსობენ, წყალს ასხურებენ... თედოს მოხუ-
ცი, 78 წ., დედა მ-თო შორიდან მოდის ახალგა-
ზდასავით და თან ტყია-წამალი მოაქვს მე-
ბრძოლთათვის. — მეტი რაღა შემიძლია, ამით
მაინც მოგეშველებით, ამხანაგებო!... მასე, შეი-
ლებო! არ შეშინდეთ!.. გაავლეთ მუსრი თა-
ვისუფლების მტრებს!.. მისი სიტყვები უზო-
მით ატოკებს გულს, ენერგიას აორკეცებს...

სიგნალის ხმამ შესწყვიტა სროლა, ომი.
მტერი დამარცხდა.

ახლა გაჩაღდა სულ სხვაგვარი მუშაობა:
მოწყალეების დანი უხვევდენ იარებს მტერს
და მოყვარეს, შინაურსა და გარეულს, ჩო-
ხიანს და უჩოხოს, ჩინიანსა და უჩინოს.

— ტოვარიშჩ, ნე უბეი!.. — თვალკრემ-
ლიანი იხვეწება დაქრილი მტერი.

შეტაკების ამბავი ყველა სოფლებს და
ქალაქ ოზურგეთსაც ელვის სისწრაფით მოე-
დო. დადიოდა ათანაირი ხმა. ერთი ასე ამ-
ბობდა, მეორე ისე: დახოცეს მტრები, დახო-
ცეს ჩვენებიო, მარა ნამდვილი ამბავი და
საქმის მდგომარეობა არაიან იცოდა.

ამ ამბვის გამგონე შორე სოფლების
ახალგაზღობა ველარ მაგრდებოდა შინ და შე-
იარაღებული მიეშურებოდა იქითკენ, სადაც
მათი ამხანაგები სისხლსა ღვრიდენ.

ამ ამბავმა შეანძრია ქობულეთის ქართვე-
ლი მახმადიანებიც, საიდანაც ბრძოლის ველზე
მოვიდა იარაღში ჩამსხდარი ასიოდე არჩეული
მებრძოლი, რომ მათაც მონაწილეობა მიეღოთ
თავისუფლებსათვის ბრძოლაში, მარა ბრძო-
ლას კი ვერ მოუსწრეს.

III

გავიდა დრო და მტერიც გაქლიერდა და
მასთან ერთათ გაძლიერდა სიმხეცე და ბარბა-
როსობაც; გამეფდა ცეცხლი და მახვილი...
შეუბრალებლათ იწოდა ქალაქი და სოფლები...
სიმართლის ხმა ჩაკვდა გულის სიღრმეში; და-
ცხრა სულიერი აღფრთოვანებაც. გაბატონდა
რეაქცია, და ხალხი გაიხიზნა მთაში და ტყე-
ში. მარა სადაც არ უნდა დამალულიყავი, რა
მიყრუებული კუთხეც არ გამოგეძებნა, ცეც-
ხლის ალი ყველას და ყველგან წვდებოდა და
ბასრი მახვილიც ერთნაირათ ჩენდა და ქრიდა
ყველაფერს...

სიზმარივით, მოჩვენებასავით გაქრა აღფ-
რთოვანება, სამართალი, მიღუნდა თავისუფა-
ლი ცხოვრება და გლოვის ზეწარი გადაეფარა
განადგურებულ მხარეს.

საშინელ რეაქციას თავისებური სიცო-
ცხლაც მოყვა თან: სოფლის კანცელარიებმა
ჩვეულებრივი სახე მიიღო; მამასახლისი ჯა-
კვით კისერზე, მღვდელი ჯვარით ხელში,
„სბორშიკი“ და ჩაფარი მათრახით ხელში შე-
უდგენ სიმართლის დევნა-ძებნა-წვალებას და
რამოდენიმეთ აისრულეს კიდევ თავის ვერაგუ-
ლი სურვილი.

ს. დ-ის კანცელარია და შკოლა და-
მსჯელმა რაზმა გადაბუგა. სიამოვნებით უკი-
დებდენ ცეცხლს გლეხის ოდას, ნალიას, ბე-
ლელს, სალორეს და საქათმეს!.. ერთ წუთში ანა-
დგურებდენ ოფლითა ზე შრომით აგებულ ოჯახს.



ტუსალი ქალი.

ამათ შორის გამონაკლისს არც ათანასე შეადგენდა, ჯერი მის სახლზე მიდგა. ათანასეს ოჯახობაც გახიზნული იყო, ხოლო თითონ, როგორც მოხუცი, სახლში დარჩა შინაური ფრინველებისა და სახლ-კარის დასაცავათ. მარა ეს მხოლოდ ოცნება, ტყუილი იმედი გამოდგა!.. ჯერ შინაური ფრინველებით ჩაიტკბარუნეს მტრებმა პირი და შემდეგ, გამომძღრებმა, ცეცხლი წაუკიდეს ათანასეს სახლ-

კარს, მარა ათანასემ ცეცხლი ჩააქრო, რისთვისაც საშინლათ მიბეგვეს ის. კიდევ წაუკიდეს სახლს, მარა ათანასემ კიდევ ჩააქრო!.. მიაყოლეს და მიაყოლეს თოფის კონდახი ათანასეს. მესამეთ წაუკიდეს ცეცხლი და ათანასემ მესამეთაც ჩააქრო, მარა ახლა კი კონდახს მათრახი მიუმატეს, ესეც არ აკმარეს და მიზანშიაც ამოიღეს ჩვენი ათანასე, მარა ათანასემ იკადრა და აამოძრავა თავისი უძლური

ფუხები: ჯერ ხეს ამოეფარა და შემდეგ მოკურცხლა, რაც ღონე შეწყვედა... ჩოხიანები უყურებდნენ და გულიანათ ხარხარებდნენ. ათანასე გარბოდა, ხოლო მისი სახლ-კარი კი ცეცხლის ალში იყო გახვეული. ცოტა ხნის შემდეგ ათანასე გაღმა გორიდან დანადგლიანებული დასცქეროდა თავის ნამოსახლს...

მას აქეთ ათანასეს დაეძებნენ, დაეძებნენ დღესაც, მარა მისი გზა-კვალი ვერ უპოვიათ.

— ზრასტი, კაცო! — ზრასტი, რუსო!

— ნაკირალი ზნაე? — ეკითხება ჩოხიანი დღეს გურულს.

— ნასაკირალი?.. ზნაიშ, რუსო! — უბასუხებს გურული.

— ზნაეშ? ვოტ ტებე ნა!! მიარტყამს კონდახს.

— ზნაეშ ნაკირალი? კიდევ ეკითხება.

— არ ზნაიშ, რუსო!

— ვოტ ტებე, კრამოლნიკ! თხლეშავს მათრახს...



უკანასკნელი გამოთხოვება.

ასე რომ დღეს „ზნაიშ—ენზნაიშ“ ერთი და იგივე ფასი და მნიშვნელობა აქვს!.. რა გაეწყობა!.. რეაქცია ბატონობს!..

დ. ელპიტაშვილი.

დიდი-ჯიხაიუელ ხულიგნების სიმღერა.

(აკაკის მიბაძვა).

რევოლიუცია ჩავაქრეთ, აღარ გვაქვს შიშის ხველაო, ახლა სხვა დროა, ნეტარი, —

ოდელა, დელა, დელოა. ვისაც-კი რამეს ვამჩნევდით, — შეკოქილია ყველაო, ცივ ქვეყანაში გაგზავნეს, —

ოდელა, დელა, დელოა. კნიაზი ნიკო უწინდლებრ არ უკადრისობს ახლაო და ჩვენთან ერთათ ბუქნაობს, —

ოდელა, დელა, დელოა. სტეფანეც მოგვიახლოვდა, მოდის ბაჯბაჯით ნელაო, მსგავსი მსგავსს ეძებს და პოებს, —

ოდელა, დელა, დელოა. რაჟდენა, მიხა, ოქრუა და კიდევ სხვებიც ყველაო, ერთათ ვართ, ერთათ დანდახით: —

ოდელა, დელა, დელოა. ანტონა, ბანი გითხარი, მოგვძახებს ოტიელოა, ხახლოც მოგვიეხმარება და იტყვის: დელა, დელოა.

ენუქი აღარ გამოჩნდა, მისიც გვინდოდა შეველოა, აღბათ საკბილო იშოვნა, —

ოდელა, დელა, დელოა. არც იასონი მოვიდა, მან საღლა შეაყოლოა, ჯანდაბას იქით ორივე, —

ოდელა, დელა, დელოა. ტკბილია ეს დრო, ტკბილია, თუ არ დაგვაყდა ბელაო, მაგრამ მთავრობა, ღვთის მადლით, მაგრათ დგას, — დელა, დელოა.

რევოლიუცია ჩავაქრეთ, აღარ გვაქვს შიშის ხველაო, სხვა დრო დაგვიდგა, ნეტარი, —

ოდელა, დელა, დელოა! ბელაძე.

„პატრიოტული“ დოღი.

(ერთი ახირებულ პოლემიკის გამო)

მკითხველს, ეკვი არაა, მოეხსენება, რომ ჩვენში ძლიერ გახშირებული იყო ცხენების დოღი და ყველაზე ფეხმარდი შესაფერ ჯილდოს იღებდა და საზოგადოების თვალშიც ქებას იმსახურებდა.

ამ ჩვენს ახირებულ დროს კი, როცა ფეხმარდობას თავისი მნიშვნელობა დაეკარგა და ის მხოლოდ სამხედრო პირთა „კერძო საკუთრებათ“ გადაიქცა, სამაგიეროდ ახალმა დოღმა ვაითქვა სახელი და „სახრავეც“ მოიხვეჭა. ადვილი მისახვედრია, რომ აქ ლაპარაკია „პატრიოტიზმის“ დოღზე. მარა პატრიოტიზმი, როგორც ვიცით, ორგვარია: ბრწყინებში და უბრწყინებოთ. პირველი „ქეშმარიტის“ ეპიტეტით არის შემკული, და ვინაიდან ის შინაარსით ქეშმარიტებას მოკლებულია, მთავრობისაგან მოწონებულია და საზოგადოებისაგან ბრწყინებშია ჩასმული; ხოლო მეორე ჩვეულებრივი, ხალხის გულშემატკივართათვის მიჩნეული, პატრიოტიზმია, მარა მთავრობის მიერ დაუდასტურებელი და ნებადაურთველია. ცხადია, დოღის თავისუფლება მხოლოდ პირველს აქვს მინიჭებული, ამ პირველთა ბანაკშია გაჩაღებული, აქ მოღვაწეობენ რუსეთის განთქმული ჩემპიონები. მენშიკოვი პურიშკევიჩს უპირებს გასწრობას გამცემლობასა და მახვლარობაში, პურიშკევიჩი ღუმბროვინის უკან ჩამოტოვებას ფიქრობს და ასე ბოლომდე.

ამ დღად გვამებს ჩვენშიაც გამოუჩნდნენ მიმბაძველები და მიმდევრები. საქმე აი რაშია: კავკასიის „პატრიოტთა“ შორის, როგორც ვიცით, შარშან ოკტომბერში პირველი პრიზი ბ. ტიმოშკინს ერგო და ღუმის წიაღსაც მოეღინა. და აი ენლა მისი დაფნები თურმე მოსვენებას არ აძლევს ჩვენს „თანამემამულე“ „ქეშმარიტ პატრიოტებს“. მის დასაძლევად ბევრმა ახალგაზრდამ და ხნიერმა გამოიღვა თავი.

ამ უამათ ერთი ასეთი დოღის შედეგი უნდა ვაუწყოთ მკითხველს. დოღი შედგა გაზეთ „ხაკავკაზიის“ რედაქტორ ბ. გოთუასა და მ ღუმის დეპ. ტიმოშკინს შორის. და მისი გახსნა ბ. ნ—სკიმ „ტიფლ. ლისტოკში“ პირველმა აუწყა თფილისის საზოგადოებას. მან დასწერა: ბ. გოთუა და ტიმოშკინი ორივე ერთგვარი ღირსების პატრიოტებია და როგორც ერთი, ისე მეორე ბრწყინებშია მოსაქცევიო.

„პატრიოტთა“ დაფსებაში დასახელოვნებულმა გაზეთმა „გოლოს კავკაზამ“ ეს იუცხოვა: როგორ თუ „ინოროდცი“ ამო-

უყენეს გვერდში ჩვენ სახელოვან ტიმოშკინსო. მან თავის ოპონენტ ბ. ნ—ს ასეთი ოსტატური კითხვა დაუყენა:

„ნუ თუ ვერ ხედავს ის, ე. ი. ბ. ნ—სკი, რომ ბ. გოთუას „პატრიოტიზმი“, როგორც განათლებული კაცის, უფრო სხვილი ბრწყინების ღირსია, ვინემ ბ. ტიმოშკინის პატრიოტიზმი, რომელსაც ნაკლები განათლება აქვს მიღებული?“

ბ. ნ—სკი „ტიფლ. ლისტოკიდან“ ვერ შეურიგდა ბ. გოთუას ასეთ აღმატებას და უმაღლესი სამართლიანობის სახელით მათი თანასწორობის იდეის დამცველათ გამოვიდა: ყოველი უპირველესათ, განაცხადა მან, მე საბუთი არა მაქვს ბ. გოთუა „განათლებულ კაცათ“ ჩავთვალო, რადგან მას ჯერ ეს არაფრით დაუმტკიცებია. რატომ არ სურს მას ასეთ საბუთების გამოჩენა—ეს მისი საქმეა და არა ჩემი“-ო. ამნაირათ, ჩააყენა რა ორივე მოპირდაპირენი სრულიად ერთგვარ გარემოებებში, ბ. ნ—სკი დაასკენის: „ბ. გოთუას პატრიოტიზმი და პატრიოტიზმი ტიმოშკინის შეემიძლია მხოლოდ თანაბრათ სხვილ ბრწყინებში ჩავსვა (ორივე მოიმადლიერა): უნდა სამართლიანათ მოვექცე ბ. გოთუას, რადგან „ჩემი ღრმა რწმენით“ ამ უკანასკნელ დროს ბევრი საბუთები მოგროვდა ისეთი, რომელიც ნებას მაძლევს ვთქვათ, რომ განსხვავება ბ. ტიმოშკინსა და ბ. გოთუას შორის მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ პირველი „ქეშმარიტი ქართველი“ კაცია, მეორე კი, „ქეშმარიტი რუსი“. (ტიფ. ლისტ. № 94.)

ჩვენ, რასაკვირველია, თანახმა არა ვართ ქართველი „პატრიოტიზმის“ ასეთი დამცირების, მარა იმედათ ის დაგვრჩენია, რომ ჩვენს სამშობლოს ჯერ კიდევ მოეპოვება „პატრიოტიზმში“ უფრო დახელონებული და გაწვრთნილი ჩემპიონები, რომელნიც არ შეარჩენენ მათ ბ. გოთუას ასე დამცირებას და პირველობის ხარისხს მოიპოვებენ. ჩვენ, საბედნიეროთ, გვყავს, ბ. გოთუას გარდა, ბბ. გუნიები და ხეობელნი!..

საქართველო ახლა ამ მხრით ჩამორჩება რუსეთს?!.. არიოსი.



პოპულარიზირებული განყოფილება

სხვადასხვა პოლიტიკური მოძღვრება.

1. სოციალიზმი.

(შემდეგი).

როცა უტოპისტი სოციალისტები და მათი მიმყოფნი კლასთა მორიგებით და საერთო შემთხვევებით პროლეტარიატის სვე-ბედის გაუმჯობესებას ქადაგებდნენ, ამავე პროლეტარიატმა თავისი მოქმედებით დაამტკიცა, რომ ეს ყოველად შეუძლებელიაო. მუშათა გაფიცვების გახშირებამ და განსაკუთრებით მათმა აჯანყებამ ლიონში 1831 წ. კაპიტალისტთა წინააღმდეგ ნათელ-ჰყო კლასთა ბრძოლის მიუცილებლობა პროლეტარიატისათვის. ამავე დროს დიდი ინდუსტრია, მუშათა დიდ ფაბრიკებში თავის მოყრა და სოციალური ბრძოლის გაღრმავება თანდათან მძლავრდება და საყოველთაოთა დასანახავი ხდება. უტოპიური სოციალიზმს თავის თავით ეკარგვის ნიადაგი და გზას უთმობს ახალი მიმდინარეობის შესაფერ მოძღვრებას, მოძღვრებას თანამედროვე, მეცნიერული სოციალიზმისას.

რატომ ეწოდება მას მეცნიერული? თუ რომელიმე მოძღვრება დამყარებულია შემთხვევაზე, კარგ სურვილებზე და ნატურაზე— ცხადია, ასეთი მოძღვრება მოკლებულია მტკიცე საფუძველს. და მართლაც, თუ სოციალიზმის განხორციელება გაბატონებულთა დაჯერებაზეა დამოკიდებული, როგორც ამას ამბობდნენ უტოპისტები, მაშინ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისიც, რომ მათი დაჯერება შეუძლებელია, ამ შემთხვევაში სოციალიზმიც ვერ ტარდება. ე. ი. ის შეიძლება მოქდეს, შეიძლება არა, ყოველივე დამოკიდებულია ბატონთა „კაიკაცობაზე“. ხოლო მეცნიერული ცოდნა ეწოდება ისეთ ცოდნას, რომელიც ამბობს, რომ მოვლენა განსაზღვრულ პირობებში აუცილებლათ უნდა მოხდესო. მაშასადამე აუცილებლობა მისი ძირითადი თვისებაა; აუცილებლობა კი ერთიანთა ეწინააღმდეგება შემთხვევას. ისეთი მოძღვრება, რომელიც იკვლევს საზოგადო ცხოვრების განსასწავლელ პირობებს, ადგენს მის კანონებს და აქედან სკვნის ეს თუ ის მოვლენა აუცი-

ლებლათ უნდა მოხდესო— იქნება მოძღვრება მეცნიერული.

თანამედროვე სოციალიზმიც სწორეთ აქედან იწყებს. ის პირველ ყოვლისა ებრძვის შემთხვევის მოძღვრებას და სკვნის, რომ საზოგადოება და ისტორია ვითარდება არა შემთხვევით, ადამიანთა ქეიფისამებრ, არამედ მტკიცეთ დადგენილი ისტორიული კანონებით, რომელთაც ბადებს იგივე საზოგადოება თავისავე წილში.

მეორეთ, ის იღებს განსაზღვრულ ხანას ისტორიისას, კაპიტალისტურ წყობილებას, იკვლევს მის კანონებს, არკვევს მისი მოძრაობის ჩარხს, სწავლობს მის თვითეულ მხარეს და აქედან გამოყავს მისი დანგრევის აუცილებლობა. პირველს ეწოდება თანამედროვე სოციალიზმის ისტორიული მოძღვრება, მეორეს — ეკონომიური.

მოძღვრება ისტორიული. ყოველივე ისტორიულ ხანაში ბატონობს წარმოების ერთიანი წესი და მისი მეთაური კლასი. საშვალო საუკუნეებში წარმოების გაბატონებული წესი იყო მეურნეობა და სხვილი მიწათმფლობელობა. ამ მეურნეობის ხელმძღვანელი და მიწათმფლობელი იყვენ თ. აზნაურები ანუ ფეოდალები. აქ, ვისაც მეტი მამული აქვს და მისი შემმუშავებელი მეტი ყმა ყავს, მეტი ძალა და მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში. დიდი მამულის პატრონი დიდი მებატონეა, ის თავის საკუთრების საზღვრებში სრული თვითმპყრობელი გამგეა, ის თავის კუთხის მეფეა და, რადგანაც ასეთი კუთხე და მეფე მრავალია— ამიტომ მათ შორის ხშირათ იმართება ომი უპირატესობისათვის. ეს ფეოდალთა ომია, გამარჯვებული კიდევ უფრო აღიდებს თავის მამულს, იმრავლებს ყმებს და ასე მრავალ პატარა ფეოდალთა მეთაურათ და წინამძღვრათ ხდება.

მიწის შემუშავება წარმოებს ყმების შრომით, ე. ი. იმ ადამიანთა მარჯვენით, რომელნიც ცხოვრობენ ფეოდალის მამულზე და გარეშე პირთა აკლება-მოკვლისაგან დაცული

არინ ამავე ფეოდალის მიერ. ამიტომ აქ ყმა ნატრულობს დიდ ბატონს, მძლავრ ბატონს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გაისრისება თავის ბატონის უფრო მძლავრ მოწინააღმდეგისაგან. თვითეული ოჯახი და სოფელი ამუშავებს ყველა იმას, რაც აკმაყოფილებს ყველა მათ მოთხოვნილებას.

ერთი სიტყვით, მამულის ბატონობა წარმოებაში ნიშნავს პოლიტიკაში ფეოდალურ წყობილებას: ყმობას, კარჩაკეტილობას და თ. ახნაურობის სრულ ბატონობას.

მარა აი ასეთ მდგომარეობაში შემოვარდა ფული და ყოველივე ეს მიანგრ-ქოანგრია. მამულის ბატონობას შეეცილა ფულის ბატონობა, მეურნეობას შეეჯობრა მრეწველობა და ვაჭრობა, სოფელს დაუპირდაპირდა ქალაქი და გაიმართა მათ შორის ომი. ერთი მხრით დადგენ ძველი ფეოდალები მათი ამყოლ-დამყოლებით, მეორე მხრით—ფულის პატრონები ანუ ბურჟუაზია თავისი ქალაქური წყობილებით. და აი, რამდენათ ინგრევა და მარცხდება პირველი, იმდენათ წინ მიდის და მაგრდება მეორე. ბურჟუაზიის სრული გამარჯვება ცხადდება დიდი რევოლიუციებით და ბურჟუაზიული წყობილების დამყარებით. ახლა წარმოების გაბატონებული წესის—მრეწველობა-ვაჭრობის—მეთაური კლასი აწყობს ყოველივეს თანახმად თავისი ინტერესებისა და შეხედულობისა. ჩაღდება ბურჟუაზიული სახელმწიფო, ბურჟუაზიული კულტურა, ხელოვნება და სხ. და სხ.

რაკი ფული გაბატონდა და წინანდელი ბატონი—მამული—ფულის სასწოროზე გადაიტანეს, ეს დია, ერიც უნდა დაყოფილიყო თანახმად ამ ლითონის ქონებისა; ფულიანი და უფულო, ბურჟუა და მუშა, კაპიტალისტი და პროლეტარი—აი ერის ახალი შემადგენელი ნაწილები. ძველი წოდებები ითქვიფება ერთმანეთში და იძლევა ორ დიდ ბანაკს ანუ კლასს: ბურჟუაზიის და მუშა ხალხს. ახლა ესენი ებრძვიან ერთმანეთს და ეს ბრძოლა შეადგენს ღერძს თანამედროვე ისტორიისას. შრომის გამარჯვება ნიშნავს ფულის ბატონობის გაუქმებას, მაშასადამე ბურჟუაზიული წყობილების მოშლას და მის ნანგრევებზე შრომის ბატონობის აგებას, სოციალისტური წყობილების დამყარებას. კაპიტალისტური წარმოება თვით ქმნის თავისავე მესაფლავეთ.

ამნაირათ, მამული, კაპიტალი და შრომა—აი ის სამი ეკონომიური მოვლენა, რომელიც შეიცავს დამახასიათებელ თვისებას სამ ისტორიული ხანისას. პირველია სარძიკველი წარსულის, მეორე აწმყოს, მესამე მომავლის.

აქედან გამოდის შემდეგი ისტორიული კანონი: ადამიანის უმთავრესი მოთხოვნილებაა კვება, ჩაცმა-დახურვა, ბინა და მოდგმის გაგრძელება. ამიტომ ამ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი საშუალებები შეადგენს სარძიკველს, რომელზედაც აგებულია საზოგადოების მთელი ცხოვრება. ამ საშუალებათ ეწოდება საწარმოვო ძალა. რამდენათ ეს ძალა იცვლება, (მაგ. შეილდ-ისარის მაგიერ ჩნდება თოფი. ხელის წისქვილის მაგიერ წყლის ან ქარის წისქვილი და სხ.), იმდენათ იცვლება ნივთიერი ცხოვრების წარმოების წესი და მასთან ერთათ დანარჩენი მხარეც ცხოვრებისა (პოლიტიკური, იდეური და სხ.). როცა საწარმოვო ძალა იმდენათ განვითარდა, რომ ის ვეღარ ეტევა ძველ პოლიტიკურ და იურიდიულ კალაპოტში, მაშინ ის ხეთქს ამ კალაპოტს, ე. ი. ხდება რევოლიუცია, რომელსაც მეთაურობს ახალი საწარმოვო ძალის ხელმძღვანელი კლასი. ეს კლასი ახლა იკეთებს ახალ პოლიტიკურ წყობილებას, რითაც ავითარებს თავის საწარმოვო ძალას. როცა ეს ძალა ვითარდება ისე, რომ ვეღარ დაეტევა თავის პოლიტიკურ ჩარჩოში—ხდება ხელ-ახალი რევოლიუცია, ანგრევის ძველ კლასებს და ბატონობას ანიჭებს ახალ კლასს.

როგორც ხედავთ, აქ აღიარებულია ისტორიული აუცილებლობა, მოვლენათა ერთი მეორისაგან ლოლიკურათ გამომდინარეობა. ეს არის ევოლიუციური შეხედულობა ცხოვრებაზე და მით მეცნიერული. მეორეც, აქ განვითარების ჩარხათ აღიარებულია ნივთიერი ყოფამდგომარეობის შეცვლა; ჯერ იცვლება მატერია და მერე იდეია. ეს არის ისტორიის მატერიალისტურათ ახსნა და მაშასადამე, მეცნიერულიც. თანამედროვე მეცნიერება არის ევოლიუციური და მატერიალისტური. მაშასადამე, სოციალიზმის ისტორიული მოძღვრება არის ხორცი. ხორცთაგანი თანამედროვე მეცნიერებისა.

ეს ისტორიული კანონი აღმოაჩინა და დაასაბუთა კ. მარქსმა.

სასოგადო მიმოხილვა.

ახალი ნიშნები.

წინა წერილში*) დასურათებულ რუსეთის მიმდინარე ცხოვრებას შავბნელ მხარეებთან ერთად თან ახლავს ახალი მოვლენანი, ახალი ნიშნები. თანდათან აშკარავდება, რომ დღეს თვით კაპიტალისტები ხდებიან იძულებული „თავისუფლების მეტი გარანტიები“ მუშებისათვისაც ითხოვონ. ამ მიზნით ისინი მთავრობასთანაც შეამდგომლობენ. რათ დასჯირდათ ეს კაპიტალისტებს? საქმე ისაა, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხებამ, რეაქციის გაბატონებამ, როგორც ყველა სფერაში და წრეში, ისე მუშებშიაც გააჩინა და გააძლიერა დემორალიზაცია, გარყვნილობა, მრავალგვარი ანტისოციალური მიდრეკილება, მაგ., ქურდობა, სამუშაო დღეების უმიზეზოთ გაცდენა, ლოთობა, ლანძღვა-გინება და სხვა ამგვარები; და, აი, ყველა ეს კაპიტალისტებმა თავის საზარალოთ ცნეს, რადგანაც ასეთ მოქმედებას წარმოებაში დეზორგანიზაცია, არევა-დარევა შეაქვს. ისინი იძულებული გახდნენ ამ მოვლენისათვის ანგარიში გაეწიათ და საკირო ზომები მიეღოთ. ამის მაგალითი პირველათ პეტერბურგის ერთ-ერთ ქარხნის დირექციამ მოგვცა. როცა მან ზემოაღნიშნულ მოვლენის წინააღმდეგ თავისი საკუთარი ძალ-ღონით ვერა გააწყო რა, მიმართა „თავის მუშებს“, რომ მათვე მოეხდინათ თავის „უკან ჩამორჩენილ“ ამხანაგებზე საკირო გამასწორებელი ზეგავლენა. მუშებმა მას თავისუფლათ შეკრების ნება მოთხოვეს და დირექციაც იძულებული შეიქნა შეამდგომლობა გაეწია ქალაქის უფროსთან და აეღო მისგან თავის მუშებისათვის საკირო ნებართვა.

* * *

მეტათ საყურადღებო ამბები ხდება დღეს ბაქოს პროლეტარიატის ცხოვრებაში: გამძვინვარებული რეაქციის ბატონობის დროს ახლანდელ ყოველმხრივ შემდორებულ ცხოვრებაში არსდება „მუშათა პარლამენტი“. რამ გამოიწვია ასეთი საკვირველი მოვლენა ისეთ განაპირა ქალაქში, როგორც არის ბაქო? ბაქოს ნავთის მწარმოებლებს, კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ ნავთის წარმოების პირობების გასაუმჯობესებლათ მოეწვიათ თა-

ვიანთ „თათბირზე“ მთავრობის ჩინოვნიკებთან ერთად მუშათა წარმომადგენლებიც და მათთან შეთანხმებით შეეკრათ „კოლექტიური ხელშეკრულობა“, რომლის დანიშნულება ეთომდა უნდა ყოფილიყო ნავთის მუშათა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. და აი დღეს ამ გადაწყვეტილების ძალით და მთავრობის თანხმობით ბაქოს პროლეტარიატი ენერგიულათ აწარმოებს ეგრეთ წოდებულ „სოვეშჩანიეს კამპანიას“. როგორც ხედავთ, ბაქოს კაპიტალისტები, თავგამოდებით მზრუნვენ მუშების ცხოვრების გაუმჯობესობისათვის!!! საკვირველი ამბავია განა, მკითხველო? ვის გაუგონია, მგელი ცხვისსათვის კარგ საძოვარის მოძებნას ფიქრობდეს?! მთავრობა მაინც რამ-ღა გააბრიყვა? აი რამ.

ნავთის წარმოება რუსეთში, ეს მისი მრეწველობის საფუძველია, რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების ხელშემწყობი ერთი მთავარი პირობათაგანია. როცა ძლიერია ნავთის წარმოება, იაფია ნავთი და „მაზუთი“, რუსეთში მაშინ წარმოებისა და მრეწველობის ბევრი სხვა დარგიც ძლიერდება, მისი ნაწარმებიც იაფდება და ამნაირათ ბაზარსაც ადვილათ პოულობს. აქედან, ცხადია, მთელი სახელმწიფოს წარმოებაც ძლიერდება და ხალხიც ნივთიერათ ღონიერდება. გარდა ამისა, რუსეთის მთავრობას ნავთის წარმოების აღორძინებაში თავისი განსაკუთრებული ინტერესიც აქვს. ეს არის ხაზინის შემოსავლის გადიდება. ამნაირათ, როგორც კაპიტალისტების, ისე მთავრობის არსებითი ინტერესია, რომ ნავთის წარმოება არა გზით არ შეფერხდეს. მათი აზრით კი ნავთის წარმოებას სხვათა შორის ძალიან აფერხებს მუშათა ხშირი ვაფიცვები. ამავე დროს მათ ისიც კარგათ იციან, რომ ნავთის წარმოების წარმატება მუშათა ვაფიცვების თავიდან აშორებით შეიძლება, ხოლო მუშათა ხშირი ვაფიცვების თავიდან აშორება კი მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებით და „კოლექტიური ხელშეკრულობით“ მოხერხდება. აი, რათ იწვევენ ისინი „სათათბიროთ“ მუშათა წარმომადგენლებს, რათ ფიქრობენ ისინი მუშათა ცხოვრების გაუმჯობესებაზე, აი, რათ ზრუნავენ ეს მგლები ცხვრებისათვის! ასეთი ტაკტიკით მთავრობა, რა თქმა უნდა, მეტ მოგებას ფიქრობს: ერთი მხრით ამით აძლიერებს ხაზინას, მეორე მხრით მუშათა ვაფიცვების შეჩერებით, „მუშათა მოძრაობის“, ამ

*) იხ. „ეკალი“ № 1.

საშინელი რისხვის, შეფერხებას, ხალხის უკმაყოფილების შესუსტებას და ამნაირათ თავისი პოლიტიკური პოზიციის გამაგრებას ცთილობს. აი, რათ ეთანხმება და ხელს უწყობს მთავრობა ამ საქმეში ბაქოს ნავთის „კაროლებს“!

მარა, როგორც ვიცით, ცხოვრება კაპიტალისტებისა და მთავრობის ინტერესებით არ განისაზღვრება. ზოგჯერ მოწინააღმდეგე თავის სასარგებლოთ იყენებს მის წინააღმდეგ მიმართულ ბრიკებს. და, აი, დღესაც პროლეტარიატი თავისი კლასიური ინტერესების თანხმით ისევ თავისებური ენერგიით იწყებს ზემო-აღნიშნული მდგომარეობით—თავისუფალი კრებებით, „თათბირით“ და მსჯელობით სარგებლობას. მან ბაქაში უკვე გააჩაღა „მუშათა პარლამენტარიზმი“.

* * *

პროლეტარიატის და საერთოთ ხალხის ამოძრავება-თვითმოქმედებას კიდევ უფრო ხელს უწყობს ამ ბოლო დროს ცხოვრებაში შემჩნეული ერთგვარი მიმდინარეობა, სახელდობ ხალხის „კულტურული“ მიდრეკილება, მეტი შეგნების და ცოდნის შექმნის წყურვილი. მხოლოდ არ ეტყობა ცვლილება ჯერ-ჯერობით ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას. ეკონომიური ზღვა ცხოვრებისა ისევ შემდორებულია და ამიტომ ყოველი მოძრაობა, ყოველი მექანიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების უსიცოცხლო და უენერგოა. მარა საკმაოა ოდნავ შეტოკდეს ეს ზღვა, ოდნავ წამოიწიოს რუსეთის წარმოებამ, რომ მაშინვე გაჩაღდეს ბრძოლა, ბრძოლა კლასიური, ეკონომიური და პოლიტიკური, რომ პროლეტარიატიც დაუყონებლივ ზე-აღნიშნულს ღე კვლავ ისევ თავის მიზნისაკენ მდგრატ, შეუჩყველათ და შეუპოვრათ გაექანოს.

უანლენი.

როგორ უნდა შევისწავ-

ლოთ სოციალიზმი?

როგორც პირველ წერილში*) ვამბობდით, მეცნიერულ სოციალიზმის საფუძვლიანათ შესასწავლათ აუცილებლათ საქიროა კლასთა ბრძოლის ისტორიის გაცნობა. ვისაც კაპიტალისტური საზოგადოების შინაარსის გაგება სურს, ის აუცილებლათ, მოკლეთ მინც, ამ საზოგადოების ისტორიული განვითარებას, მისი წარმოშობის ისტორიას უნდა გაცნოს. ამ მიზნისათვის კაცმა უწინარეს ყოვლისა

*) „ეკალი“ № 1.

ფრიდრიხ ენგელსის ცნობილი წიგნი: „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“ უნდა წაიკითხოს. თუმცა ამ წიგნის ზოგიერთი ალაგები უკვე დაძველებულია, თუმცა თანამედროვე მეცნიერების თვალთსაზრისით ოჯახის წარმოშობა-განვითარება ყველა ხალხებში ერთი სახით და ერთგვარათ არ ხდებოდა, როგორც ეს ენგელს აქვს თავის წიგნში განმარტებული, მაგრამ დასახლებული წიგნი საზოგადოთ დღესაც საუკეთესო ნაწარმოებათ ითვლება საზოგადოების ისტორიული განვითარების შესასწავლათ. რაც შეეხება საშვალო საუკუნეთა კლასთა ბრძოლის და საერთოთ ეკონომიური ურთიერთობის გაცნობას,—ამ მხრივ უძვირფასესია კარლ კაუცკის კრებული: „სოციალიზმის წინამორბედი“. საშვალო საუკუნეებიდან დაწყებული ახალი საუკუნის უმთავრესი გარდამავალი ხანის შესასწავლათ საქიროა კაუცკისავე ცნობილი წიგნის: „თომას მორი და მისი უტოპიის“ გაცნობა.

კაპიტალიზმის პირველი პერიოდის და თანამედროვე აბსოლიუტიზმის გასაცნობათ ძალიან დაგვეხმარება კამპფეიერის წიგნაკი: „თანამედროვე საზოგადოებრივ კლასთა ისტორია გერმანიაში“ და ფრანც მერინგის „ლესინგის ლეგენდა“. საფრანგეთის რევოლიუციის დიად მნიშვნელობას მთელი ევროპის სახელმწიფოებისთვის უნდა გავცნოთ ბლოსის „საფრანგეთის რევოლიუციის“ და კაუცკის, „კლასთა წინააღმდეგობა 1789 წ.“ საშვალეებით.

მეცხრამეტე საუკუნის დიადი კლასობრივ ბრძოლა შემდეგ ნაწერებში არის განმარტებული: მერინგის „გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში“, ბლოსის „გერმანიის რევოლიუციაში“, ლოდინსკის „საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიაში“, ჰერიტერის „საფრანგეთის 1848 წ. რევოლიუციის ისტორიაში“, ბახის „ვენის რევოლიუციის ისტორიაში“, ლისაგრის, „1871 წ. კომუნის ისტორიაში“, ვების „ბრიტანიის ტრედ-უნიონიზმის ისტორიაში“. სოციალიზმის ისტორიის შესწავლა-შეთვისების დასავვირგინებლათ დავასახელებთ კარლ-მარქსის ცნობილ ისტორიულ ნაწარმოებს: „რევოლიუცია და კონტრ-

რევოლიუცია გერმანიაში“, „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში“ დ „მეთვრამეტე ბრიუმერი ლუი ბონაპარტისი“.

მდიდარი და ძვირფასია ზოგიერთა ბურჟუაზიულ იდეოლოგიების ლიტერატურული ნაწარმოები სოციალური და ეკონომიური ისტორიის შესახებ, მაგრამ მუშებისთვის ჩვეულებრივ ხელ-მიუწოდებელია, რადგან, ერთი მხრით, ისინი აღნიშნულ საკითხზე მეტათ სკელ-ტომიან წიგნებს სწერენ, მეორე მხრით კი მათი შესწავლა აუცილებლათ თხოულობს ისტორიულ და იურიდიულ მომზადებას. ამ ბოლო ხანებში გამოვიდა ბურჟუაზიულ მწერალთა ბევრი ისეთი პოპულიარულ-მეცნიერული წიგნები და წიგნაკები, რომელთა წაკითხვა ერთობ გაუფართოებს ადამიანს პარტიულ შეხედულობა-შემეცნებას. ჩვენს მკითხველებს შეგვიძლია ვურჩიოთ შემდეგი წიგნების გაცნობა: კარლბიუხერის „სახალხო ეკონომიის წარმოშობა“, დელევილის „პირველყოფილი საკუთრება“, მილიუკოვის „კულტურის ისტორია“, ლიპერტის „კულტურის ისტორია“, დოკტორ პოლეს „გერმანიის მეცხრამეტე საუკუნის ეკონომიური ცხოვრების განვითარება“, გ. მაიერის „სოციალური მოძრაობა და თეორია თანამედროვე მუშათა მოძრაობამდის“.

ვურჩევთ ჩვენს მკითხველებს პირველათ ჩვენ მიერ დასახელებული პარტიული ლიტერატურიდან ისტორიული ნაწერები წაიკითხოთ, შემდეგ კი ბურჟუაზიულ მწერალთა წიგნები. ამ წესით ანუ ამ რიგით წიგნების წაკითხვას ჩვენ მიტომ კი არ ვთვლით საჭიროთ, რომ ვითომ პარტიული ლიტერატურა ბურჟუაზიულზე ადვილი გასაგები იყოს, არამედ მიტომ, რომ ბურჟუაზიული ნაწერების შეურჩევლათ და უსისტემოთ შესწავლა გაუწვრთნელ მკითხველს სწორ გზას გადააცდენს, პარტიულ შეხედულობას შეურყევს და ნიადაგს გამოუცვლის.

ვინც პირველათ სოციალიზმის ისტორიულ ლიტერატურას გაეცნობა, მას უკვე მთლიანი და გარკვეული წარმოდგენა-შეხედულობა აქვს შემუშავებული სახალხო ეკონომიის განვითარების შესახებ. როცა ასეთი შეხედულობის შეთვისების შემდეგ ის გადა-

იკითხავს ჩვენ მიერ დასახელებულ ლიტერატურულ ნაწერებს, ამით ის ეცნობა ჩვენ მოწინააღმდეგეთა შეხედულობას, ეცნობა მათ ბურჟუაზიულ თვალთსაზრის. წინააღმდეგი შეხედულობა მას ახლა ვეღარ აუბნევს გზაკვალს, პირ-იქით, ახლა მას თვითონაც ადვილათ შეუძლია დაუპირდაპიროს ერთი შეხედულობა მეორეს და გააარჩიოს მათი ნაკლი და ღირსება. კაცს ჯერ საფუძვლიანათ უნდა ქონდეს შეთვისებული სოციალიზმის ძირითადი ცნებები, ის მაგრათ უნდა იდგეს პარტიულ ნიადაგზე, რომ მოწინააღმდეგეთა სწავლა-მოდღვრების კრიტიკულათ შესწავლა შეძლოს.

ვისაც უნდა ზუკეთესათ შეიგნოს, საფუძვლიანათ შეითვისოს ჩვენი პარტიული ლიტერატურა, მეთოდოლოგიურათ და ღრმათ შესწავლოს მისი მეცნიერული შინაარსი, მან პარტიული ლიტერატურის უფრო ღრმა შინაარსიანი ნაწერები უნდა წაიკითხოს, მაგრამ ამის შესახებ გვექნება საუბარი შემდეგ წერილში.

შვარცი.

გ ა ნ ც ხ ა ლ მ ბ ა

სტამბა, სააგენტო და წიგნის მაღაზია

ამბ. „სორაპანი“-სა.

პირველი აპრილიდან ამბ. „სორაპანი“-ს თფილისში მადათოვის კუნძულზე გახსნა წიგნის მაღაზია. მაღაზიასთან მოთავსებულია ამბ. „სორაპანის“ კანტორა და აგენტურა სადაც მიიღება:

1. ყოველგვარი სასტამბო საქმეები;
2. შეკვეთა ბიბლიოთეკა-წიგნოსაცავების გაწყობის შესახებ;
3. საკომისიოთ და ნაღდათაც ყოველგვარი ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოები;
4. გამოსაცემათ, როგორც სახელმძღვანელო და სკოლებში სახმარებელი, აგრეთვე ყოველგვარი დარგის ლიტერატურული ნაწარმოები.

რადგანაც ამბ. „სორაპანს“ აქვს კარგათ მოწყობილი ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, წიგნის მაღაზია და წიგნებისა და ჟურნალების სააგენტო საქართველოს უმთავრეს ადგილებში მაგ. ბათუმში, სურამში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, სამტრედიამში, ხონში, სენაკში, ფოთში, ქუთაისში, ყვირილაში, კიბათურაში, მიხაილევში, გორში, თელავში, სიღნაღში და სხვ. ამიტომ მას საშუალება აქვს ყოველივე ზემოხსენებული აასრულოს პირნათლად და ზომიერ ფასებში.

წიგნების გამოწერა შეიძლება: 1—2 მანეთამდე მარკების წინააღმდეგ გამოუხანით. 2—10 მანეთამდე უნდა გამოიგზავნოს წინააღმდეგ 2 მ. მეტისა კი რამდენიც უნდა იყოს 1/6, 20% ანუ მანეთზე ერთი აბაზი.

აღრესი ფოსტის და ღებულისა:

თიფლისი „Сорашин“.



კ უ რ კ უ რ ი.

(მ. გვაზავას „აკადიან“)

„შე ვიკრებ ძალებს, ¹⁾
 ხეში დუდს ვანი,
 და ტუტუა ქალებს ²⁾
 ვუკატნი თვალებს—

ხშიად მართოდებს ³⁾
 ლამაზი ტანი. ⁴⁾

იმას ვესევი,
 ვეკურგურები, ⁵⁾
 ბორკილთ დამსრევი
 რამ შექნა დევი ⁶⁾—
 შტრისა დამქტევი—
 ქვეყნის გმილები. ⁷⁾

(„ნიშნული“ № 40)

შენიშვნები: ¹⁾ თქვი, ვინ გახალბებს?

²⁾ ფხიზლებს თუ მთვრალებს?

³⁾ და გაკანკალებს?

⁴⁾ შენი წამტანი?

⁵⁾ შენი სიცოცხეთ
მეც ვიმღულრები.

⁶⁾ ურცხვათ ტრაბახსა
რისთვის მოყვევი?

⁷⁾ ცხადია, შენ ხარ
დასატირები!..
არ მამრავლო
მზგავსი ვირები!..

ასოთ-ამწყობი.

რედ.-გამომცემელი პლატონ გაჩეჩილაძე.

13 აპრილიდან თფილისში გამოდის განახლებული იუმორისტულ-პოპულიარული
 მოკვლავირიული ნახაბმიანი უზრნალი

„ეკალი“

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ: ა. — ივ. გომართელი, შვარცი, რაქდენიძე, ვა-
 ლენტინ, ჟანლენი, ჭალარა, ნ. ხ., ი. ნიკოლაიშვილი, მონავარდე და სხვები.

ჟურნალში აწის ორი განყოფილება: იუმორისტული და პოპულიარული. პირველ განყოფილე-
 ბაში დაიბეჭდება ყოველგვარი იუმორისტული ნაწა მოები: ლექსები, კუმლეტები, სტენკი, სურათები,
 კომედიები, ანეკდოტები და სხვა. მეორე განყოფილებაში—მდაბაოთ დაწერილი წერილები: პოლი-
 ტიკურ ეკონომიდაწ, ბუნების მეცნიეებიდაწ, მედიცინიდაწ და სხვა; შესანაშნავ შწერალთა და მო-
 დგაწეთა ბიოგრაფიები, სურათები, ბიბლიოგრაფიები და სხვა.

ჟურნალი ღირს 1 წლით 5 მან.

ცალკე ნომერი 10 კაპ.

კორესპოდენტებს და თანამშრომლებს მიეცემათ შესაფერი ჭნორარი მოლოთ იმ შემთხვევაში,
 თუ წინდაწინვე გვაცნობებენ თავის პირობას.

დასაბეჭდი წერილები ერთ გვერდზე უნდა იქოს დაწერილი კაკვეული ხელით.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисть. Тип. „Сораниъ“ Александру Мумладзе
 „ეკალის“ ძველი ნომრები ერთათ შეკრული იყიდება 50 კაპ.

მეგობარი

№ 4 იუმიორისტულ-პოპულარიზირებული ჟურნალი 1908 წ.



ბოტბერ

სცენა დუბაში.

I

კოკოვცევი. ამ ჩვენს კურთხეულ, წმიდა რუსეთში
 „გმადლობ ღმერთს, არ არს ზარღამენტიო“ ...
ხომიაკოვი. რაებსა ამბობ!!! რაებსა წმინდა!!!
 მინისტრი ხარ თუ გინმე ტეტიო?!
კოკოვცევი. ჩანს, შე საბრალო, ჭკუაზე თხლათ
 ხარ,
 ააჟს დაგსვევია სწორეთ რეტიო!..

ხომიაკოვი. ჩუ, ხმა გაკმინდე! არ დაძრა კრინტი!..
 მე ბრაზი მომდის შეტის-მუტიო!..
კოკოვცევი. მამ სეუ არის? მე შენ გინფენებ,
 როცა მოვხიება ზურგზე კეტიო!..
 II
კოკოვცევი. ამ ჩვენს კურთხეულ, წმიდა რუსეთში
 „გმადლობ ღმერთს, არ არს კონსტიტუცია“ ...
ხომიაკოვი. აბა უუუუეთ ამ ჩვენს მინისტრსა,
 რა ბრიყვი არის, რა ტუტუცია!!!
კოკოვცევი. მე გიმეორებთ, რომ თქვენთვის
 არვის

კო სტიტუცია ან მოუცია.

ხომიაკოვი. რას ნიშნავს ესა?!.. შეთქმულობა?!
მალაღ სფერებში ფაცი-ფუცია?!!

III

სტოლიპინი. ვინა გაბედა, რომ ჩემს ამხანაგს
გუშინ წიგნი დაეჭუცა?

კოკოვცევი. აი ის იყო, ხომიაკოვი,
ამ ტრიბუნადან რომ განაქცია.

სტოლიპინი. ხომიაკოვო, ან შენ და ან მე!..
ბოდიშისათვის დრო მომიცია.

IV

ხომიაკოვი. ბოდიშს ვითხოვ, ვარ მე სულელი...
ახა სად არის კონსტიტუცია?!..

ჩანს, ვინცა მოგვცა, მანვე წაგვართვა,
მასწავლებელ მისთვის მას ჩაუცია!!!..

ფიციცაგ ოკტომბრის მტყვიდმეტესა,
არ არის აქა ხარლამენტი...
მიტომ წამომცია გუშინ ეს სიტყვა,
ბიძში ენა რომ არ დაეცია!..

V

ჭა, მინისტრები, მსიარულეები,
ამბობენ: „კარგი, ხო, არა უშავს“,
დუმის კლოუნი, ზურიშკევინი,
გასარებული ხტუნვით ტაშს უკრავს.

ფანდი.



საალღომო ვიზიტები.

(დასასრული).

უფრავთ და უცილინდროთ
მხოლოთ ჩემი ძველი ბლუსით
მუშებისკენ გავეჩქარე
კუზინა ჩემა მუსით.
მივაღიქვი ნაცნობ ქახსა,
მიც შევედი მხაირულათ
და იქ ვინაჲ ამხანაგა, —
შეკრებილი ყველა სრულათ.
ნესტიან და ბნელ ოთახში
სიღარბე იყო სრული

და ტანჯული ცხოვრების
სურათი და სახე კრული...
იმათ სტოლზე არ ელაგა
არც შაჰი და არც დგინო...
გაგნერდები, თვარა ვშიშობ, —
თქვენ რომ თავი შეგაწყინო?..
მივადანე: „ამხანაგო,
არ ვიდგარა ჯერ ის დმერთი,
ვინც რომ არის ჩვენი ძალის
შემადულებ-შემავრთი!“..
შემომძახეს: „არ ვიდგარა,
მარა ამის ნუ გაქვს შიში“...
წამხთარ საქმეს არ რას არგებს,
მწუხარება, კვნესა, ვიში“.
ყველას თვალი მიმოვაგლე,
გაუშინაჲ ნიბის სახე, —
სედ იმედი გამარჯვების
სულ ყველასე დავინახე.
ვთქვი: „დიდება მუშა ხალხსა,
რომ არ ტუდება მისი გული,
კვლავ საომრათ ემზადება
დეეს დატანჯულ-დახატრული!“
— ამხანაგო, დიწყო და
ზეწამოდგა ერთი მუშა,
თქვენც კი იცით, ჩვენი საქმე
რამ დამხო, რამ დაუეშა!..
ტლანქი ძალა დაგვწოლია,
როგორც ერთი მაჯლაჯუნა, —
უკუდმართმა ვითარებამ
გამარჯვება რომ არგუნა...
და ვიტანჯვით ძველებურათ,
არვისა აქვს ჩვენი რიდი,
გაბატონდა კვლავ ჯალათ,
კვლავ მტარვალი, — ცრუ და ფლიდი...
ასეც უნდა მომხდარიყო, —
მოვლენა ბუნებრივი:
ჩვენ დამარცხდით, მიტომ რომა
კვპირს სიბნელე გონებრივი.
სადაც სუფევს უფიცობა,
სურტი არის სად კავშირი, —
ცაღია, რომ დამარცხება
აქ იქნება ძრიელ სშირა.
მამ, შორს ჩვენგან უფიცობა, —
ჩვენი უელის გამომსრელი,
სედო ავილოთ იარაღი
სამადროვო, მარჯვეთ მსრელი!..

და მამინ კი შეიქნება
 სოხილი და ძალია დრეკა...
 ყრიაპული გამარჯვების
 და სარების სიშირი რეკა!“

მომეწონა მე. ეს სიტყვა, —
 გულის იმედის ხანარგველი;
 აღარაა ვიღო, დღეს რომ მტანჯვენ,
 გამარჯვებას რაკი ველი.

კრიმანჭულაძე.



რა მადონებს? რა მახარებს?

რა მადონებს? ის, რომ ვხედავ
 ხემებრ დაშვარ-დადაგულსა,
 მუღამ შრომის უღელს ქვეშ მყოფს,
 უსამართლოთ დახაგრულსა.

რა მადონებს? ის, რომ ვხედავ
 მუქთა სორა ბურჟუებსა,
 სხვისი შრომით რომ ივსებენ
 თავის უძირო ჯიბებსა.

რა მადონებს? ის, რომ მესმის
 მშრომელ ხალხის ტანჯვა-კვნესა...
 შიშლით რომ სული ხდება

ყოველ წელს და ყოველ დღეს!..
 მე მადონებს, რომ ცხოვრება
 უკუდმას მოწყობილი:
 სვენ თფლს ვდროთ და ნაშრომის კი
 გვრჩება მხოლოთ მცირე წილი..

რა მადონებს? ის, რომ ვხედავ
 მშრომელ ხალხის ასე წველას,
 რომ სიმართლის თქმის გულისთვის
 ის აუფენ სისრჩობელას!..

რა მახარებს? ის, რომ ვხედავ
 ჩაგრულ ხალხის კადვიტებს,
 ბრძოლისთვის რომ ემზადება
 და ძირს უთხრის ბოროტებს..

რა მახარებს? ის, რომ ვხედავ
 მუწა ხალხსა ბრძოლის ველზე,
 მთხურათ რომ ქედს არ იხრის,
 იერიში მიაქვს მტრებზე.

რა მახარებს? ის, რომ ვხედავ
 ჩაგრულ ხალხის გამარჯვებას,
 მჩაგრულ ძალის, ბნელი ძალის
 მოსწობას და დამარცხებას!..
 მეჩხერელი მუშა.

ნ ა წ ა მ ბ ი .

იმედის მწვერვალს,
 დიად მომავალს,
 აწმეოს გრიგალი ჩამოთვარა
 და „ამბოხ მოსას“,
 შრომის ქვეყანას
 გულზე გაეკრა მწუხრის სეწასა...
 როს ის დამღერდა,
 გული უძკერდა,
 ამაყთ, მძლავრათ უღიმდა ბედსა
 და გაბედულათ,
 დიას ღომიგულათ
 მტრის ძალას შედგრათ უწვდიდა მკერდსა...
 მაგრამ ძლეული,
 უკუქცეული,
 ბრძოლის ველიდან დაბრუნდა ფროთხილათ
 და დამარცხება,
 მტრის გამარჯვება,
 დღეს მან მიიღო მწარე გაკვეთილათ.
 შავი ფროთხანი,
 არ სხივოხანი,
 დღეს კვლავ დაჩხავის მამგრალთა ბედსა...
 და თავის უფსკრულით
 ჭკქა-ქუხილით
 სსრდილავს მომავლის შარავანდელს!..
 მაგრამ ტყუილათ,
 მხოლოთ ბზუილათ!..
 არ გაჭრის მისი მძლავრი ხეოქება!..
 კვლავ გატოცხლდება,
 აღიმართება
 სსქვენო ტოკვას, სულის კვეთება.
 თვით მომავალი,
 ეს ძალია-ძალი,
 შრომის ბანაკში დღეს იტყდება,
 და გამარჯვება,
 მით განახლება
 იმას ეკუთვნის, მისი იქნება!..

ღ.

ს ა უ ბ ა რ ი.

1-ლი მკითხველი. ამ ბოლო დროს ძალიან აბუჩათ კი იგდებენ ჩვენს ქალაქში მცხოვრებლებს: ტრამვაიც ტყავს აძრობს, ცირკიც, თეატრიც, ვეჟილიც და ექიმით, მარა დღეს მხოლოდ ჰირველ ორზე ვისაუბროთ.

2 მკითხველი. მეც ეს მაკვირვებს, მარა სადაა პატრონი, ვინ აქცევს ყურადღებას?! წარმოიდგინე, კვირა-უქმე დღეს დილიდან. სალამოდის რომ იცადო, კონკის ვაგონში ვერ ჩაჯდები, ტევა არაა!.. გაჩერდება თუ არა ვაგონი, შეიქნება დაგროვილი ხალხის იერიშით ზედ მისელა მარა, შენც არ მომიკდე, ტყუილათ!.. გამართება ჩხუბი, დავიდარბა, ლანძღვა-თრევა და დაბოლოვდება ან კონდუქტორის მიერ მგზავრის ცემა-ტყეპით ან და უკანასკნელის მიერ ჰირველის სილის გაკრა-გამოკვრით!.. და ეს გასაკვირალიც არაა, რადგან დიდი ხნის ყურყუტი ი მოთმინება ეკარგება ყველას.

1 მკითხველი. ტრამვაის საქმე სულ აიჩია მას შემდეგ, რაც მას დირექტორათ ვილაც ალიბეგოვი მოველინა. ეს ვაჟბატონი მხოლოდ იმას ცთილობს, როგორმე მოსამსახურეები შეავიწროვოს, ბრძოლით მოპოვებული უფლებანი ხელიდან გამოაცალოს, თვარა ვაგონების მომატებაზე, მოძრაობის მოწესრიგებაზე და ამისთანებზე თავს არ იტყვიებს. ჩანს, რეაქციის მოტრფილვე ვინმე ბძანებულა!..

2 მკითხველი. ალიბეგოვი, რომ ასე იქცევა, —ეს მე სრულებით არ მიკვირს, რადგან, ცხადია, ისა და მისთანები საუკულებართთ არიან მოვლენილი, მარა გასაკვირალი ისაა, რომ ქალაქის „მამები“ მხოლოდ სეირს უყურებენ და ასეთ უწესოებას ყურადღებას არ აქცევენ!.. მოქალაქემ, ხალხმა რა უნდა ქნას თავისთავათ და ისიც რეაქციის ბძანებლობის დროს?!

1 მკითხველი. ტრამვაი ხომ აძრობს და აძრობს ტყავს მოქალაქეებს, მარა ნიკიტინის ცირკიც არ აყრის მასხეირს, ისიც ცთილობს, რომ ბნელი ხალხი რაც შეიძლება მეტი ამინუნოს, მეტი სისხლი გამოწოვოს მას, მეტათ გარყვნას და გააფუქოს!..

2 მკითხველი. შენ, უთუოთ, იმაზე ლაპარაკობ ცირკში პრემიებს, საჩუქრებს, რომ აძლევენ ლოტარით. ესეც ახალი ფულის მახეა ჩვენში. ჯერ არის და გაზეთებს აქრელებენ განცხადებებით: მოდიოთ ცირკში, რეაისი მანეთი გერგებათ საჩუქრათ და ღმერთი

არ გაგიწყრეთ, ხელი არ შეაცილოთ ასეთ მუქთ საშოვარსო, მერე ქუჩა-ქუჩა დაატარებენ ცხენით ასეთსავე ვეებერთელა აფიშას და ამნაირათ საბრალო ხალხს მახეში აგდებენ!.. სალამოს ცირკის არე-მარეზე ხალხის ტევა არ არის, არის ერთი ვაი-უშველვებელი და ჯლიგთი ბილეთის აღების გულისსაყის!..

1 მკითხველი. ბილეთები!.. მერე იცი, რა მამასისხლათ ყიდიან!! ესაო და შეიძლება საჩუქარი გერგოს და ამისთვის აბაზიანი ბილეთი მანეთათ იყიდე, მანეთიანი ხუთმანეთათო, —ასე გამოდის. ის ჯახრიკა ცხენები, ის დავარდნილი ხარ-კაჟეები, ის დაშლილი ურმები და საზოგადოთ ყველაფერი, რაც კი ხანდახან ათასში ერთს ვინმეს ერგება იქა—ერთათ რომ აილოთ სულ ყველა, ოც თუმნათაც არა ღირს, ხოლო ხალხი კი ბილეთებზე აწეული ფასების შეტანით ათას თუმნობით აგებს და თავისი თხელი ჯიბით ამდიდრებს ვილაც კლოუნებსა და ჩემპიონებს!!

2 მკითხველი. ასეა, ჩემო კარგო! ეს დღეს გაბატონებული რეაქციის მწარე ნაყოფია!.. უვიცი, შეუგნებელი და დამონავებელი ხალხის გემოვნება დღეს ძალზე გარყვნილია, მის აზროვნებაში სრული ანარქია და არეულობაა, მისი ცხოვრება დღეს ღვრია ზღვას წარმოადგენს, რომელშიაც ბნელი ხალხი ტოპავს, ხოლო ალიბეგოვები ნიკიტინები და სხვა მისთანები დახელოვნებული მეთევზეები არიან და ღვრია წყალში ადვილათა იქერენ თევზებს.

1 მკითხველი. როდის მოვა ნეტა გონს ეს საბრალო ბრბო? როდის მოვლება ბოლო ასეთს მის ყვლეფა-ცარცვას?

2 მკითხველი. ჯერ მაგაზე ფიქრი ნაადრევია, მეგობარო! ხალხი ასე ადვილათ ვერ სწავლობს ჭკუას: ამ ჩვენს ქალაქში ჯერ იყო რე საორსულო კასებმა გაყვლიფა და დაატყუილა აუაზებელი ხალხი, ახლა ტრამვაი და ცირკი აძრობს ტყავს, ხვალ კიდევ სხვა მყვლეფავი გამოჩნდება და აქე ბოლომდის. ბნელი ბრბო კი ხან ერთის ანკესზე წამოეგება, ხან მეორისაზე და თავის უბედურსა და სასირცხო მდგომარეობას მაინც ვერ შეიგნებს.

1 მკითხველი. დიახ, მართალს ამბობ, ხალხის გათვითცნობიერებას დიდი დრო და დიდი შრომა უნდა, და დღეს კი არც დროა ჩვენს ხელში და და არცა შრომის უფლება, რადგან ყველგან რეაქცია ბძანებლობს, ყველგან რეაქცია ბატონობს...

ბელახანი.





მომსიბლავი გაზაფხული.

მ ი წ ი ს მ უ შ ე ბ ს .

გაზაფხულდა, სასტიკ ზამთარს
დაეხწიეთ ძლივსლა თავი;
აყვავილდა ტყე და ველი,
არს საამო სანახავი.

აგერ კაფემ *) გადმოგვძახა,
ირგვლივ ისმის ფრინველთ სტვენა,
კვლავ ცხოვრება აჩუხჩუხდა,—
ჩვენცა ვიწყობ ოფლის დენა,
კავს შევებათ ხარ-კამეჩი,
სახნის პირი მოვუღესოთ,
გლებები ვართ, მიწის მუშა,
უნდა ეხნათ და უნდა ვთესოთ.

დეე, გვედგას თვალწინ მტრები
ცეცხლითა და მახვილითა,
ხან მოკლეა მათი ღონი
ხრინწიანი ძახილითა!..

შრომა, მარა თან სიფხიზღეც!
მიზნისაკენ გზა ვიკაფოთ,
არ მოეხაროთ მტრის წინ ქელი,
დასახვედრათ გაეიწაფოთ!..

შხანკოლა.

მ ა შ ი ნ დ ა ვ ტ ა ზ ე ბ ი . . .

მაშინ დავტკებები და გავიხარებ,
ტანჯულ უკულ შვევა მოფინება,
როს დამარცხდება ბნელი წვედიდა,—
ქვეყნათ სინათლე მოგვევლინება.

ოდეს მაშვრალნა და ტვირო-მიძიენი
ადფრთოვნდებიან, გამხნეგდებიან,
ძალს მოიკრებენ და მამაცურათ
მოსისხლე მტერსა ეგვეთებიან.

გაქრობენ რა ძალმოშრეობას,
მათ იგემებენ ცხოვრების სიღს,
დრომას აღმართვენ გამარჯვებისს
და ჩაიგებენ ამოწვდილ მახვილს.

მაშინ დავტკებუბა, მაშინ ვიხარებ,
მივეტკებები სიამოვნებას...
დღეს-კი, ოხ, დღეს-კი არ ძალმიძს ღხენა:
მკესლავი გველი შსამაჯს ცხოვრებას!..

დ. თურდოსპირელი.



*) გუგული.

კობა და გუგულო

(მოთხრობა პრპაგანდისტა ცხოვრებიდან)

I

მოსისინე ცივი ქარი ბერავდა, ყველაფერი იყინებოდა. გატიტვლებული ხეები წამდა უწყუმ იგრიხებოდა და სიცივისგან თავდა-იაფარავათ ერთმანეთის მოხვევას ცდილობდა. ცა ლურჯად კამკამებდა. ვარსკვლავები თითქოს პირს არიდებდა ეგრე დატუქსულ ქვეყანას: ხან მორცხვით გამოიჭყიტებოდნენ და ხან სულ მიილულებოდნენ. მთვარე კი ამაყად მიცურავდა ყინულათ ქცეულ ცის კამარაში და გულმოდგინეთ უგზავნიდა უსიტბო სხივებს თოვლით დაფენილ არე-მარეს; მხოლოდ ის იბრალეზდა გალოდებულ ბუნებას, მარა ამათ: ყინვა მაინც მძვინვარებდა. თვალ-უწყვდენელ სივრცეში სიცოცხლე მოდუნებულიყო და მძლავრი სტიქიონი და ბობოქრებდა. სულიერის ხმა არსაიდან მოისმოდა: ყველაფერს ოდნავ მაინც თფილ ადგილს მოეკალათებია. გუგულოც თავის ღარიბულ ოთახში იჯდა და ვილაცას ელოდა. ის ჩაფიქრებული, წარბებშეკრული იყო და ყოველგვარ განმარობაზე ყურებს ცქვეტდა. თან სიცივისგან კანკალებდა და შალ მოხვეული მბჟუტავ ბუხარს მიჯლომოდა.

უცებ რაღაც ხმები მოესმა გუგულოს და მაშინვე წამოვარდა, ფანჯარას ეცა, გადაწია ოეთრი ფარდა და ეზოში გაიხედა.

— უი, ქირის გასაწყვეტი ტურები ყოფილან! ჩაილაპარაკა გულ ნატკენათ და ისევ ბუხარს მიუჯდა.

გუგულოს სკოლა სოფლის ეკლესიასთან იდგა. ის აქ მეოთხე წელიწადია, რაც მასწავლებლათა და ყველასი სიყვარული დაიმსახურა: ის ყველას თაალში ზნეობრივი ადამიანი იყო და, როგორც მასწავლებელს, მომღერავი არავინ ყოლია. სწორეთ ეს აბედღიებდა გუგულოს მარტო ეცხოვრა თავის ძალზე მინგრეულ-მონგრეულ სკოლაში და დედაკაცურ შიშს არ დამორჩილებოდა.

შუალამე გადასული იყო და გუგულო კიდევ ცეცხლთან იჯდა: მისი მოლოდინი ჯერ კიდევ არ გათავებულიყო. „სად არის ამდენი ხანი?! დაენაცვლოს მისი გუგულო, სული

არაფერი შემთხვევს, ღმერთი არ გამიწყურეს!... ჩქარ-ჩქარა ივლებდა გულში და ცეცხლს აღვივებდა.

ვინ იცის, რამდენი ღამე ყოფილა ასეთ მდგომარეობაში გუგულო, რამდენჯერ განუცდია მას ასეთი მოლოდინი... ვინ იცის, ტკბილი ოცნებით რაღდენი უნეტარნია ასეთ მოლოდინის დროს გუგულოს... ახლაც მარდათ დასურავდა ის ოცნების მორავში, რომ ვერც კი გაიგო იმის მოსვლა, ვისაც ელოდა, სანამ მოსულმა არ მოაძახხა:

— ვესტალკავ, კარი გამიღე! გუგულომ სწრაფათ გააღო კარები და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე შემოვხვია ტანისამოს შემოყინულ მოსულს.

— ვესტალკავ, ცეცხლი დაანთე, თორემ გავიყინე!..

— მაინც რომაელების ვესტალკას ვგეგვარ, ყოველ ღამე ასე ვუდგე ვარ ცეცხლს და ვცთილობ არ ჩაქრეს; ეს შეშები შენთვის მქონდა შენახული, შენს მოსვლამდის არ მინდოდა დამეწვა ჩემო კობა!

— თავს იკლავდი სიცივით? და ვინ თებდი ცეცხლს; რაა რომ სრულებით გაგყინვია ოთახი! ისე ცივა, როგორც მინდორში!..

— შენთვის რა დამეხვედრებია, ჩემო სიცოცხლე? მეტი აღარც არი შეშა: ვებვეწები მოწაფეებს და მეტი არ მომიტანეს მომეცი ფეხი, გაგზით და ცეცხლს მიუშვირე,—ესაუბრებოდა სიყვარულით გუგულო კობას.

კობამ ფეხზე გაიხადა და ცეცხლს მიუახლოვდა. ის იყო ოცი-ოცდახუთი წლის შავგვრემანი ყმაწვილი. მართალია ტანზე ღარიბულათ ეცვა, მარა მის სახეზე კაცი უიმედობისა და უილაჯობის ნატამალსაც ვერ წაიკითხავდა, ის თითქოს ძალიან კმაყოფილიც იყო თავისი ბედის. მისი გამომეტყველება ნათლათ ამტკიცებდა თავისი თავისადმი რწმენას და შესაფერ ამპარტავნებას.

— რათ დაგავიანდა ამდენი გენაცვა? კითხა გუგულომ, რომელიც მუხლებზედ ჩამოწოლოდა კობას და მისი გაცივებული ხელები გულში ჩაეკრა გასათბობათ,—ხომ არავის დაუზვერიხარ?

— არა, წრეში ვიყავი და ისეთმა სანინ-

ტერესო კითხვებმა იჩინეს თავი, რომ აქამდის მოუნდით მათ გამოარკვევას.

— ხომ არ გშია, ამხანაგო?

— ასე ვთქვათ...

— მაშ ახლავე გაგიმზადებ ჩაის; ხაქაპურებიც კი გამოგიცხვე, ჩემო ოქროვ, და თბილ-თბილათ მაქვს შენახული.

— ძალიან უჩაღი ქალი ხარ, გუგულო, ძალიან! ხომ არავის ვუკითხივარ?

— არა, ვის უნდა ეკითხე? ვაკვირვებით შეხვდა გუგულომ.

— რამ გაგაკვირვა? არ იცი, ვინ მიკითხავდა?

— ხო... ვერ მივხვდი... არავის უკითხავხარ...

ცოტახანის შემდეგ ოროვე სიამოვნებით შეექცეოდნენ ჩაის...

(შემდეგი იქნება)

ვ. მალაქიაშვილი.



ფედორალისტების სიმღერა.

ბრძოლა, ძმებო, ბრძოლა მამაპაპური!
იღუპება ეროვნება, მამული!..
სხვებს რას ვაწყენთ? ბრძოლა აქ, შინაური!..
ჩვენც გვტვიოდეს ბურჟუებისა წყალული.
ბრძოლა, ბრძოლა, ესდევებთან მღდგარი!..
ქუჭურ ლანძღვით მოვფინათ მთა და ბარი,
თან ქორებიც ვთხზათ და ვთხზათ საზიხლარი,—
სამსახური მამულისა ეს არი.
თუმც შავრაზმელთ ჩვენ ბევრჯერ წავაცლიეთ,
სილაჩრითა ბევრჯერ მტრებიც ვაცინეთ,
ხალხსა ხომა ვერა რა შევასმინეთ
და ესდევებს მაინც ვერ მოვაცლიეთ.
მარა მაინც ბრძოლა მამაპაპური!..
წინ მიგვიძღვის „ამირან-ნიშადური“...
ნუ შეგვრცხვება, ასჯერ მოგვხთეს პანდური,—
მაშ რა არის მამულის სამსახური!...

შხანკობა

„ნიშადურის“ მოგსაურობა.

„ნიშადურმა“ „გოლოს-კავკას“
გაულიმა, თვალი უქნა,
ნათლი-დედათ შეუპირდა
და მის გვერდზე ჩაიბუქნა!..
დღემდე ჩვენი ცრუ-მოღვაწე
თავსა გრძობდა მარტოთ, ობლით—
შესაფერათ ვერ უძლოდა
ქორს, შეკრებილს ქალაქ-სოფლათ...
ექვათ მიხვდა ნათლი-დედა,
ძველ ბანაკში ნახა მტერი,
გადიბარგა ქორის ბოლჩით,
ააყენა გზაზე მტვერი.
აწ თვის ბოლჩას სადარაჯოთ
მიუჩინა მშვიდი „მწყემსი“,
შეიფიცა მეზობლები
არ მოპარონ არცა ნემსი. *)

ალუთქვეს: თუ მოიღლება
„ნიშადურის“ პაწა სტვირი,—
დაეხმაროს მეზობელი—
ხულიგანების სტვირ-საყვირი...
გადაწყვიტეს: გოთუასთან
გაიყვანონ ტელეფონი,—
გზა უჩვენოს გასასვლელათ,
თუ დაკარგა წყალზე ფონი...
ამ ამალით თავდაცული
გაილაშქრებს კილით-კიდეს **)
არ მოეოის განსაცდელსა,
სახლვარსაც რომ გადასცილდეს.
განზრახვა აქვს აიყაროს,
კვლავ შეცვალოს აგარაკი,
თუ შენიშნა მის ნალვანში
სიფალშივე, ვინმემ ნაკი!..

ჭია-ამწ.

*) შენიშვნები: ძველ ბანაკში ეს შემოხვევა ქონდა, თურმე, ხუთი-ექვსი— გაუგეს, რომ ნათლი-დედამ ქორით შეთხზა ბევრი ლუქსი.
**) თვალ-ახვეულს, თუ გონია ბოეფაროს დამპალ რიდეს,— რას მიაღწევს ეს მოღვაწე თვისი ღღენი ასრე ვლიდეს?..

ამწ.



უშიშრობა.

კითხვა-პასუხი.

- თქვენ არ იცით ვინ არის ადვოკატი გვაზაფა?
- როგორ არა, გუნთას „ნიშადურს“ რომ აზაფა... უკაცრავათ, წამომცთა, სხვა რამ არა.—ლექსები, შინაარსი რომ გითხრა,— კიდევ უფრო შევრცხვები.
- მართალს ამბობთ: სწორეთ რომ უცნაური გვარია და ლექსებიც იმისი სხვის არ შესადარია?!..

???

* * *

მებრძოლთ საფლავებს შავი ღრუბლები ზედ დასწოლიან და დაუჩრდილავეთ... მზევ სხივოსანო, ნათელ ჰყავ ყველა, სამარეს შიგან ვისაცა ძინავეთ!..

გააშრე ცრემლი, რაც დაუღვრიათ გულმოკლულ მშობლებს და მეგობრებსა; შენ კი, ნიაფო მივალერსე იქ ნაზარდ ობლათ ია-ვარდებსა!.. უთხარი, თანაც დააიმედე, მოვესწრობით-თქო ნანატრ გაზაფხულს... მოვალთ და მაშინ ჩამოგძახებთ-თქო: „ვაშა თქვენს საქმეს, დიდებულს, გმირულს!“..

ქნარი.

პოპულარიზებული განყოფილება

სხვადასხვა პოლიტიკური მოძღვრება.

1. სოციალიზმი.

(დასასრული).

მოძღვრება ეკონომიური. კაპიტალისტური წარმოების აღორძინებამდის, სავაშლო საუკუნეებში, შრომის ინდივიდუალური-ხელოვნური ზასიათი ქონდა. ხელოსანი თავის პატარა სახელოსნოში თავისავე ხელსაწყოთი ამუშავებს ნივთს და ყიდის ის თავისავე ქალაქის ბაზარზე. მეწაღისათვის საკმარისია ნემსი და ძაფის შექმნა და ცოტა-ოდენი ტყავი, რომ წაღები კეროს და თავი ირჩინოს. შრომის იარაღი და სამუშაო მასალა მის სრულ განკარგულებაშია. ის ყიდის თავის ძალ-ღონის ნაყოფს რა არა ამ ძალ-ღონეს. ერთი სიტყვით, ის დამოუკიდებელი მესაკუთრე მწარმოებელია.

კაპიტალისტური წარმოება იწყება იმ დღიდან, როცა ეს თავ-თავისთვის მომუშავე ხელოსნები იძულებული ხდებიან თავის საკუთარ სახელოსნოზე ხელი აიღონ, ფული პატრონს მიეჭირონ და მის დიდ სახელოსნოში თავი მოიყარონ და იქ დამჭირავებელის მეთაურობით საქონელი დაიმუშაონ ფართო ბაზარზე გასატანათ. რამდენათ ვითარდება აი ამ გვარი ფორმა წარმოებისა, ფართოვდება ბაზარი, არსდება ფაბრიკა-ზავოდები, მძლავრდება აღებ-მიცემობა და მრეწველობა, იმდენათ ეცემა წინანდელი წვრილი ხელოსნური წარმოება, ის ვერ უძლებს ახალი წარმოების კონკურენციას, ფაბრიკა თანდათან ბატონდება და უსახლ-კარო, ყოველივე საკუთრებას მოკლებული, მუშა წარმოების მთავარ აგენტათ ხდება. ქარხნებში შეიკრება აუარებელი მუშა-ხალხი, შეება ერთ უღელს, ამუშავდა ერთი პლანით, ერთი სამრეწველო დისციპლინით. აქ განსაკუთრებითი ხელოსნური სწავლა-ცოდნა საჭირო აღარ შეიქნა, წინანდელი შეგირდობა, ეგზამენის დაქერა და ხელოსნობის დიპლომის მიღება მოისპო. მანქანების წყალობით შრომა გამარტივდა; შავი მუშა სულ ცოტა ხანში ეჩვევა მანქანის ტრიალს და მაზე მუშაობას. ეს კარგათ შეუძლია არა თუ მამა-კაცს, არამედ დედაკაცსაც, არა თუ დედა-კაცს, არამედ ბავშვსაც. ატყდა ყველა ამ პირთა შორის კონკურენცია დღის

ქირისათვის. შვილი მამას შეეცილა, ცოლი ქმარს და ძმას—შეიქნა საერთო ბრძოლა ფაბრიკის კარებთან—არა მე მიჭირაონ, არა მეო. ძველებური ოჯახი დაეცა, სახლ-კარი და ნათესავეური პატრიარქალური განწყობილება დაიშალა. ყველა ამის ალაგი დაიჭირა შეუბრალებელმა ბრძოლამ ლუქმა-პურისათვის.

მუშათა შორის კონკურენციამ ძირელ დასცა მუშის ქირა და დიდათ ასწია კაპიტალისტის მოგება. მუშა თანდათან იგნებს ასეთი მოქმედების შედეგობას და იწყებს თანხმობით მოქმედებას. პროლეტარიატი ერთ ქერს ქვეშ თავმოყრილი, ერთნაირ პირობებში ჩაყენებული უკვე მზათ არის ერთობის და სოლიდარობისათვის. ის დგება ამ გზაზე, აარსებს კლასიურ ორგანიზაციებს, პროფესიონალურს და პოლიტიკურს, ასუსტებს ბრძოლას მუშათა შორის და ამძლავრებს ბრძოლას ბურჟუაზიასთან. ამ ორი კლასის შეტაკება შეადგენს ღერძს თანამედროვე ცხოვრებისას.

როგორც ხედავთ, წარმოება ინდივიდუალური მოისპო და მის ალაგას გამეფდა წარმოება საერთო ძალ-ღონით, წარმოება საზოგადო. მარა ამასთანავე არ მოსპობილა ნაწარმოების ინდივიდუალური მითვისება. როცა წინეთ მესაკუთრე ხელოსანი თავის პირად ნაშრომს თვითონ ისაკუთრებდა—აქ არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა, განაწილება სრულიად ეთანხმებოდა წარმოებას. დღეს კი ეს თანხმობა დაირღვა, წარმოების ნაყოფს ისაკუთრებს არა მწარმოებელი, არამედ არამწარმოებელი, არა მუშა, არამედ კაპიტალისტი. ეს წარმოების და მითვისებას შორის ჩამოვარდნილი წინააღმდეგობა ბადებს წინააღმდეგობას პროლეტარიატს და ბურჟუაზიას შორის. მაშასადამე, დღევანდელი კლასთა ბრძოლა მომდინარეობს დღევანდელი წარმოების თვით საშოდან. მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ამ წარმოების გაუქმებით, მასში არსებული წინააღმდეგობის მოსპობით.

მეორეთ, წინეთ, ხელოსნურ წარმოების მეფობაში, ხელოსანმა წინდაწინ იცოდა რამდენი საქონელია საჭირო ბაზრისათვის და იმდენს ამზადებდა. მისი მიდრეკილება არის საქონელი მეტი არ დამზადდეს და ამით რაიმე ზიანი თავის თავს არ მიაყენოს. აქედან დაიბადა ამქრული წესის შემოღება და განმტკიცება. ამქარი აწეს-რიგებდა თავის საამქ-

როს წარმოებას და მას უფარდებდა მოთხოვნილებას. აქ, სახელოსნოში, დამყარებული წეს-რიგი სრულიად ეთანხმება ბაზრის სხვა სახელოსნოთა შორის არსებულ წეს-რიგს. კონკურენცია ხელოსანთა შორის მომსპარია და მით მომსპარია წარმოების ეკონომიური კრიზისებიც.

კაპიტალისტურ წარმოებაში აი ეს თანხმობა და საერთო წეს-რიგი დარღვეულია. აქ მართალია თვითეულ ფაბრიკაში სასტიკი დისციპლინა და პლანით მუშაობა წარმოებს, მარა სამაგიეროდ მთელი ეს მუშაობა. საეგებიოთ არის: კაპიტალისტმა სრულიად არ იცის, რამდენი საქონელია საქირო ბაზარზე, ამიტომაც არ იცის მისი მუშების მიერ დამუშავებული საქონელი გასაღდება თუ არა. მისი ერთადერთი შიზანია, რაც შეიძლება ბევრი საქონელი გაასაღოს და რადგანაც ეს შეიძლება სხვა კაპიტალისტებთან შეცილებით მაზანდის დაწევით, ამიტომ ამუშავებს იაფათ და გააქვს ბაზარზე იაფათვე. მაგრამ, რადგანაც ასეთივე მიზანი აქვს ყველა კაპიტალისტ-მრეწველს, ამიტომ ბაზარზე გამოდის აუარებელი საქონელი დაახლოვებით ერთნაირ ფასებში გასაყიდათ. ბაზარი ივსება საქონლით, მოთხოვნილება კი ამდენი არ არის, მრავალი გაუყიდავი რჩება; ფაბრიკანტი იძულებული ხდება თავის ფაბრიკაში მუშაობა შეამკიროს ან ფაბრიკა სრულიად დაკეტოს დარჩენილი საქონელის გასაღებადის. ამის შედეგია მრავალი მუშის უღუკმა-პუროთ დატოვება, ვაჭრობის შემცირება, ბანკებში ფულის გაძვირება, საერთო გაქირება და უფულობა. ასეთ მდგომარეობას ეწოდება წარმოების კრიზისი.

მაშასადამე, კრიზისი მომდინარეობს იქიდან, რომ წარმოება თვითეული ფაბრიკის გაწესრიგებულია, მარა წარმოება ყველა ფაბრიკის ანუ მთელი საზოგადოების გაუწესრეგებელია ან რქიულია. ეს არის მეორე წინააღმდეგობა კაპიტალისტური წარმოების, რომელიც ლოდიკურათ გამოდის პირველი ძირითადი წინააღმდეგობისაგან. წარმოების წესი აქ ებრძვის განაწილების წესს. ერთი მხრით გროვდება ბევრი საქონელი, მეორე მხრით კი მრავლდება გაქირება და სილატაკე. ე. ი. მეტი ნაწარმოები ბადებს მეტ სიღარიბეს! ადამიანი ხარჯავს მეტ ძალ-ღონეს, მუშაობს ბევრს და ყველა ეს მიდის მის წინააღმდეგ, ე. ი. წარმოებითი ძალა ებრძვის არსებულ განაწილებას, ის ვერ ეტევა მის ვიწრო კალაპოტში და კრიზისის სახით ჯანყდება. კრიზისის მოსაბომა შეიძლება მაშინ, როცა ეს წინააღმდეგობა

გაუქმდება, ე. ი., როცა გაწესრიგებული იქნება არა მარტო ცალ-ცალკე წარმოება, არამედ ყველა წარმოება, მთელი საზოგადოებაანი, ხოლო ეს შეიძლება მაშინ, როცა წარმოების პატრონი იქნება არა თვითეული პირი ცალ-ცალკე, არამედ მთელი საზოგადოება, მთელი ხალხი ერთად.

მესამეთ, კაპიტალისტური წარმოების მთავარი ძარღვია კონკურენცია. სხვილი კაპიტალი ამარცხებს წვრილს, დიდი კაპიტალისტი — პატარას. განსაკუთრებით კრიზისებს ვერ იტანენ წვრილი მრეწველ-ვაჭარნი და კოტრადებიანი. მაშასადამე კაპიტალისტური წარმოება ნიშნავს იმავე დროს, ერთი მხრით კაპიტალის მოგროვებას რამოდენიმე პირისაგან ასეთ პირთა კამპანიების ხელში, ხოლო მეორე მხრით, გამრავლებას მათზე დამოკიდებული ხალხის და პროლეტარიატისას. საზოგადოება უფრო და უფრო იყოფა ორ ნაწილათ: ერთ, ძლიერ მცირე ნაწილს შეადგენენ სხვილი კაპიტალისტები, ხოლო მეორე დიდ ნაწილს პროლეტარიატი, და კაპიტალისტები, საწველ ფურათ გადაქცეული წვრილი მესაკუთრენი. ეს ორი ბანაკი თანდათან უპირდაპირდება ერთი მეორეს, გაქირვებული წვრილი მესაკუთრე უფრო და უფრო იგნებს თავის ინტერესებს და ემხრობა პროლეტარიატს და ასე დგება უკმაყოფილოთა და გაყვლეფილოთა დიდი ჯარი პროლეტარიატის წინამძღოლობით წინააღმდეგ ერთ მუკა კმაყოფილოთა და გამყვლეფილოთა. და აი დგება ჟამი სოციალური რევოლიუციისა: პროლეტარიატი მიდის იერიშით კაპიტალიზმის ციხეზე — სახელმწიფოზე, ის იგდებს ამ ძალას თავის ხელში, იქიდან ერეკება ბურჟუაზიას, აცხადებს თავის დიკტატურას და თანდათან აუქმებს კაპიტალისტურ წარმოებას და აწესებს სოციალისტურს. ამით ის სპობს კლასებს, კლასთა ბრძოლას, კლასთა პოლიტიკურ ორგანიზაცია-სახელმწიფოს და ამკვიდრებს თავისუფალ და თანასწორ ადამიანთა ერთობას — სოციალისტურ წყობილებას.

ამნაირათ, კაპიტალიზმის დამახასიათებელია: წინააღმდეგობა წარმოებას და განაწილებას შორის, წინააღმდეგობა თვითეულ ფაბრიკას და მთელ საზოგადოების შორის, რაც ცხადდება კრიზისებით, კაპიტალის კონცეტრაცია (მოგროვება) და პროლეტარიატის გამრავლება. აქედან იბადება სოციალური რევოლიუცია, ე. ი. პროლეტარიატის დიკტატურა და სოციალიზმის დმკვიდრება.

კაპიტალიზმი ირღვევა მისივე საწარმოვო ძალის გაძლიერებით, რომელიც ვერ ეტევა

არსებულ ჩარჩოში და მას ხეთქს. ე. ი. ის ირღვევა იმავე გზით, რა გზითაც დაირღვა ფეოდალიზმი.

ა.



შეცოთმის გასწორება. „ეკალის“ მეორე ნომერში სტ. „სოციალიზმში“ მე 7 ბვერდის პირველი სვეტის პირველ სტრიქონში დაბეჭდილია: „წვრილ-წვრილ სახელმწიფოებში“, —უნდა იყოს: „წვრილ-წვრილ სახელისნოებში“.

მე 3 №-რის მე 16 ბვერდზე ლექსის მე 7 შენიშვნაში დაბეჭდილია: „მზგავსი ვირები“, —უნდა იყოს: „მზგავსი პირები.“

მუშათა კლასის თეორიული განათლება

ყველა კლასობრივთ გათვით-ცნობიერებული პროლეტარი დღეს მეცნიერებას და ხელოვნების ცოდნას მუშების აუცილებელ საჭიროებათ აღიარებს. ამ კითხვის შესახებ ყველა ერთი აზრისა არიან, შეხედულობათა სხვადასხვაობა არ არსებობს. მისწრაფება სწავლა-გინათლებისადმი ისე ძლიერათ არის გაღვიძებული მუშებში, რომ მათ უნდათ ყველაფერი შეეძლოთ და ყველაფერი იცოდნენ. მაგრამ სულ სხვა გვარად ფიქრობენ ბურჟუაზიული კლასები. მართალია, მათ შორისაც მოიპოვებიან ეგრეთ წოდებული ხალხის გულ შემატყვივრები, ხალხის განათლების მოტრფილენი, რომლებიც კარგა ხანია, რაც სახალხო ბიბლიოთეკების, სახალხო შკოლების, ლექციების კურსების და ფერეინების (კავშირების) საშვალეებით ცთილობენ ხალხის გამოფხიზლებას, მაგრამ მათ ამ გვარ მოღვაწეობას ჯერაც დიდი რამ ნაყოფი არ გამოუღია, ვინაიდან ისინი ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ნიადაგზე მოქმედობენ.

კაპიტალიზში მთელი თავისი შინაარსით სახალხო განათლების წინააღმდეგია, მისი დაუძინებელი მტერია. მთელი მისი ინტერესი ხალხის გაყვლეფისაკენ არის მიმართული. და არა ხალხის განათლებისაკენ. მისი აზრით, სრულიად საკმარისია, თუ მუშას იმდენი ეცოდინება, რომ ის კაპიტალისტური წარმოების

პროცესის დროს შეძლებს თავის მოვალეობის პირ-ნათლათ შესრულებას, ე. ი. შექმნის ზედმეტ ღირებულებას. კაპიტალისტური განათლების ასეთი იდეალი სრულებით შეესაბამება ბურჟუაზიის ეკონომიურ ინტერესებს, საიდანაც გამომდინარეობს მათი ასეთი შეხედულობა. კაპიტალისტური წარმოებისთვის მუშა ცოცხალი არსება არ არის, არ არის თავისუფალი ნებაყოფლობით აღქურვილი ადამიანი, ის მხოლოთ მანქანა და სხვა საწარმოო იარაღების ცოცხალი, სულიერი ნაწილია, თუ შეიძლება ასე ითქვას, და სხვა არაფერი. მაგრამ უსაპართლო შედარებაა მუშას აქვს კიდევ ბევრი, კაპიტალისტებისთვის არა სასურველი, თვისებანი: მან მუდამ დღე უნდა ჰქამოს, სვას და იძინოს. გარდა ამისა, მას სჭირია კიდევ ერთნაირი ცოდნა-განათლება, რომელიც აუცილებელი პირობაა მანქანების და სხვა სამუშაო იარაღების მიზნის შესაფერათ ამუშავება. ამისათვის თანამედროვე ბურჟუაზიული მთავრობა-სახოგადოება თავისი კლასობრივი სასწავლებლების საშვალეებით მუშებს ასწავლის იმდენს, რამდენიც სჭირია კაპიტალისტური წარმოების პროცესისათვის. ისინი არ ცთილობენ სახალხო შკოლებში ძირითადი ცვლილების შემოღებას და სწავლა-განათლების დახავსებული რეჟიმის ერთნათ შეცვლას. ბურჟუაზიული მთავრობის და საერთოთ გაბატონებული კლასების მიერ სახალხო განათლების საქმის ხელოვნურათ შეზღუდვა-შეჩერებას, რასაკვირველია, ხელს უწყობს თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების განვითარება, რომლის მიმართულებათ, ტენდენცია არსებული სახალხო განათლების დაბლა დაწევა და ჩამოქვეითებაა. მაშინურ დიდ წარმოებაში გაზდილ-გაფართოვებული შრომის განაწილება ათასობით და ათიათასობით მუშებს ხშირათ მანქანის უბრალო ნაწილათ ქმნის. მთელი წლების განმავლობაში მუშა მუდამ-დღე ერთსა და იმავე უბრალო, დამაჩლოუნებელ, მექანიკურ ფუნქციას (მოქმედებას) ასრულებს, რომელიც არ საჭიროებს არავითარ სულიერ შრომას, სულიერ აზროვნებას. ამგვარი შრომის განაწილების განვითარება ინტელიგენტური სამუშაო ძალების მოახოვნას ამცირებს. და ეს ეკონომიური

ფაქტი არის ის მთავარი მიზეზი, რომელიც ბურჟუაზიულ კლასებს აიძულებს სახალხო შკოლებში ცოდნის და მეცნიერების მაგიერ საშუალო წერილის სწავლება შეიტანონ. ბურჟუაზიული კლასი, როგორ ფეოდალური პრინციპიალურათ არა დროს არ ყოფილა და არც იქნება ხალხის გინათლების მომხრე, ვინაიდან ის თავებს ეკონომიური მიზნის განსაგანსახორციელებლათ არ საჭიროებს, როგორც ზევით ვთქვით, ხალხის განათლებას, მუშების მეცნიერებით აღჭურვას. ბურჟუა-კაპიტალისტმა კარგათ იცის, რომ გაწრთენილი და გათვითცნობიერებული მუშათა კლასი უკეთესათ აწარმოებს კლასთა ბრძოლის პოლიტიკას, უფრო შეგნებულათ ებრძვის კაპიტალის ბატონობას, და ამისთვისაც ის ძალიან ძუნწათ უნასპინძლდება მუშებს თავისი ბურჟუაზიული განათლების ნამცეცებით.

ცოდნა და განათლება პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას, რა თქმა უნდა, ერთობ ხელს უწყობს და ეხმარება, მაგრამ მუშების მხრივ დიდი შეცთობა იქნება, თუ ისინი კლასთა ბრძოლისთვის საჭირო ცოდნას პირდა პირ ბურჟუაზიული კლასიდან გადმოიღებენ მოწინააღმდეგის მეცნიერების მიხედვით იმოქმედებენ. მეცნიერების და ხელოვნების დიდი ნაწილი ბურჟუაზიული მოდემისაა, დღეს ორივეს კაპიტალისტური ეკონომიური პრინციპი ამოძრავებს, ორივე ამა თუ იმ დროის ეკონომიურ სამოძრაო ძალებთან არის შეკავშირებული. მართალია, მარქსმა და ენგელსმა ბურჟუაზიული მეცნიერება შეისწავლეს, მთელი თავისი ცოდნა იქიდან ამოიღეს, მაგრამ მათ, რაც იქ ისწავლეს ისტორიული მატერიალიზმის მეოხებით, პოლიტიკური ბრძოლის უძლიერეს იარაღათ გამოიყენეს. მათ მთელი ბურჟუაზიული, თავდაყირათ დაყენებული ფილოსოფია ფეხზე დააყენეს და მთელი ცოდნა პროლეტარიატის სასარგებლოთ გამოიყენეს. მაშასადამე, ბურჟუაზიული ხელოვნება-მეცნიერების. იმ სახით შესწავლა, რა სახითაც მათი წარმომადგენელი გვაჩვენებენ ხელში, მუშებისთვის მავნებელი იქნება. მაშ როგორ უნდა შევისწავლოთ დასახელებული

ბული მეცნიერების დარგები? ამის შესახებ გვექნება შემდეგ წერილში.

შვარცი.



დღევანდელ ვითარებაზე.

სწორეთ ახირებული დრო დაუდგა რუსეთის იმპერიას, — ისეთი დრო, რომლის მზგავსი არ ყოფილა არსად და არასოდეს. რევოლიუცია კაიხანია აღარ არსებობს, ამას ყველა აღიარებს, მარა არ არსებობს არც ის „წესიერება“, რომლის დარღვევას უმთავრესათ სწორეთ რევოლიუციას აბრალეზდენ და რაზედაც მისი მოტრფილენი ისე ოცნებობდენ რევოლიუციის დროს. არ არსებობს სახელდობ წესიერება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენ ვიცით, რომ სხვა ქვეყნებში აფორიაქებული ცხოვრება რევოლიუციონური ქარიშხლის შემდეგ თანდათანობით კალაპოტში ჩამდგარა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაზღვრული მდგომარეობა, განსაზღვრული წესიერება დამყარებულა, — რუსეთში კი, პირ-იქით, რაც უფრო რევოლიუციის ზვრთების უკანასკნელი დულნიც-კი წუნარდება, რაც უფრო მისი უკანასკნელი ნაშთებიც-კი ირღვევა და ქრება, მით უფრო იხლართება და რთულდება მდგომარეობა, მით უფრო იზრდება უწესრიგობა და არეულობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ერთი სიტყვით, თუმცა „არეულობა“ ქუჩებზე მოისპო, მარა სამაგიეროთ გაღრმავდა არეულობა თვით ცხოვრების გულში. ჩვენ ვეცდებით მოკლეთ დავხატოთ აქ მთელი ამ „არეულობის“ სურათი.

დავიწყოთ **ვაჭრობა-მრეწველობიდან**. აქ სულ უფრო ძლიერდება, სულ უფრო მწვავედება საშინელი **კრიზისი**, რომელიც ხან სრულიად ძირს უთხრის და სპობს წარმოებათა მთელ რიგს, ხან მეტის-მეტათ ამცირებს მათ და ორივე შემთხვევაში ქუჩაში აუარებელ მუშებს ერეკება, უსაზღვროთ ამრავლებს უმუშევართა ჯარს. ამასთან ვაჭრობა მრეწველობის კრიზისი, მეტათ ამცირებს რა ყოველგვარ საცხოვრებელ საგნებს, უზომო ტანჯვა-ყავებას

აყენებს მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას. თუ რამდენათ აუტანელი ხდება ვაჭრობა მრეწველობის კრიზისი, ამას ნათლად მოწმობს, სხვათა შორის, თვით ვაჭარ-მრეწველთა გოდებაც, რომელიც ამ ბილო დროს სულ უფრო ხმა მალა გაისმის რუსეთის ყველა კუთხეებიდან.

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფება **სასოფლო მეურნეობა**, ეს მთავარი საძირკველი რუსეთის ეკონომიური ცხოვრებისა. მისი სრული მოშლილობა ყველასათვის ცხადია, ხოლო აქედან წამომდგარი ათასგვარი საწინელი გაჭირვება და ტანჯვა-ვაება გლახთა დიდი უმეტესობისა (შიშნელობა და სხ.) დღითიდღე სულ უფრო მატულობს. ყოველ შემთხვევაში **აგრარული კრიზისი** კვლავ ისევ ისე გამწვავებულია.

ასეთი ყოველმხრივი და სრული მოშლილობა ეკონომიური ცხოვრებისა ღრმად აჩნევს თავის დაღს სახელმწიფოს **ფინანსიურ მდგომარეობას**. თვით ფინანსთა მინისტრი იძულებული შეიქნა გულახდილად განეცხადებია: ფინანსიური მხრით „რუსეთის ახლო მომავალი ერთობ შავ-ბნელათ მებატება“ო. ამნაირათ, **სახელმწიფო ფინანსების სრული მოშლილობა**—ეს უკვე ფაქტია, თვით მთავრობის-მიერ აღიარებული და საქვეყნოთ გამოცხადებული.

ხოლო, რადგან სახელმწიფო ფინანსები საფუძველია სახელმწიფოს მართვა-გამგეობის, ამის გამო მათი სრული მოშლილობა იწვევს შესაფერ **მოშლილობას მთელ სახელმწიფო მექანიზმისას**.

ყველა ზემო აწერილ კრიზისს სახელმწიფო მარჯვეთ გაუმკლავდებოდა და კიდევ აიშორებდა თავიდან, მისი **პოლ.ტიკური წეს-წყობილება** რომ შესაფერ კალაპოტში ჩამდგარიყო. მარა მთელ დღევანდელ კრიტიკულ მდგომარეობას კიდევ ის ბადებს, კიდევ ის ამწვავებს, რომ სახელმწიფოს არ აქვს შესაფერი პოლიტიკური წეს-წყობილება. ამ მხრივ კიდევ ვარესი უწეს-რიგობა და არევ-დარევაა გამეფებული, და ეს არეულობა იქამდე მიდის, რომ ვერავის გამოუტყვია, თუ როგორი პოლიტიკური წყობილება არსებობს დღეს რუსეთის სახელმწიფოში: თვითმპრობელობა თუ კონსტიტუცია? ამ კითხვაზე ვერავითარი გადაჭრილი პასუხი ვერ მიუტია თვით სახელმ-

წიფო დუმას, რომელმაც ამის გამო მეფესთან გაგზავნილ თავის ადრესში არც თვითმპრობელობა მოიხსენია და არც კონსტიტუცია, ხოლო ამ დღევანდელ პასუხი ვერ გასცა ფინანსთა მინისტრს, რომელმაც გამოუცხადა დუმას — „მადლობა ღმერთს, რუსეთში პარლამენტი (ე. ი. კონსტიტუცია) ჯერ არ არსებობს“ო. კიდევ რომ მინისტრი აჭარბებდეს და კიდევ რომ რუსეთში არსებობდეს კონსტიტუციის ნიშან-წყალი სახ. დუმის სახით, ამ უკანასკნელს, შემდგარს უმთავრესათ რეაქციონერებისაგან, არც სურვილი აქვს და არც მოხერხება შეწევს გამწვავებული კითხვები შესაფერათ გადაჭრას. დუმას სრულიად არ შეწევს ძალა სახელმწიფოს კრიტიკული მდგომარეობისგან გამოსაყვანათ; პირ-იქით, ის თვითონ საესებით ამ მდგომარეობის გავლენის ქვეშ იმყოფება და ამასთან თვითონვე კიდევ უფრო ხლართავს და ართულებს ამ მდგომარეობას თავისი მოქმედებით და თვით თავისი არსებობითაც-კი.

ამნაირათ, რუსეთი რევოლიუციის შემდეგაც კვლავ იმ მრისხანე სტინქის წინაშე დგას, რომელიც დიდი ხანია მოითხოვს თავის ახსნას. ეს კიდევ ცოტაა; დღეს (რევოლიუციის შემდეგ) სტინქს გაცილებით უფრო ფართოთ დაუღია თავისი საწინელი პირი, ვინემ წინათ როდისმე—რევოლიუციამდე ან რევოლიუციის დროს. რევოლიუციის დროს, პირ-იქით, ის ძალიან მთუახლოვდა თავის „ახსნას“. პოლიტიკურ ასპარეზზე გამოშული ხალხი ერთი დაკერით აპირობდა გადაეჭრა ის კვანძი, რომლითაც „სტინქსი“ დაბმულია, ზ მით ცთილობდა დაემყარებია **ნამდვილი წესიერება**. მარა აღმოჩნდა, რომ ხალხს ჯერ კიდევ საკმაოთ არ შეწევდა ძალა კვანძის გადასაჭრელათ, და რევოლიუცია დამარცხდა. და აი სწორეთ ახს შემდეგ შეიქმნა რუსეთში დღევანდელი „ახირებული“ მდგომარეობა. ეს მდგომარეობა შეიქმნა სწორეთ იმის მეოხებით, რომ რევოლიუციამ ვერ მოიპოვა განხორციელება ვერც ერთ თავის მოთხოვნილებისა, ხოლო მის შემდეგ-კი არ გაჩნდა (და ვერც გაჩნდებოდა) სხვა ისეთი ძალა, რომელსაც მისი მაგივრობის გაწევა შეძლებოდა. ამავე დროს ის აუცილებელი საჭიროებანი, რომლებიც დღესათ წინ წამოუყენებია ცხოვრებას, დაყინებით მოითხოვენ თავის დაკმაყოფილებას. აი, რატომ არის, რევოლიუციის შემდეგაც სახელმწიფოს ცხოვრება ვერაფერი საშვალებით კალაპოტში ვერ ჩამდგარა და, პირ-იქით, კიდევ უფროც იშლება და ისაქსება.

საზოგადოებრივი კლასები ჩვენში.

I

ნათქვამია, „მეგობარი გაქირვებაში იცნობა“ და ეს მართალიც არის. თავისუფლების დღეებში ისეთი შუბლ-გარეცხილი ადამიანი არ მოიძებნებოდა, რომ ეს ნეტარი დრო დაეგმო და მისი უმთავრესი ძალა, მუშათა კლასი, შესაფერათ არ დაეფასებია. ის ყველას უყვარდა, ყველა მითი ალტაცებული იყო, მარა თურმე:

„ბედში მყოფი რომ ჩვენ გვიყვარდეს, —
 ეგ ვერაფერი სიყვარულია;
 საქმე ის არის, რომ შეიყვარო
 ვანც ბედისაგან დაჩაგრულია“.

და აი, როცა პროლეტარიატი დაჩაგრული შეიქნა, როცა მას სისხლის ნიაღვარი სდიოდა, მის მტერ-მოყვარეთაც მაშინ გამოუჩნდათ ნამდვილი სახე. და ბევრი იმათგანი, ვინც მას წინეთაც ტაშს უკრავდა, ახლა მტრულათ მიეგება და წიხლები უთავაზა. და ახლა ყველაზე უკეთ შეიძლება საზოგადოებრივ ელემენტების სიაყვარგის დაფასება, მათი სულისკვეთების და იდეალების გაცნობა. ამიტომ, მე მსურს ამ წერილებში მოკლეთ დავახასიათო დღევანდელი საზოგადოებრივი კლასები და პარტიები ჩვენში აღვუხსნო მათი კლასობრივი ტენდენციები და ამით გამოვარკვიო, თუ სად უნდა ვხედავდეთ მტერს, სად მეგობარს და როგორს.

დავიწყეთ მემამულეებიდან, რადგან მათი ფიზიონომია იმდენათ აშკარაა, რომ მათზე დიდ ხანს ლაპარაკი არ დაგვკვირდება.

ვინ არ იცის, რომ ეს ბრწყინვალე წოდება მუდამ წინააღმდეგი იყო განმათავისუფლებელი მოძრაობის და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მოძრაობის უმთავრესი მიზანი, მისი აუცილებელი შედეგი — ეს ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცებაა. ეს კი ნიშნავს პირველ ყოვლისა ფეოდალების ბატონობის მოსპობას. რევოლიუციის კვანძის გახსნა — ეს მემამულეთათვის მამულის ჩამორთმევაა, ან გადასულ ხანის მიწათმფლობელთა წოდების გაქრობა და, ცხადია, ისინი თავის საზოგადოებრივ სიკვდილს ასე ადვილათ ვერ მოუკიდებოდნენ და თუ თავისუფლების დღეებში ისინიც გაიძახოდნენ ერთობა, ერთობაო, ეს იმ

ანდაზის ასრულება იყო, რომელიც ამბობს: „წყალ წადებული ხავს ექიდებოდაო.“ ეს იყო დაძლეულთა აჩხალება გამარჯვებულთა ეტლის საფეხურთან, ეგებ რაიმე შეგვგრძეს მაინცო, ეს იყო შინაარსი მათი „ოსანნას“ ძახილის, ამით ერთობას უკმევდნ ისინი გუნდრუქს.

რეაქციამ მათ პირველათ ახადა ფარდა და თავის ნამდვილი სახით ხალხის წინ წამოქიმა. ვის არ ახსოვს „ლალის მომკრები კომისიები“ ქართლ-კახეთში, 3—4 წლის დანაკლისის მოთხოვნა გურიაში, ამერეთში და სხვ. მემამულეების მიერ. ვის არ ახსოვს, რომ თვით ტოლმაჩოვს, რომელმაც ცეცხლს მისცა მთელი გურია, საუკეთესო მრჩეველებათ და, ასე ვთქვათ „ბოროტ სულათ“ გურიის ბრწყინვალე წოდება მოეგვინა! ვინ არ იცის, რომ ისინი მათ ათასჯერ მეტი სისასტიკით მოპყრობას ჩასჩინებდნ და რომ პლანი სავსებით ასრულებულიყო, გურიაში დღეს ქვა ქვაზე აღარ იქნებოდა.

დიახ, ამ გაბოროტებულ კლასის სიველურე უზომო იყო და მის შურისძიებას საზღვარი არ ქონდა. მე არაფერს ვიტყვი სხვა ადგილებში მათ მოღვაწეობაზე, რადგან გლეხებმა ეს თვითონ გამოსცადეს ცხოვრებაში ღ ყოველ სიტყვაზე უფრო მკერმეტყველია.

მაშასადამე დასკვნა ერთია: თავადაზნაურობა ეს რეაქციის ბურჯია და მასთან მორიგება შეუძლებელია. მათზე სავსებით ზედგამოქრილია ერთი ბერძნული თქმულება. „ვერ ვენდობი დანაელებს (მეომარი ხალხი იყო) მაშინაც კი, როცა საჩუქარი მოაქეთო“. არ უნდა მოგვატყუოს იმ გარემოებამ, რომ ისინი ლიბერალების, ავტონომისტების და ხშირათ ს.-ფედერალისტების ქერქში ესვეოდნ. მათი ასეთი „ოპოზიციონერობა“ შედეგი იყო არა მათი პოლიტიკური სიმწიფის, არამედ უძლურების და სისუსტის. ისინი ოპოზიციონერობდნ, რადგან რუსეთის სახელმწიფო მექანიზმში მათ თანასწორი ადგილი არ დაურჩათ რუს „ბრწყინვალე წოდებასთან“ ერთათ. რუსი მემამულენი თავის წოდებრივ უპირატესობას თავისთვის იყენებდნ და ქართველებს „დაჩაგრულს“ ტოვებდნ. ამიტომ მათი ოპოზიციონერობაც რეაქციონური იყო და არა პროგრესიული.

შინაურ საქმეებში; მამულის საკითხში კი ისინი რუსეთის პომეშიკებს არ ჩამოუვარდებიან და „შავი რაზმების“ შედგენით მათზე არა ნაკლებ ისახელეს თავი.

თავის თავათ ცხადია, როცა ამ წოდებებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში არ გვყავს ყველა მისი წევრები. თითო ოროლა თეთრი ყვავი ყველგან გამოერევა, მარა ეს საერთო დახასიათებას არ ამტყუნებს. პირ-იქით ეს კიდევ უფრო ამტყიცებს მას. ამ წოდებას თუ გაუბრბიან მისი ზოგიერთი წევრები, გაუბრბიან იმიტომ, რომ მისი გემი იმსხვრევა, მიტომ, რომ ის წარსულს ეკუთვნის და ეს ცოცხალი ელემენტები კი მომავლისაკენ მიისწრაფიან. ჩვენებურ თავადაზნაურობაში უნდა გაეარჩიოთ აგრეთვე მდიდარი და ღარიბი, ე. ი. ვისაც მამული ისევ ბლომათ აქვთ და ვისაც ის ხელიდან გამოცვლია. ეს უკანასკნელები დიდი ხანია ცხოვრებამ თავის ძველ კლასოტიდან გადმოისროლა და ახალ ცხოვრების მორევში ჩააბა და თუ მათში ზოგს კიდევ შერჩენია ძველი სიამაყე და ამპარტაუნობა, ეს მხოლოდ წარსულის ნაშთია და, როგორც ასეთი, ჩქარა წარმავალი და უღლე ურია. ამიტომ ისინი ამ წოდების დამახასიათებელი ვერ იქნებიან. პირ-იქით, ისინი მის დარღვევის და გაქრობის მაჩვენებელი არიან. ნამდვილი ძველი წოდების ბურჯნი—ეს სხვილი მემამულეებია.

ევროპაში ამ წოდებამ უკვე დიდი ხანია ჩაილულის წყალი დალია, გაქრა და თავის ადგილი ახალ ბატონებს დაუთმო. უნდა გაქრეს ჩვენშიაც. მართალია იქაც არიან სოფლის სხვილი მემამულეები და უმიწაწყო გლეხები. მარა ისინი აღარ გვანან ჩვენებურ მემამულეებს.

რა განსხვავებაა მათ შორის?

განსხვავება დიდია. პირველათ ის, რომ იქ წოდებას თავისთავათ ყოველი განსაკუთრებული იურიდიული უფლებები ჩამოერთვა და დანარჩენებს გაუთანასწორდა. მეორე და უმთავრესი განსხვავება ისაა, რომ ჩვენებური მემამულე ფეოდალია იქაური კი კაპიტალისტი, ჩვენებური მიწის ღალას იღებს მამაპაპურათ, ხშირათ ათასგვარ ძველებურ ბეგარას ადებს გლეხებს და ამით თავს ირჩენს, ე. ი. გულ-

გადელილი ქეიფობს. ევროპიული მემამულე კი ახალი წყობილების კაცია—ის მრეწველია, კაპიტალისტია, ე. ი. სოფლის მეურნე და თავის მამულს ხან იჯარით აძლევს, უმეტესათ კი თვითონ ამუშავებს და აწარმოებს საკუთარი თანხით და დაქირავებული სოფლის მუშების შემწეობით. ის თავის ნაწარმოებს ბაზარზე ყიდის, მოგებას ეწაფება და რომ სხვებს კონკურენცია გაუწიოს,—თავის წარმოებას აუმჯობესებს. ერთი სიტყვით, ის კაპიტალიზმის წარმოშობილი ან გადაქმნილი მემამულეა და არა ფეოდალური მებეგრე; ის ეყრდნობა უმთავრესათ ფულს, კაპიტალს, ჩვენი თავადები კი მამულს, მიწას.

მართალია თავის პოლიტიკური რწმენით და იდეოლოგიით დღეს არც ევროპიელი მემამულე შორდება ჩვენებურ ფეოდალ მემამულეებს. მარა ეკონომიურათ კი განირჩევა მათგან. ჩვენებური მემამულე, ეს გადასული დროის ხალხია, ხორცმეცია, წარმოებისთვის გამოუსადეგარი და მვენე პარაზიტი და ისეთი პარაზიტი რომელიც წარმოების განვითარებას ხელს უშლის. საქმე ასეა: მას აქვს მამული, რომელზედაც ის არც წარმოებას ეწევა და არც აუმჯობესებს, რადგან ამის არც ნიჭი შეწევს და არც უნარი. ხოლო გლეხს, რომელსაც ამის ნიჭიც აქვს და სურვილიც, გზას უღობავს, სახსარს ართმევს. როგორც მიწათმფლობელი, ის გლეხებს ღალის სახით თავის სარჩენსაც აღარ უტოვებს ნამუშევრიდან და მიწის განაყოფიერებაზე, უკეთეს სამიწათმოქმედო იარაღების შექმნაზე ხომ ოცნებაც კი მეტია.

ამნაირათ ის, როგორც ნათქვამია: „ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო“,—ისე შერება იმ განსხვავებით, რომ ის თვითონ ჭამაზე კი არ ამბობს უარს, არამედ წარმოების გაუმჯობესებაზე და ამით მხოლოდ სხვის ჭამას გზას უხშობს.

ამნაირათ, ევროპის მემამულე—მწარმოებელიცაა, ჩვენი კი არა, პირველი კაპიტალისტია მეორე კი ფეოდალი, პირველი ბურჟუაზიული წყობილების შვილია და მასთან ერთათ უნდა გაიზიაროს არსებობაც და სიკვდილიც, მეორე ძველი დროის ნაშთია, ბურჟუაზიულ ოწყობილების დამყარების ხელის შემშლელია და უნდა გაქრეს,

რომ მას გზა დაულოცოს; პირველი საწარმოვო ძალებს ასე თუ ისე ავითარებს, მეორე კი მისი უმეჩვრებელია. და აქ იბადება აუცილებლობა მისი გაუქმების. ის უნდა გაუქმდეს, როგორც წოდება, და გაქრეს, როგორც მემამულე.

ეს ვიმეორებ, ჩვენი ცხოვრების განახ-

ლების, მისი გავერობიელების მთავარი საკითხია. ის, ასე ვთქვათ, ძველი რეჟიმის ბორკილებია, რომელიც სხეულში ჩაქედია და აჩირქებს მას. და მათი ჩამოსხნა ხალხის წმიდა ისტორიული მოვალეობაა.

არ.



მზარეული ქალი. უი, დაიბდეს თვალები!!! ეს რა საშინელებაა!!! სწორეთ აღამიანები არიან ჩამოკიდული, თუმცა თავეჩი კი ცხოველებისა აქვთ!!!
ყასაბი. ვააა, რა ბაღრიალეებს?! იყიდე, რა-ლა, ამ ვირისთავეების ხორცი ძან გემრიელია!..
მზარეული ქალი. — აღამიანის ხორცი!!! ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავია, კაცი-კამიობის დრო აღადა თუ!!!
ყასაბი. ვააა, ტუტუც, არა უშავს რა, ეგ ცხერის თავა ღრეჯანებია, იმათ ყველა აძრობს ტყავს და შე რისღა მაქნისი ვარ!! ვააა, ტყავის ძრობა ჩემი

ხელობაა და სხვას დავეუთმო?!!
მზარ. ქალი. მერე აღამიანებს რას ეჩოდით რომ დაგიზოცათ?!!
ყასაბი. რის აღამიანები, რა აღამიანები?... ეს ცხერისთავა, უტვინო ღრეჯანებია, რომლებიც, აბაზათ და ექვს შაურათ ყიდულობდენ გირვანქა კამეჩის ხოცსა, როცა სხვა ქალაქებში 10-12 კაპეიკათ იყიდებოდა ძროხის ხორცი!!! აბეთი ტუტუცების გატყავება, სუფსარქისის მზემ, მაღლია და!! აიღე რაღა, აი ბარკალი!..
მზარ. ქალი. უიმე!!! უიმე!!! დამიდგეს თვალები!!!

რედ.-გამომცემელი პლატონ გაჩეჩილაძე.

ყოფილი აგენტების საეურზადლებით.

„ეკალის“ მე 5 №-ში იძულებული ვართ საქვეყნოთ გამოვაცხადოთ იმ აგენტების სახელი ღ გვარები, რომლებმაც უარშან შეგვიკამეს ფულები ღ მით ჟურნალს შეაწყვეტინეს არსებობა. საკითროთ მიგვარჩინა საზოგადოებამ გაიცნოს მათი ვინაობა, რომ ვინმე ხელში არ ჩაუვარდეს გა ი ძვერებს.

ქველი

№ 5 იუმორისტულ-ზოპუდიანული ჟურნალი 1908 წ.

გამოცემის მასწავლებელთან

ღებია ზეზი

იმ მოსწავლეთა; რომელთაც სურთ ქართულ სათავად აზნაურო გიმნაზიაში შესვლა. იქამდე ამჟამდემან მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა დაბალი და საშუალო სასწავლებლისათვის და აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

მოდანაკება შეიძლება 9-დან 12 საათამდის.

დრესი: არტილერიის ქუჩა (კადეტთა კორპუსის გვერდით), სახლი № 5, საყვავ. ჟურნალ „ჯიჯილის“ რედაქციის შენობაში, ეზოში, მეორე სართ.



ამჟრების იერიში.

დედა და ძალიზვილი.

- დედა. მარო, გენაცვალე, რაზე მოგიწყენია? გათხოვება თუ გინდა, თქვი, რისაღან გრცხვენია?
- მარო. ხო, დედილო, კი მინდა, მარა, ოჰ, ჯვარის წერა!.. ძველებური წესია, დედილო, შენც ხომ გჟვარა?
- დედა. ძველებური რომ არის, მერე რა საძრახია? ვისაც ძველი არა სწამს, აბა ის რა ხაღხია?
- მარო. არა, დედი, არ მინდა ჯვარის წერა, არაო, უნდა გავუფიქროს ჩემ სატროფოს, რაც ვითმინე, — გამარაო!..
- დედა. შეგი კი დაცუარე შე კომბიო, შენაო!.. ჩემმა წმიდა გიორგიმ, შევილო, შეგჩვენაო!..
- მარო. მიტომ მტუქსავ, მიწურები, ძველი დრო რომ დაბრუნდა, თავისუფლების ჩარხი უკუდამა რომ აბრუნდა?
- დედა. მარო, ხომ არ გავიწყდი?!.. ტსურს გეჟოლოს ბუშიო და საქვეუნიო გიწოდონ აშარი და მრუშიო?!..
- მარო. მერე რა? მიწოდონ!.. არ მსურს ჯვარის წერაო!.. მითქმა-მითქმა, ტორების მე არა რა მჟვარაო!..
- დედა. ნამდვილ „ტოტალისტკა“ ატარ სახლში შეოღია!!! ვაი, ჩემ დეეს უბედურს, კუროც რომ კი უოღია!!!
- მარო. ახალი დრო წავიდა და დაბრუნდა ძველიო, მიტომა შევს მე საწყადს შენისთახა მტველიო...

ღი.

ზ ა ი ძ ვ ე რ ა — მ ო ლ ა ლ ა ტ ე .

როს დარწმუნდა:
 დაძახუნდა
 ბატონო ხროვა უმადლარი
 და შეშინდა,
 აწრიბინდა,
 მშრომელ ხალხის გამამწარი;
 ხალხის დეღვით,
 აღმაფრენით
 მტერმა დასდო იარაღი
 და ერთობის,
 მტკიცე ძმობის
 აფრიალდა ბაირადი,—
 მაშინ ხელათ,
 მისაშველათ
 გაუწოდა ტანჯულს ხელი.
 და მახვილით,
 „ძირს“ ძახილით
 ინახულა ბრძოლის ველი.
 სიხარულით,
 სიფიქრულით
 უთრთოლავდა მშრომელს გული,
 როს შეღავდა,
 ბლამათ ვაგდა
 შეგობარი და ერთგული.
 მაგრამ შეცდა:
 ბრძოლა შეწყდა,
 აბობქრდა შავი ძალა,—
 აღმაფრენა
 დროთი დ სენა
 მწუხარებათ შეიცვალა...
 ხალხი კვნესის:
 კარვის მთესის
 ცეცხლმა შთანთქა სხელი, კერა...
 ბნელმა ძალამ,
 ვით სამსალამ
 შეჩერა გულის ძველს...
 მაშინ შეიღმა,
 მთლათ გახრწნიღმა,
 აუარა გვერდი მშობელს
 და მის მტრობით,
 დამამსობით
 წააცილა სხვა მის მკობელს.
 ტბილათ ცხოვრობს,
 თუმც არ შრომობს,

მტარვალის გახდა ფინა,
 და ამ სახით,
 თვის სიგლახით
 თავის თავი შეირცხვინა!..
 არ დადგება,
 კვლავ აღდგება
 ხალხი ესდენ განაწამი,
 სიხარულის,
 სიფიქრუდის
 კვლავ დადგება დრო და წამი.
 და ეს „გმირი“,
 გასაგმირი,
 კვლავ ჩვენსკენ იქმს მაშინ ზირს,
 მარა აჩა,
 ისიც კმარა
 რაც ჩაგვადო გასაჭირს!..
 მას სასჯელი,
 სატანჯველი...
 ვით შეფერის ცრუს და ფეიღის...
 თვარა ისა,
 რისსვა ღვთისა
 კვლავ ჩაგვიშლის გზას და ხიღს!
 დ. მე—რე.



ს ა უ ბ ა რ ი

1 მკითხველი. ცუდი დრო დაგვიდგა, რედაქციამ მუხრუჭი ძალზე მოგვიპირა, მარა ერთი სასიხარულო მოვლენა მაინც მოჩანს წყვილიდში: სასიხარულოა ქეშმარიტათ, რომ ამ დაცემულსა და გათახსირებულ დროში ჟურნალ-გაზეთები საკმაოთ გამოდის ჩვენში და ჩამოქვეითებულ საზოგადოებას ბნელს უნათებს.

2 მკითხველი. ხო, ააშენა ღმერთმა რედაქტორ-გამომცემლები, რომ შრომას არ ზოგვენ, მარა ახლა საკითხი ისაა, აქვს გასავალი მათი შრომას? გულწრფელი და დროს შესაფერია მათ შრომა? მკითხველი საზოგადოება იძენს რამეს ამ ჟურნალ-გაზეთებიდან თუ არა?

1 მკითხველი. რომ არ იძენდეს, არც იყიდის ამ ქესატობისა და საზოგადო უფულობის დროს.

2 მკითხველი. არა, მეგობარო, ასე მოკლეთ არ მოიჭრება ეს კითხვა! რა ვუყოთ მერე, რომ ყიდულობს ხალხი ჟურნალ-გაზეთებს და კიდევ კითხულობს. ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამით ის რამე სასარგებლოს იძენდეს და ითვისებდეს. ავიღოთ, მაგალითათ, „ტიფლისკი ლისტოკი“ და „ზაკავაზი“. აბა, რა უნდა შეიძინოს ამ გაზეთებიდან მკითხველმა, რაც არ იბეჭდება შიგ? მართალია, განცხადებათა შოენაში და მით მთელი გაზეთის აქრელებში ეს ორი „პროგრესიული“ გაზეთი მარჯვეთ არიან, მარა ამით ისინი მხოლოდ თავის ჯიბეს ემსახურებიან, ხოლო საზოგადოება კი ზარალში შეყავთ.

1 მკითხველი. ასე ახირებაც არ ვარგა!.. განცხადების წაკითხვასაც აქვს მნიშვნელობა საზოგადოებისათვის: მაგალითათ, რომელიმე მაღაზია ამა თუ იმ მიზეზის გამო იაფობას აცხადებს და ამით ხელ-მოკლე ხალხს ცოტათი მაინც შეღავათი ეძლევა.

2 მკითხველი. სწორეთ მაკვირვებს, მეგობარო, შენი მსჯელობა!! მხოლოდ გულუბრყვილო ხალხს გონია, რომ ვაჭარი „რასპროდაჟის“ დროს იაფათ უდის საქონელსო, თვარა ნამდვილათ კი მაშინ ზოგიერთ საქონელს კიდევ უმატებენ ფასს. ავიღოთ, მაგალითათ, აქ, თფილისში, „იაროსლავის მაღაზია“, რომელიც განუწყვეტლივ აცხადებს დიდ იაფობას და ახალა ისიც დაუმატებია, რომ ვაჭრობას ვხურავ, ვსპობ და ამის გამო ყველაფერს ნახევრის ფასათ ვყიდო. ეს ერთი ნაცადი ხერხთაგანია, რომ სისხლის მწოვარა ვაჭარმა თვალი აუბნოს საზოგადოებას და სიხარულით გაასაღებოს დამპალი და „დაბრაკული“ საქონელი. როცა ხელს გაიცლის, მაღაზიას გამოიცივლის, ერთი ქუჩიდან მეორეზე გადაიტანს ვაჭრობას და ურცხვათ გამოაცხადებს: აუარებელი ახალი საქონელი მივიღე, იაფათ ვყიდი და არიქა, მოაშურეთ, თვარა გამოიღევა და მერე ვეღარ იშოვნითო! ვაჭრები აბა რის ვაჭრებია, თუ ამასაც ვერ მოახერხებენ ოსტატურათ? ასეთ შემთხვევაში საზოგადოათ ისეთ საქონელს აკლებენ ფასს, რომლის ჩვეულებრივი ფასი საზოგადოების უმეტესობამ იცის, ხოლო დანარჩენ საქონელს კი, პირიქით, უმატებენ. ჯერ ისა თქვი, თუ

რამდენი ეხარჯებათ მარტო განცხადებებში მერე კიდევ სხვა ხარჯები და ყველა ეს საქონელს ეწერება ზედ. მოკლეთ რომ ვთქვათ, იაფობის დროს სბოლოოთ საზოგადოება რჩება ნაზარალევი და მოტყუილებული, ხოლო ვაჭარი კი მოგებული.

1 მკითხველი. ეს კეუაზე ახლოს არის. ასეთი მაგალითი მეც ვიცი: ამ სამი წლის წინეთ, რევოლიუციის საუკეთესო ხანაში, გურიაში მოვიდა ვილაცა უვიცი მაწანწალა მეგრელი, გვარათ დარასელია და გამოაცხადა ყოველგვარ ავთმყოფობას ვწამლობ და ვარჩენ, მარა დიპლომიანი ექიმი არ ვარ, ექიმები მემტერებიან და ხალხი თუ მფარველობას ვამიწევს ყოველგვარ სნეულებას მოვსპობ გურიაშიო. ხალხმა დაიჯერა და ყველა კუთხიდან მოაწყდა ახალ „დოზტურს“. შეიქნა ერთი ჯახი და ვაი უშველებელი მის კარებთან—არა მე შევალ და არა მეო. ბოლოს ის საწყალი ვილაცა ავაზაკებმა საიქიოს გაისტუმრეს, თვარა შენი მტერია, სულ გაატყავებდა ბნელსა და უვიც ხალხს.

2 მკითხველი. შორს რაღას მიხვალ, მაგისავე მსგავსი არაა აგერ ვილაცა აზობაძის „სპერმატინი“, რომლითაც ის ყოველგვარი სნეულების მორჩენას იქადის ასე ურცხვათ და უტიფრათ!!!

1 მკითხველი. მე ის მაკვირვებს, რომ ჩვენი ხალხი ვერ განათლდა ამდენ ხანს და გონს ვერ მოვიდა.

2 მკითხველი. მარტო ჩვენი ხალხი როდია ასე, ყველგან ასეთი ცოტადენი განსხვავებით.

1 მკითხველი. ამნაირათ გამოდის, რომ გაზეთები არა თუ სარგებლობას, ზარალსაც კი აძლევენ საზოგადოებას?

2 მკითხველი. დიახ, ის გაზეთები, რომლებიც მხოლოდ და მარტო თავის ჯიბეს ემსახურებიან, მარტო განცხადებით აქრელებენ თავის ფურცლებს და ხალხს ხელმძღვანელობას არ უწევენ.

1 მკითხველი. ყველა გაზეთი ხომ ასეთი არაა?

2 მკითხველი. არა, რასაკვირველია. არის ისეთი გაზეთებიც, რომელთა მიზანი მხოლოდ ხალხის გათვითცნობიერება, განათ-



შეყვარებული



დანიშნული

ლება და ხელმძღვანელობაა, მარა ასეთ გაზეთებს დღეს მკითხველი ნაკლებათ ყავს. დღეს მკითხველი საზოგადოების გემოვნება გარყვნილი და ჩამოქვეითებულია. რეაქციამ ხალხი გაათახსირა, გარყვნა, დააბნელა!... აღარ არის ის სულის სიმადლე, ის წინისაკენ მისწრაფება, რაც განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს იყო. რეაქცია როგორც ხალხის გემოვნებას აქვეითებს და რყვინის, ისე აქვეითებს და რყვინის პრესის ერთ ნაწილსაც. პრესის ერთი ნაწილი ხალხის მაჩანჩალათ არის დღეს გადაქცეული და სწორეთ იმას აწოდებს, რასაც ხალხში გასავალი აქვს. ხალხი ახლა კითხულობს სიზმრის ახსნას, ქუჩურ ლექსებს, უბრალო მასხარობას და გაურბის სერიოზულსა და პოპულიარულ ნაწერებს. დღეს ასეთი გამოცემათა რიცხვი, სამწუხაროთ, ბლომათაა და მათი შემწეობით ხალხიც თანდათან ეშვება ძირს...

1 მკითხველი. ამბობენ, იუმორისტულ, კარიკატურებიან ჟურნალებს ძალიან კითხულობს დაბალი ხალხიო და ეს არაა, ჩემი ფიქრით, ურიგო საქმე.

2 მკითხველი. დიახ, კითხულობს, მარა აქაც კითხვა იბადება: ჩვენებური იუმორი გავს ნამდიდელ იუმორსა თუ უბრალო მასხარობა და კერძო პირების კბენა-ღრენაა, ხშირათ უსაფუძვლო და პირად ანგარიშებზე დამყარებული? ხალხს, უეც ხალხს, აბა, იუმორის რა გავგება? მისი იუმორი მასხარობაა,

ლანძღვა-გინებაა და, რა თქმა უნდა, იმ გაზეთებს კიდებს ხელს, სადაც ასეთი მასალა ბლომათ მოიპოვება.

1 მკითხველი. შენ, ჩემო ძმაო, ყველაფერს აკრიტიკებ, ახირებულათ არაფერი მოგეწონება, მარა ყველა ასე კი არაა. ხალხს ის მოწონს, რაც ამ მწუხარების დროს გაციინებს და ცოტას გულზე მოუშვებს, აბა ახლა ფილოსოფიას ხომ ვერ ისწავლის, შე დალოცვილო!

2 მკითხველი. არა, ფილოსოფიას ვერ ისწავლის, მარა შეუძლია ის ფული, რასაც ახლა ხარჯავს და ის დრო, რასაც ახლა კარგავს უფრო ნაყოფიერათ მოიხმაროს და გამოიყენოს, მარა ამის შესახებ შემდეგ ვისაუბროთ.

უკულმართი.

* * *

გაშლილ მიდამოს დიდ ხნიო ვწოდებო,
შავი სუდარა მიმიძღვის წინა;
შენს ბნელს სამყაროს ვუახლოვებო,
შენს სსსხლეში მაძიებს მე ბინა.

გამზიარუდო, ტანჯვის სსმეფო,
ააუღარუნე რკინის ბორკილი;



კოლიანი



ვათიშული

თქვენც გაიხარეთ, შაჰო კედლებო,
ზოდის, ჭა, სტანჯეთ სიპართლის შვილი.

სხივებს ნუ მათრქვევ, მზეო ცხოველო,
სინათლეგ, ნუღა შეაღერსები,
კონანს დამეხსენ, დედაც მობებლო,
და ტანჯვას უფრო გავუმკლავდები.

ვიცი, ტკბილია, შეების მომცემი,
სიტყვებზე, ყოფნა გაშლილ არეში,
მაგრამ ჩემ წილ ხვედრს არ გავიქცევი,
ტანჯვისთვის მივად ტანჯვის მხარეში;

ტანჯვა ხვედრია ყველა მებრძოლის,
— წესი მშფოთავი ჩვენი ცხოვრების,
თავისუფლება შვილია ბრძოლის,
და გამარჯვება—სიკვდილ-წამების;

კარი გამიღე, მამ, ჯოჯოხეთო,
კადვეშო ბარემ ტანჯვის მორეგში,
ან შიგ ჩავეიხრჩო, მზეს ვერ ავხედო,
ან კვლავ დავბრუნდე ჩემს ტკბილ არეში...

აბობოქრდი და მძლავრა ტაღლები
ბინძურ სამყაროს შეტყობრნე შედგრა...
ძირს ბასტილიის შავი კედლები! —
შესძახე და კვლავ დაეცი მესხო...

და შეანგრე... და გამარჯვებულთ
სიძღვრა ვუძღვნათ იმ ნეტარ დროსა,
და ნანგრევებზე სსიხარულა
თავისუფლების აღმართოთ დროშა.

ბ. გელა.

კობა და გუგულო.*)

II

წელიწად ნახევარზე მეტი იყო, რაც
კობა ლამეების უმეტეს ნაწილს გუგულოს
სკოლაში ათევდა. დღე ის არავის დაუნახავს
გუგულოსთან. როგორც კი გაათენება მოაწვე-
და, კობა მაშინვე წამოდგებოდა და ახლო
მდებარე დაბას მიაშურებდა, დაღამებისას
კვლავ გამოსწევდა გუგულოსკენ და თან
კთილობდა არავის შეემჩნია. მას თავისი ჰი-
რით ჯერ არავისთვის ეთქვა, თუ სად ათევდა
ლამეს, თუმცა ამხანაგები ბოლო დროს თა-
ვისთავათ მიუხედავდნენ. ამჩნევდნენ, რომ კობას
თავისი ბინა საიდუმლოთ უნდოდა შეენახა.
როდესაც ამხანაგები ლამის გასათევ ბინაზე
ჩამოაგდებდნენ ლაპარაკს, ის ან ყურს ააშო-
რებდა და ან ორიოდ სიტყვით ეცთებოდა
მუსაიფის დაბოლოებას. ამხანაგებმა კარგათ
იციოდნენ, რომ კობა გულახდილი ადამიანი
იყო, რომ მათ არათფერს უმაღავედა და ამ შემ-
თხვევაში ხანდახან კიდევ ეწოთირებოდათ კო-
ბას საქციელი, მარა „ვიცი, რათ არ გვიმ-
ხელს კობა მისი ბინის ამბავსო“ ღიმილით იტ-
ყოდნენ და ამხანაგის საიდუმლოებასაც არ
ახებდნენ ხელს;—ერთხელაც არ უგრძობინე-
ბიათ კობასთვის, რომ მათ იციან მისი საი-
დუმლო.

*) იხილე კვალი № 4.

— სად წევები შენ ამელამ? კითხავდენ ერთმანეთს ამხანაგები.

— ღმერთმაც არ იცის! სადაც მომიხდება, ვინაც მიმიღებს. წუხელის ორჯელ გამოვიცვალე ბინა. გულით არავენ გვხვდება, ძმაო! რაკი კარს მიაღებები, ვარს ვერ გეტყვიან, თვარა შენი მტერია, მათ ჩვენი მიღების არ ცხელა! წუხელის უბრალო ხმაურობისათვის ამადღეს კაცი და ყინვაში სამი ვერსი გზა გამარბენიეს, — ტანისამოს გზაზე ვიცვამდი, — მწარეთ დაუმატებდა მეორე და ღიმილიც ტუჩებზე დააკვდებოდა ყველას.

— ერთი მხრით მართალნი არიან, ამხანაგო, ის კაცები: თუ გაიგეს რომ იქ გვეძინა, ან ხშირათ დავდივართ, მაშინვე სახლ-კარს გადუბუგვენ და თვითონაც ვიატკაში ამოარგევენებენ თავს.

— ხანდახან ჩვენც სულელურათ ვიქცევით: ხან ოთხი-ხუთი ვართ ერთათ და ჩვენს ყვირილს საზღვარი არა აქვს, ხან კიდევ დლით ჩავდივართ და დღისითვე გადმოვდივართ და ამას, რასაკვირველია, ყველა ამჩნევს. ასეთი გაუფრთხილებლობის ბრალი იყო, რომ წიბაძეს და ხაზაძეს სახლები დაუწვეს. და თვითონაც ციხეში სხედან.

ხშირი იყო ასეთი საუბარი. ამხანაგთა შორის. უმთავრესი საზრუნავი მათთვის ღამის გასათევი ბინა იყო. მართალია, ერთ დროს ისინი ყველასთვის სანატრელი და სასიამოვნო სტუმრები იყვნენ, ყველას უნდოდა თავის სახლში ენახა „უფროსი ამხანაგი“, მარა დღეს გარემოება იცვალა და, მაშინ თუ ოქროს სტუმრები იყვნენ, დღეს ვერცხლის და სპილენძისაც კი შეიქნენ ღამის გასათევი თუ მზათ ქონდათ, — ისინი თავს ასე თუ ისე არჩეინათ გრძობდენ, რადგან დღისით თავის დაფარვა შედარებით ადვილათ შეეძლოთ. ჯამუშებს და პოლიციელებს, რასაკვირველია, მაშინაც ერიდებოდენ, მარა რა კი ხალხის უმეტესობა მათი მფარველი იყო და ასე თუ ისე თანაუგრძობდა, ცხოვრება შედარებით ეადვილებოდათ: თავისუფლათ შედიოდნენ დაბაში, სადილობდენ, დროს ატარებდენ და თუ საჭიროება მოითხოვდა, სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებს თავიანთი საქმეების მოსაწყესრიგებლა, ან რომ ღლიმე კითხვის გასარკვევათ მი-

ყვებოდენ; დრო გამოშვებით წრეებში მეცადინობდენ, პროზაგანდას ეწეოდენ და სხვა. იყო დრო, როდესაც დროს გასატარებლათ და მოსასვენებლათ არც ერთ მათგანს არ სცალოდა, ყოველ წამს საქმეზე იყვნენ, მარა ახლა სხვაფერ შეტრიალდა ბედი და მათაც ძალიან ხშირათ უსაქმობა უკლავთ გულს. ყველა სიამოვნებით და აღფრთოვანებით იგონებს იმ სანეტარო დღეებს, ყველას აუწერელ სიამოვნებას გვრის იმ ბედნიერ დღეებზე მუსაიფი, მარა აწმყოთი მოწამლული უცებ ანებებენ ტკბილ მოგონებებს თავს და არსებულ პირობების ანგარიშის გაწევას ანდომებენ დროს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში არის დრო, როდესაც ნეკტარიც კი სამსალა და შხამია. — იყო დიდებული დრო და გაქრა!.. მაშინ ჩვენც დიდებულნი ვიყავით, ახლა კი ბუხები ვართ, მაშინ მძლეობა-მძლე ვიყავით, ახლა კი ჩვენზე სუსტი მგონი არავინაა, — იტყოდა ვინმე ამხანაგთაგანი ნალვლიანათ.

— დარდი ნუ გაქვთ, კვლავ დადგება ის ნეტარი დრო, კვლავ აღიმართება დროებით და შევებული დროშა, — დინჯათ უპასუხებდა მეორე.

— ენახოთ... ენახოთ...

ვინ იყვნენ ესენი და ან რას კეთებდენ? გავიცნოთ.

III

დიდი ხანი არაა მას აქეთ, რაც ჩვენი ქვეყანა ბნელეთით იყო მოცული; იყო და დღესაც არის. მაშინ ერთი ვარსკვლავიც არ უნათებდა მშრომელ და მუდამ ჭირის ოფელში მყოფ ხალხს. მშრომელი უმეტესობა ფაჩჩაქინდრული იდგა, მის არსებობაში ერთი სანეტარო წუთიც არ იყო. ის შრომობდა, დღესა და ღამეს ასწორებდა, ცხოვრებას ებრძოდა, კუჭს ემონებოდა და თავისი თავის მეტი არვინ ახსოვდა, იყო ჩამჯდარი თავის ნაქუქში და სხვისკენ გადახედვაც არ უნდოდა, არც სხვა იხედებოდა მისკენ, არც სხვა იტკივებდა თავს მისთვის. ყველგან სიჩუმე იყო გამეფებული, ტკბილათ ეძინათ ჩვენს მამებსა და თვითონ ჩვენცა. საზოგადოებას არაფერი უფრთხობდა ძილს: არც მატარებლების წივილ-კივილი, არც ქარხანა-ზავოდების გუგუნე. უფროს-უმცროსობა სწამდათ, ღმერთს გულ-

მოდგინეთ ლოცულობდენ და ბედის კმაყოფილი იყვენ.

სწორეთ ამ საზოგადო ძილის დროს დაიბადენ კობა და მისი ამხანაგები. კობას მამა სოფელში მინცა და მინც ლარიათ არ ითულებოდა, მარა არც მდიდრების გუნდს მიეწერებოდა. ის ხანდახან „თავი კაცთაც“ კი გრძნობდა თავს სოფელში და ცთილობდა მინცა და მინც სხვებს არ გვანებოდა. ამ მოსაზრებით მან კობას ჯერ დიაკონთან ასწავლა წერა-კითხვა და მერე, როგორც სოფლის „გახედულმა კაცმა“, ქალაქშიაც კი გაბედა შვილის წაყვანა და საქალაქო სასწავლებელში მიაბარა. სოფელში კობას დიდ ნიჭიერ კმაწვილიათ აღიარებდენ და ყველა მას შენატროდა. კობა მართლაც გონება-ფხიზელი ადამიანი იყო და კარგადაც სწავლობდა. ის, ამხანაგებთან შედარებით, სკოლაში განვითარებულათ ითვლებოდა, რადგან გაკვეთილებს გარდა, სხვა წიგნებსაც კითხულობდა. საქალაქო სასწავლებლის გათავების შემდეგ კიდევ მოემზადა და მასწავლებლობის ეგზამენი დაიჭირა, როგორც კობას, ისე მის მშობლებს გულში ჩიტი უფრინავდათ, რომ მათი შვილი „უჩიტელი“ შეიქნა. უკანასკნელნი კიდევ ამაყობდენ სოფელში თავისი შვილით, კობას კი ამაყობის არაფერი ემჩნევოდა: ის უბრალო და ზრდილობიანი ახალგაზდა იყო. ყველას მოწონდა მისი ხასიათი და ყოფა-ქცევა.

კობას ერთ მიყრუებულ სოფელში მიცეს მასწავლებლობა. ის მაშინვე წავიდა იქ და გულმოდგინეთ შეუდგა თავის საქმეს. როგორც ვთქვით, ის ერთობ ცოდნის მოყვარე და გონება მახვილი ემაწვილი იყო. მორჩებოდა თუ არა სკოლაში მეცადინეობას, მაშინვე წიგნებზეს კითხვას შეუდგებოდა; მთელი ქართული ლიტერატურა წაიკითხა და მერმე რუსულსაც დაეწაფა; ქართული გაზეთის ხომ ერთი სტრიქონიც არ დარჩებოდა წაუკითხავი, უკანასკნელ გროშს გაზეთს და წიგნებს ანდომებდა. ის თანდათან იზრდებოდა ღ ვაჟკაცდებოდა, როგორც ფიზიკურათ, ისე გონებრივათ. თანდათან იგნებდა ცხოვრების ავ-კარგს და ასე თუ ისე შეგნებულათ უყურებდა მას. ამ დროს ის უფრო მოძრავ ადგილზე გადმოიყვანეს მასწავლებლათ. აქ მას ძალიან ადვილათ შე-

ეძლო თავის ცოდნისმოყვარეობის დაკმაყოფილება, რადგან ყველაფერი ხელს უწყობდა. კობასთან ერთათ სხვა მასწავლებლებიც იყვენ, ასე რომ, ის გვირიან მოზდილ და განვითარებულ წრეში ჩავერდა. იქ, კობას წინადადებით და მეთაურობით ლიტერატურული წრე დაარსეს, სადაც კითხულობდენ და არჩევდენ, როგორც სამეცნიერო, ისე ბელეტრისტულ ნაწარმოებთ. ამ დროს „განმათავისუფლებელმა მოძრაობამაც“ იჩინა თავი და კობაც მთელი თავისი გატაცებით და ძალღონით შეუდგა ხალხის გათვითცნობიერების დიად საქმეს. ამ მუშაობამ ისე გაიტაცა ის, რომ ნახევარჯერ სკოლაშიც არ იყო. მთავრობამ, რასაკვირველია, მაშინვე დაიწყო კვლევა-ძიება, თუ ვინ იყო ხალხის „ამაბუნტებელი“. რასაკვირველია, არც კობა დარჩა შეუმჩნეველათ. ენატანებმა მაშინვე მიახარეს, სადაც ჯერ იყო, რის მცობებით ერთ შეწინააღმდეგებელს დაიხმობდა. კობასთვის მინცადამინც დიდ უბედურებას არ შეადგენდა ეს ამბავი, ვინაიდან ის სულ სხვა საქმიო იყო გატაცებული და გული მთელი თავის არსებით მას ემსახურებოდა. ამ გარემოებამ ის კიდევ უფრო დაუახლოვა მის სათაყვანო საქმეს. იმ დღიდან ის ენერგიით შეუდგა ხალხში სინათლის ფენას.

კობას მშობლებისთვის კი ეს ამბავი თავზარდამცემი იყო. მათ ტირილ-ჩივილს და ბედის წყევლას დასასრული არ ქონდა. ის რომ სასიკეთო არ იყო, თავიდან ეტყობოდა: მუდამ წიგნებს უჯდა და მაგან დალუპა მისი კაცობა... აგერ ხუთი წელიწადია მასწავლებლათ არის და აბა ერთი კაპეიკის საღირალი რამე თუ შემოუტანია ოჯახში!... თავისი ქალაღების მეტი არაფერი სწამდა და კიდევაც დელიუპა თავი, — ჩიოდა მამა მისი — რათ გადაიმტერა უფროსები, რა გასაჭირი ადგა იმისანა? საქმელი თუ არ ქონდა, აქ მოსულიყო და მე ვაქმევიდი...

— ერთი მინც მანახვა ჩემი კობა, ტირილით ამბობდა დედა.

— ვინ გაჩვენებს აწი შენ იმას? ზუნდა იმალოს, თვარა მაშინვე დეიქერენ...

— მაშინ დაეცეს დედამის მეხი, მაშინ...

— კობა გაცოციალისტებულა, თურმე ქადაგობსო, — ჩუმათ ამბობდენ სოფელში და

თან მამა მისის უბედურება გულში უხარო-
ლათ.

IV

მრავალ საუკუნოებით ტანჯული და დამონებული ხალხის გულს მალამოსავით ხვდებოდა ახალი აზრები. რაღაც გამოურკვეველი იმედი და სიხარული ჩაისახა ყველას გულში. მზიერებით დაეწაფენ თავისუფალ სიტყვას და დღიურ ვარამით გულმკვდართ და სასოება მიხდილთ უკეთესი, გაბწყინებული მომავალი წარმოუდგათ. ყველას უკვირდა თუ დღემდის რათ ვერ შეეგნოთ თავისი მდგომარეობა, რათ ვერ გაეთვალისწინებიათ ყველაფერი ის, რაც ყოველ წუთს მათი ცხვირის წინ იყო და არსებობას უშხამავდათ. თითოეული წუთი, თითოეული წამი მათ შეეგნებას საშინელათ ზრდიდა და წინ ეწეოდა. რაც დრო გადიოდა, მშრომელი უმეტესობა თანდათან შორდებოდა თავისი სიცოცხლის ბნელეთით შოკულ ხანას და ახალ, დღემდის უცნობ ბედნიერ ცხოვრებას უდგებოდა. საერთო სიხარული გამეფდა, ბედნიერება ყველას კარზე გაჟოჩნდა, თავის საკუთარი „მე“ უკან ჩამოდგა, ყველგან გამეფდა „ჩვენ“. განცალკევებულ ცხოვრებას ბოლო ედებოდა, ყველამ ერთმანეთზე დაიწყო ფიქრი, ყველა ერთათ შეუდგა საერთო ბედნიერების დამყარებას, ყველას ერთი აზრი ასულდგმულვებდა, ყველას ერთი მისწრაფება აღფრთოვანებდა. დადგა უტკბილესი წამი ხალხის ცხოვრებაში, უბედნიერესი წუთები დღიდან არსებობისა. ბოლო მოელო შურს, მტრობას, შენჩემობას... საერთო მეგლისმა დაათრო არე-მარე, იმედის ზღვა აბობოქრდა... გაწყდა ყოველივე კავშირი ბნელეთთან, მონობასთან... ადამიანებმა დაანებეს პირუტყველ ცხოვრებას თავი, მოითხოვეს ვარკაფილი უფლებები, მოინდომეს თავისი თავის და თავისი ნაშრომის პატრონობა. ელვის სისწრაფით შეეღდგენ თავის დამამცირებელთა და დამმონავებელთა თავიდან მოშორებას... წარსული ჯოჯობათა აღიარეს, მომავალი სამოთხეთ დაისახეს... ბოროტება ისპობა, სამართლიანობა მეთდება, მონობა ქრება. თავისუფლების ჰიმნით გაიქლენთა ყველაფერი... ერთი კუთხე მეორეს ბინს აძლევს, ყველაფერი ბო-ბქრობს... ძველი კერპები

იმსხვრევა, ახალი ცხოვრება ახალ გმირებს შობს.

კობაც ამ გმირთა რიცხვში იყო. ის ერთი უსაყვარლესი და ყველასათვის სასურველი ამხანაგი იყო. მის სიტყვას და აზრებს ყველა მზიერებით ყლაპავდა, მწყურვალესავით ეწაფებოდა. მანაც მთელი თავისი არსება ხალხს შესწირა. მაზედ ფიქრობდა მუდამ, ოცნებობდა, ყველაფერი კერძო, პირადი ვარკო, თავისი თავი მაშვრალთა სამსხვერპლოს შესწირა. კობას სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა ხედავდა, რომ საუკუნოებით დამონებული ხალხი ამოძრავდა, თავისი მდგომარეობა შეიგნო და ადამიანურ ცხოვრებისკენ გაექანა. მას ხანდახან ატკიოდა ჯეროდა ეს. თუმცა რამდენიმე წლის უკან, ოცნებაში თუ წარმოიდგენდა კობა მშრომელთა ასეთ ამოძრავებას, მარა დღეს ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა. ერთდროინდელი ოცნება სინამდვილეთ ექცა კობას.

—განა უკეთეს ბედნიერებას განიცდის ადამიანი? ბედნიერი ვარ ქვეყნის ბედნიერებით, ვხარობ ქვეყნის სიხარულით, —ხშირათ იტყოდა კობა და დაუღალავათ განაგრძობდა მუშაობას. დღე და ღამე მისთვის ერთი იყო. ხანდახან სმა-ჰამაც კი ავიწყდებოდა; შრომით გატაცებულს საერთო საქმის მეტი არაფერი ახსოვდა.

მისი მშობლებიც დიდ ბედნიერებათ გრძობდნენ თავს, როცა მათი კობა სრულებით ისეთი ბედის არ შეიქნა, როგორსაც ისინი მოელოდნენ მასწავლებლობიდან დათხოვის შემდეგ. ისინი კიდევ ამაყობდნენ თავისი შვილით.

დიახ, საერთო მეგლისი და აღფრთოვანება სუფევდა, ბედნიერებით თავდავიწყებული იყო მრავალ საუკუნოებით შეჯახებული მშრომელი მაჯა... ბნელეთი ქრებოდა, ქვეყნის მხსნელი ვარსკვლავი ცის კამარაში კაშკაშებდა და ადამიანებს თავისკენ იზიდავდა...

მაგრამ უცებ ფარდა დაეშვა და ყველაფერს ბოლო მოელო! შავი ზეწარი ჩამოეფარა ქვეყანას და კვლავ გამეფდა ბნელეთი, შავი ბნელეთი! კვლავ კბილთა ღრკენამ და ტანჯვა-ვაებათ მოიცო ქვეყანა, კვლავ ბოროტება გამეფდა, კეთილი ჩაიფლო, მონობა

აღღა, თავისუფლება დასამარდა, ბედნიერი წუთები გაქრა... სისხლით მოირწყო არე-მარე, ძვლებით მოიფინა მონღორ-ველები, ყვაე-ყორნები კვლავ აჩხავდენ და ამოძრავდენ... კვლავ ასისინდენ შხამიანი გველები... საერთო აღფრთოვანება სასოწარკვეთილებათ შერიცვალა... კვლავ კენესა, ტირილი, ოხერა, გოდება!.. კვლავ მონობა, დამტირება, დამღაბლება! გაქრა ბედნიერება, წარვიდენ დღენი ნეტარნი!..

და კობაც ამხანაგებითურთ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა: მას არ შეეძლო ბნელეთს შერიგებოდა, მას მონებოდა. მან დიდი ხანია, რაც ვარყო ძველი საზიზღარი ცხოვრება და კვლავ მასთან შერიგება მას არ შეეძლო. კობა ძველი ცხოვრების მოსისხლე მტერი იყო. ის კლდედავით იღვა ამხანაგებითურთ და გაასკეცებული რწმენით იცავდა ბედნიერ წუთებს, მარა ჯერ კიდევ საკმაოდ შეუფერებელი ხალხი უკვე წამოჩოქებულიყო ბრძოლის ველზე და ხელში ბაირალ-ხატებით პატიებას ითხოვდა.

და ეს შხამივდა კობას არსებას...

იქ, სადაც რამოდენიმე დღის უკან თავისუფლების ხმა ქუხდა, ბოროტება იმუსრებოდა, ჯოჯოხეთური ცხოვრება სამარდებოდა და ახალი ცხოვრების საძირკველი ისკვნებოდა, აი იქ. დღეს პატიებას და შებრალებას თხოულობდენ, მუხლმოდრეკილი შეწყალეზას ელოდენ!.. და იმ ხელებს, რომელთაც გუშინ თავისუფლების დროშა ეპყრათ, დღეს სამფეროვანი და საეკლესიო ბაირალები ეპირათ...

(შემდგვი იქნება.)

ვ. მალაქიაშვილი.



კითხვა-პასუხი.

— ეს რა ჯურის მგოსანია „ნიშადურის“ „თომა ზუსა“?
 — ისე უჭრის მას კალაში, ვით ბრმას თვალი, უური ყრუსა!..
 — შერე ასეთ მოღუქსესა ნუ თუ არ დებს წუნს გუნია?
 — რაქს ამბობ? შენ არ იცი, რომ ორივე კლოუნია?

???

ახალ-მოღის პოეტი.

პოეტობა რომ დავიწუე, —
 ჰირს მომადღა „ია“, „უა“
 და თავს ვკითხე: „ლექსის წერა
 ნეტა თუა რამე ჭკუა?“

ზანს, არა ვარ მე პოეტი,
 რადგან მხოლოდ რიფთა მოღის!..
 მარა არა, თავს ვიძვირებ, —
 პოეტი ვარ ახალ-მოღის.

კრიმანჭულაძე.

გ ა ნ ი ნ ა

(მიბაძვა)

ეს, მეტ გეტყვი, ჩემო შვილო,
 ერთხელ ნანინასო,
 შავ სურათებით მოქარგულს,
 ტრემლით განახანსო!..
 უური მივდე, ტენაცვალე,
 და მომისმინეო,
 დაიხსომე, რაც რომ ვითხრა,
 შენი ჭირიმეო!
 ჩვენი მსარე ბუნებისგან
 უხვათ შემკუდიო,
 მთა-გორებით მოქარგული,
 ამწვანებულეო,
 ვერავ მტრებმა, საზიზღრებმა,
 განადგურესო,

ტეცხლს და მახვილს მისცეს ზირში
 დასწვეს, დაბუკესო...
 დიდი, მცირე, კაცი, ქალი
 სტანჯეს, აწამესო.
 ტყე, მინდორი, მთა და ბარი
 სისხლით შედეგესო!..
 მამა შეინც, შეიღო, იმ დროს
 გაგტიმბირესო,
 დას ნამუი აგისადეს,
 ძმა კი მოგვიკლესო!..
 ობლათ დარჩი, ქვრივ-ოხერი
 დედის ამარაო:
 ხან გშია და ხან გწუყობა
 არ გაქვს ანარაო...
 მაგრამ ტანჯვა ქურა არის,
 გაგაფოლადებსო
 და ბრძოლის ტეცხლს, დაუშრეტელს,
 გულში ავანთებსო.
 მამ, იხარდე, გენაცვალე,
 მწარე ტანჯვაშიო,
 ვიდრე ღონე მოგვიდეს,
 შეიღო, მაჭაშიო!
 მამინ კი მტერს წინ გადუდექ,
 სისხლი აიღეო,
 თავისუფლების კარები
 ძალით გაიღეო!
 მარა ახლა დაიძინე,
 თუ მოგაწეინაო
 და მეც შეგწვევტ ჩემ ნანინას,
 იავ ნანინაო!

ვ. ჩახრუხაძე.

პროვინცია

სოფ. დიდი ჯიხიში. (ქუთაისის მაზრა)
 15 მარტს აქ შესდგა ადგილობრივ შემნახველ-გამსე-
 სებელი კასის წევრთა კრება, რომელზედაც უნდა
 აერჩიათ რამდენიმე ზირი სარევიზიო კომისი-
 აში და გამგებობის წევრნი და დაემტკიცებიათ
 წასული წლის ანგარიში. კრებას დაესწრო, სხვა-
 თა შორის, მისაკო ნ-ძეც, რომელმაც მოისურვა
 ურა-უმრავლესობით და ქრთამ-ნათღიმამობით გა-
 შკეობის წევრთა თავისი არჩევა. ამ გარემოებას

გამოიწვია პროტესტი და კენჭის ერის დროს,
 როგორც შარშან, ისე წელსაც გაშავდა.

26 აპრილს დიდ-ჯიხიში ეწვია ცნობილი
 ი—ე ნ—ძე თავის ბაში ბუხუეკებით და თავს და-
 ეცა ერთ გაყახალებულ ემანჯილს, რომელიც იმ
 დღეს ჩამოსულიყო სოფელში, მაგრამ ყაჩაღმა
 თავს უშველას და გაბრახებულმა ი—ემ, გზაში
 მიმავალ ორ კლექს სასტიკათ სტემა, რადგანაც
 ამათ ვერ დაენასათ, თუ საით წავიდა ყაჩაღი.
 როდესაც ერთერთ გაღახულთაგანის დედან დაუნახავს
 რომ მის შვილს უმთავრლოთ სტემენ, მიშველებია,
 მაგრამ მასაც უარესი დღე დასდგომია: ერთ ბაში-
 ბუხუეკთაგანს უძვრია ბებუთი და სობრადო ადამი-
 ანი ბებუთით მკლავში დაუჭრია, რის შემდეგაც
 არჩეინათ კასდგომიან გზას დღევანდელი სოფ-
 ლის ქირისუფლები..

სოფ. მეტეხი (გორის მაზრა). აქ შედგა
 ეკრეთ წოდებული „მოქეიფეთა ჯგუფი“, რომე-
 ლიც სთავებში უდავს ეოგულგვარ საზოხდრობას
 და მშვიდობიან მცხოვრებთ მოსვენებას არაძღვეს.
 ამ ჯგუფის მეთაურები: ტ—ო მ—შვილი, ვ—ო
 დ—ი, ს—ო თ—ელი, ვ—ო შ—შვილი, მ—ა
 მ—შვილი, ბ—ო შვილი და, შ—ო ტ—იშვილი
 დამ-დამეობით და დღითაც კი უვარდებიან კლე-
 ხებს ოჯახებში—იტაცებენ ღვინოს, აშკარა კარ-
 უნინლებას ჩადიან და სხვა. აპრილის ზირველ რიცხვე-
 ბში ამ ვაჟბატონებმა ბებუთით დასჭრეს ორი ახნაური
 ვ—ო მ—შვილი იდა ბი—ნა მწეკრადე, ხოლო ექვს
 კაცს შეუბრადებლათ სტემეს სოფლის სამმართვე-
 ლოში. სამი ამბავანი დაზატომრეს, მაგრამ ორი
 მალე განთავისუფლეს, ხოლო ერთბ, ვ—ო
 დ—ი კი დღესაც დაზატომრებულია. თვით ჯგუფის
 მეთაურობს ცნობილი ფედერალისტი ს. თ—ი,
 რომელმაც შეადგინა ყალბი განჩენი იმ მიზ-
 ნით, რომ ვითომ მოავრობას ჰურით დახმარებას
 თხოვენ, ხელი მოაწერია კლექებს და ვ—ო დ—
 ის განთავისუფლება მოათხოვინა. ამ სიყალბემ
 განსჭრა და დ—ი კიდევ განთავისუფლეს.

დ. სუჯუნა. (სენაკის მაზრა.) ენა ვერ
 ასწერს იმ უკიდურეს გაჭირვებას, რომელსაც გა-
 ნიცთიან აქაური მცხოვრებლები მოუსაფლობს გა-
 მო; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ დროის რასი-
 დები—სულიერნი მამანი და ძმანი მათნი ისედაც
 გაძვალტყევებულ ხალხს უკანასკნელ ლუკმასაც კი

გლეჟენ ჰირიდან და შემწეობის მაკიერ აწიოკუ-
ბენ და აბეგენ.

ფუთი სიმილი 90 კაზ. იყიდება და ის ც
კი ძვირი საშოვნელია; არც თუ წელს უჩანს ჰირი
მოსავალს და მერმისაც ის დღე მოკლის მცხოფ-
რებლებს, როგორც ამ უამთ არის.

ერთ დროს აქაც არსებობდა სამკითხველო,
მაგრამ ჩაიხურის წყალი დალია და სამკიეროთ
სამიკიტნობის რიცხვმა იმატა, რასაც შედეგათ
მოყვა ღოთობა, ჩხუბი, ბანქო-ნარდის თამაში და სხვა
ამგვარები. რაც შეეხება ახლგაზღვებს— ესენიც არ-
შოიკობაში და ღოთობაში ატარებენ მთელ დროს
და თანდათან უკან-უკან მიდიან.

დ. ხონი. (ქუთაისის მაზრა). აქაურ ინტე-
ლიგენციას ჩამეტურ კი ბბ. ზესტალოცებს ბანქო-
ნარდის თამაშისა და დროს გატარების მეტი არა-
ფერი აინტერესებთ. მათთვის არც ჟურნალ-
გაზეთები და არც სხვა რამ არ არსებობს.

აქ შესდგა ჯგუფი, რომელმაც ითავა ჰერო-
დულათ წარმოდგენების მართვა. შაბათს, 10 მაისს,
წარმოდგენილი იქნება მ. ირეთელის ჰიესა „და-
მარცხებულნი“.

ამათვე მიმართეს ქუთაისის ტენერალ-ტუბერ-
ნატარს თხოვნით, რომ ნება დაერთოს ხონში სა-
ხალხო უნივერსიტეტის დასაარსებლათ.

ს. გურიანთა. (გურია). „დასაწეისის“ მე-
19—20 №№-ში მოთავსებულმა ბ. -ის წერილებმა
კამოაფხიზლა აქაური გლეხ-კაცობა, და მიწების
ვიდვას შეუდგენ კომუნალურათ.

გურიანთის და ხვარბეთის საზოგადოებამ
იდეისაწავლა ჰირველი მისი და რამდენიმე
კრება გამართა, სადაც ღამაზაკი იყო ჰირველ მია-
სის მნიშვნელობაზე დღევანდელ მომენტზე და
სხვა. წეს-რიგი არ დარღვეულა.

დ. ონი. (რაჭა) ვერ იქნა და ვერ კელირ-
სეთ დ. ონის სამკითხველოს სასურველ ნიადკ-
ზე დადგომას, თუმც არშოიკობა ვერჟერობით შე-
წულა, მაგრამ კითხვის დროს ხმადაღლა ღამაზაკი
და ხმაურობა მაინც სუიფეს.

დ. ონიმაც საზოგადოთ შიმშილი მიძინე-
რებს და ჰატრონი კი არსით ჩანს. თუმცა აქაც
არსებობენ „ბაზრის დეპუტატები“, მაგრამ ისინი

ეურსაც არ იბერტყავენ, რადგანც მხოლოდ თავის
მალახიებზე ფიქრობენ

მიუხედავათ იმისა, რომ აქაური მცხოვრებ-
ლები მამაზავეულ დროიდანვე დღესასწაფლობდენ
ჰირველ მისის. წელს ჰოლიციამ ნება მრ დართო
ედღესასწაფლათ და განადგურების შიშით მთელ
დღეს საგატრო, სამიკიტნობი და სხვა ამგვარები
ლია იყო.

სად. მუხიანი. რეაქციის გამარჯვებით აქა-
ურმა სოფლის მოხელეებმა წამოიყვეს თავი და
ხალხს ბოლს დაენენ ზურუსე: სოფლის მწერალი,
რომელიც წინეთ 150 მანეთს იღებდა წელიწად-
ში, დღეს 300 - 400 მანეთს თხოულობს. მამა-
სახლისმა ბეჭდის დასმასზე აბაზის მაკიერ ორი
აბაზი დააწესა და სუდიეა ხომ უსადილოთ ფეხს
არსათ ადგამენ.

ამათ არ ჩამორჩენ ბრწყინვალე წოდების
რანინცი: თ. ვლ. იაშვილმა სოფ. კეკუთში და
საყუდია-ბაშის საბანკო ადგილების მოურავმა დ.
მესხე, ისარგებლეს რა სტრანჟიკების დაბინავებით
სოფელში, დაღები ერთი ორათ გაადიდეს და
ხრიოკ მთა-გორიან ადგილებშიაც კი ბ. მესხი სა-
ქონელს იჭერს და ჰატრანებს თითო მანეთს
ახდევინებს. ვ ნც ეწინააღმდეგებათ, მათ ცხენში
ჟევერენ თავს; როგორც მაგალ., სოფ. კეკუთიდან
გადასახლეს კუხიანიძე, ბაშიდან ხაზარაძე, ასა-
თიანი, ნაცრიშვილები და სხვანი (ამთვან მოხუ-
ცებულნი ნაცრიშვილი ქუთაისის ცხენში გარდა-
ცვალა). ამ რანინებს გვერდში უდგანან მღვდელი
რ—ნ ს—ძე, მისრე მ—ზე, მიკიტანი ჭ—შვილი
და სხვანი, რომელთაც მიზნათ დაუსახვთ „ახალ-
იადობის“ დახმდვაცინება და დანოსების მირთმევა.

სოფ. სამიქია (სენაკის მაზრა). მიუხე-
დავათ იმისა, რომ მდინარე ცხენის წყალმა თით-
ქმის წალეკა ისედაც მცირედი სახსავ-სათესი
მიწები და ასე წარმოადგინეთ ეკლესიაც კი და
მიცვალებულნი, აქაური ადმინისტრაცია ეურსაც
არ იბერტყეს და არ ცთილობს როგორმე კამაზ-
როს ცხენის წყლის ნაპირი. სამაკიეროთ, რეაქ-
ციის გამარჯვებით, აქ თავი წამოიყვეს მამასახლის-
მწერალ-მღვდლებმა და ისედაც გაძვალტყავებულ
და დამშეულ კლესკაცობას, ღამის არის სუდიც
კი გაუიღონ.

საზოგადოებრივი კლასები ჩვენში

II

არც ერთ საზოგადოებრივ კლასის შესახებ არ არსებობს იმდენი ყალბი წარმოდგენა, რამდენიც გლექსკაცობის შესახებ. ერთნი მას უკვე მოაწიფებულ სოციალისტურ ელემენტათ თვლიან და მისი შემწევობით დაუყოვნებლივ სოციალიზმში გადახტომას ფიქრობენ, მეორენი მათ სულ უკან აყენებენ და მათგან, გარდა რეაქციონერობისა, არაფერს გამოელიან. და რაც უფრო გასაკვირველია, ერთნიც და მეორენიც მის ცხოვრებაში თავის აზრის დასამტკიცებელ საბუთს პოულობენ.

მართლაც, რას წარმოადგენს გლექსი?

პირველათ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ გლექსკაცობა ერთგვარ ელემენტისაგან არ შედგება. აქ ყოველნიან ჩაღხს შეხვდებით უსახლკარო პროლეტარიდან დაწყებული სხვის-დამპიკრავებელ, შრომით გასუქებულ ბურჟუაზიამდე. და ამათ შორის მრავალი საშვალო საფეხურებია: ასე რომ, ვერ გაარჩევ, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე. ამას გარდა, გლექსი ანუ როგორც მიღებულია — სოფლის წვრილი მეურნე, სხვა და სხვა ისტორიულ ეპოქაშიაც განსხვავებულია: ფეოდალური წყობილების გლექსი არ გავს კაპიტალისტურ ხანაში მცხოვრებ გლექსს. ამიტომ, როცა ჩვენებურ გლექსკაცობას განვიხილავთ, აუცილებელია — ის ევროპის, განვითარებულ ქვეყნების გლექსკაცობას შევადაროთ და მათში მსგავსება თუ განსხვავება აღვნიშნოთ.

გლექსი პირველ ყოვლისა წოდებაა, რომელიც უფლებათ დაბლა დგას თავდაზნაურობაზე, უპირატესობით აღქურვილ წოდებაზე. მათი განსხვავება უფლებრივად და ეს უფლება დამყარებულია მამულზე, რომელიც ამ უკანასკნელს ბლომათ მოეპოვება, გლექსს კი მუდამ საძებრათ აქვს. მარა ეს წოდებრივი განსხვავება კარგავს თავის ხასიათს მას შემდეგ, რაც ბატონყმობა გაიყარა. წინეთ ბატონი იყო უფლების პატრონი, გლექსი კი მისი ყმა, ე. ი. გინდა მიწის მუშა ყოფილიყო, გინდა თერძი, ჩილინგარი, მჭედელი

და სხვა უფლებო ადამიანი. ის იყო მაშინ წმინდა გლექსი, ბატონყმობის გაყრიდან კი, ეს რამდენიმეთ შეიცვალა, ყმას ზოგიერთი უფლებები მიეცა და აზნაური მაზე დღეს ველარ იბატონებს მხოლოთ იმიტომ, რომ ის აზნაურია. თუმცა მას ბევრი ზედმეტი უფლებები შერჩა, მარა ზოგი მინც მოაკლდა, წმინდა ბატონყმობა დაირღვა. მართალია, გლექსი უმიწობის გამო ახლაც მემამულეზე დამოკიდებული დარჩა, მარა ყველა არა. ზოგი მათგანი ქალაქში წავიდა და მუშათ დადგა, ზოგმა ვაჭრობას მიყო ხელი და მოქალაქეთ შეიქნა, ზოგი სოფლათ დარჩა და სოფლის პროლეტარიატს და სოფლის ბურჟუაზიას საფუძველი ჩაუყარა. ახლა ისინი მხოლოთ სახელს ატარებენ გლექსისას, თორემ ნამდვილათ კი სულ სხვა ელემენტს წარმოადგენენ. მართალია, მათ დღეს გლექსს უწოდებენ, განსაკუთრებით სოფლის პროლეტარებს, მარა ეს დიდი შეცოთმაა.

ნამდვილი გლექსი იმას ეთქმის, ვინც სოფლათ თავის ან აღებულ მიწას ამუშავებს საყოფათ და უფლებბრივათ კი დაჩაგრულია ბრწყინვალე წოდებასთან შედარებით. ვისაც მიწა აკლია, არც მისი იჯარით აღება შეუძლია, ნახევარჯერ საქიროთ დაღის, ის ნახევრათ პროლეტარია, ხოლო ვისაც მეტი მიწა აქვს თავისი, ან სხვისი აღებული და შიგ დაქირავებულ მუშებს ამუშავებს, ის კაპიტალისტთა კლასს ეკუთვნის, ამნაირათ რომ დღევანდელი გლექსი დაჯანსაღათოთ, საქიროა მისი ეკონომიკა და უფლებბრივი მდგომარეობის განხილვა. ღარიბი სოფლის აზნაური დღეს გლექსათ არ ითვლება, თუმცა ღარიბია. ევროპაში კი წოდებრივ განსხვავებას თავისი მნიშვნელობა დაკარგული აქვს და გლექსის გამოსაცნობათ მხოლოთ ეკონომიური ნიშანი არსებობს. იქ გლექსი იმას ეწოდება, ვინც მიწას ამუშავებს თავის იარაღებით, ე. ი. წვრილ მეურნეს, რომელი წოდებისაც უნდა იყოს ის, ეს სულ ერთია. ამნაირათ, წოდება ჩვენში აძლევს კაცს უპირატესობას, იქ კი აღარა. იქ ყველაფერი მხოლოთ ქონებაზე, ფულზე და მოკიდებული და არა გვარ-შვილობაზე. და გლექსიც ამ ქონების მიხედვით გა-

ნისაზღვრება, ის, როგორც ზევით ვთქვით, წყრალი შეუძნა.

ეს, ერთი შეხედვით, მცირე განსხვავებაა, მარა ნამდვილათ კი ამაშია დამჩხული დღევანდელი მოძრაობის მთავარი ძარღვი: წოდებათა გაუქმება მისი ერთი მთავარი დევიზია და ეს არა მარტო იმიტომ, რომ გლესს უფლება მიეცეს, არამედ იმიტომაც, რომ ის ახალ ეკონომიურ პირობებში ჩაეარდეს. დღევანდელი ჩვენი გლესი განსხვავდება ევროპის გლესისაგან არა მარტო თავის უფლებრივი მდგომარეობით, არამედ ეკონომიურითაც.

ევროპაში გლესი ეწოდება იმას, ვისაც საკმაო მიწა მოეპოვება რომ დაიმუშაოს და ამით თავი ირჩინოს. იქ, ვინც სხვის მიწას ამუშავებს, ის იჯარაღარია, ანუ როგორც იქ ეძახიან, წვრილი ფერმერია, რომელიც თავის ნაწარმოებს უმეტეს შემთხვევაში გასაყიდათ ამზადებს; ის იმიტომ წვრილი მწარმოებელია, როგორც ჩვენში ხელოსანი. ასევე იქცევა უმეტეს შემთხვევაში წვრილი მესაკურეც.

ჩვენში კი გლესი ეწოდება ასეთი მიწის პატრონსაც და იმათაც, ვინც მიწას ლალით იღებს. ორივე შემთხვევაში ის იმით განსხვავდება ევროპიელ მოძმისაგან, რომ უმთავრესათ თავის საკუთარი ოჯახის გამოსაკვებათ აწარმოებს და არა გასაყიდათ. ერთი სიტყვით, აქ ნატურალური წარმოებაა გამეფებული. ამიტომ იჯარის პირობებიც სხვა და სხვაგვარია. იქ ბატონობს ეგრეთ წოდებული კაპიტალისტური იჯარა, აქ კი მოსახმარი იჯარა (продовольственная рента), და ეს მეორე შედარებით ბევრათ ღირს პირველზე. ამიტომ ჩვენი გლესების ექსპლოატაცია პირდაპირ აუტანელია; მათ ლუკმა პურიც კი არ რჩებათ ხშირათ ლალის გადახდის შემდეგ. ევროპაში ამგვარ იჯარას მხოლოდ წარმოებიდან გარიყული მუშა კიდებს ხელს და სხვა არაფერ.

ჩვენში კი ეს ჩვეულებრივია. კაპიტალისტური იჯარა მხოლოდ მოგების ნაწილს შეიცავს, ნაწილი მოგება კი იჯარაღარს რჩება. მოსახმარი იჯარა ყლავს მთელ მოგებას და ხშირათ მეტსაც, ასე რომ იჯარის ამღებს ღლიური ხელფასიც კი არ რჩება.

და ეს იმიტომ, რომ ევროპის გლესი კაპი-

ტალისტურ მეურნეობაში ცხოვრობს, მას საკმე აქვს სოფლის კაპიტალისტთან. ჩვენებურ გლესს კი—ფეოდალ მემამულესთან, უფლებით აღქურვილ წოდებასთან. ის დღეს, ასე ვთქვათ, ნახევრათ ისევ ყმაა, ნახევრათ ისევ ძველ ქერქშია, მარა მოთხოვნილება კი ახალი აქვს. ფულის მეურნეობა სოფლათ ფებს იღვამს, მარა ძველი მებატონენი მას არ ცნობენ და გვარი შეილობით და მამა-პაპისეულ მამულეობით ისევ ბატონობას ლამობენ. ეს კი გლესებისთვის ახლა უფრო შემზუთველია, ვინემ ბატონყმობა იყო თავის დროზე. და აი, აქედან იბადება უკმაყოფილება, მღვლეარება, მოძრაობა, რომლის მიზანია ამ ძველი ქერქის ჩამოშორება და ახალ ცხოვრებაში ხელგახსნილი ჩარევა.

და აი, სწორეთ აქ ისკვნება დღევანდელი რევოლიუციის კვანძი, რომელიც უეჭველათ უნდა გაიხსნას.

მოხდება ეს სწრაფათ, რევოლიუციონური გზით, თუ თანდათანობით, სისტემატიურათ, რეფორმების საშვალეობით, ეს მრავალ პირობებზეა დამოკიდებული. მისი წინასწარმეტყველება წინდაწინვე შეუძლებელია. ერთი რამე კი აქედანვე აშკარაა—ეს უნდა მოხდეს. და გლესობა ვერ დამშვიდდება, მაშინ მოძრაობის სული ვერ ჩაქრება, სანამ ეს განთავისუფლება არ მომხდარა. რაც უფრო ძლიერი იქნება მოძრაობა, მით უფრო მეტათ გლესთა სასარგებლო სახეს მიიღებს ეს განთავისუფლება „ძველი წესებისაგან“.

უნდა გულახდით აღვიაროთ, რომ ჩვენმა გლეს-კაცობამ ამ მხრით ღიდი ენერგია გამოიჩინა, რაც აიხსნება იმით, რომ ის თავიდანვე მუშათა კლასს, ამ ნამდვილ რევოლიუციურ ელემენტს დაუკავშირდა და მასში საუკეთესო დამხმარე იპოვა;

არ.



მუშათა კლასის თეორიული განათლება.

II

როგორც პირველ წერილში *) ვთქვით, კლასობრივად გათვითცნობიერებული პროლეტარი დღეს მეცნიერებას და ხელოვნების ცოდნას მუშების აუცილებელ საჭიროებათ აღიარებს. ეს გაცნობა აღრმავებს და აფართოებს მის კლასობრივ შემეცნებას, აძლიერებს კლასთა ბრძოლის ენერგიას; ერთი სიტყვით, მუშების თეორიული გაწვრთნა-მომზადება კლასთა ბრძოლის შეგნებულად წარმოებას დიდ დახმარებას უწევს. უცილობელი ქეშმარიტებაა, რომ კლასთა ბრძოლის ინტერესი მოითხოვს მუშა სწავლა-ცოდნას იძენდეს, წიგნებს კითხულობდეს, ლექციებს ისმენდეს, ხელოვნებას ეცნობოდეს და სხვა. მაგრამ თავისუფალი დროს უქონლობის გამო, რომელსაც, რასაკვირველია, კაპიტალისტური წარმოების წესი არ ანებებს, მუშას არ აქვს საშუალება დასახელებული ცოდნის დარგებს რიგიანათ გაეცნოს. ამიტომ კლასობრივად გათვითცნობიერებულმა მუშებმა თავისი მეცნიერულ და ხელოვნურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარულ მსოფლ-მხედველობაში უნდა ეძიონ და მხოლოდ ის გაიხადონ თავისი გონებრივი სალაროთ.

მაგრამ, შეიძლება ზოგიერთა გულუბრყვილო პროლეტარმა იფიქროს: განა მეცნიერული სოციალიზმის სფერაში, მის ფარგლებში იტრიალოს მუშათა აზროვნებამ, იქ ეძიოს თავის მეცნიერული და ხელოვნურ, საზოგადო სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება? ასე შემოგვეკითხება ის, ვინც მდიდარი და დაუშრეტელი სოციალისტური ლიტერატურის აზრთა საუნჯეს ოდნავათაც არ გაცნობია, ვისაც მეცნიერული სოციალიზმის მხოლოდ სახელი გაუგონია და სხვა არაფერი. მეცნიერული სოციალიზმის მეცნიერული და პოპულიარული ლიტერატურა ისე უსაზღვროდ მდიდარი და მრავალფეროვანია, რომ მას თამამათ შეუძლია მუშის ყოველმხრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. რამდენათ ხშირათ გადაიკითხავს, რამდენათ გულდასმით ჩაუფიქრდებ

ბა მუშა მის შინაარსს, იმდენათ ახალ-ახალ ცოდნას, ახალ-ახალ აზრებს ამოიკითხავს და შეითვისებს. ამ მხრივ სამაგალითოა ფერდინანდ ლასალის წერილ-წერილი ბროშიურები, სავსე ცეცხლ-მფრქვეველი აზრებით, ფრიდრიხ ენგელსის ნაწერები, თავისი უბრალო, მარტივი ენით და ძვირფასი, დაწვრილებითი მასალების სიმდიდრით, კარლ მარქსის დიდებული, საფუძვლიანი, დაუშრეტელ-დაუღვეველი ნაწარმოები, რომელიც მისაწდომია უფრო მომზადებულებისთვის. ამათ გარდა, მეცნიერული სოციალიზმი, მდიდარია წერილ და ადვილათ გასაგებ ნაწერებით, რომელთა შემწევობით ერთობ ადვილდება პოლიტიკური ეკონომიის და სოციალიზმის შესწავლა. საინტერესოა აზრით მდიდარია დიტცგენის ნაწარმოებნი და ზოგიერთი ნაწერები თანამედროვე ამხანაგებისა.

ჩვენ არც ხელოვნების წინააღმდეგი ვართ. ამასაც შეუძლია პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლის საქმეს დიდი სამსახური გაუწიოს. უპირველესათ ყოველისა მას შეუძლია უზომო შრომისა და ბრძოლისაგან დაღლილ პროლეტარიატს ფიზიკური დასვენება და სულიერი სიმშვიდე მიანიჭოს; შეუძლია ჩანერგოს მასში ძლიერი სურვილი ყოველ-გვარ შევნიერებისადმი დაბალი და დაცემული გრძნობა აღმოფხვრას, გააფაქიზოს. როცა ადამიანი ამალეებული გრძნობით, გულის სიმხიარულით თეატრიდან თავის ოჯახში ბრუნდება და იქ ის დაბალ, უზომო სულიერ-ნივთიერ სილატაკეს ეხეჩება, რომელიც მან თეატრში რამდენიმე საათით მაინც დაივიწყა, ეს სილატაკე იწვევს მასში მწარე წინააღმდეგობას, უიმედო აწმყოს და იმედით სავსე მომავალს შორის. ეს მწარე წინააღმდეგობა კი კლასთა ბრძოლის გამაძლიერებელი და გამანაყოფიერებელი ფაქტორია. დასასრულ ხელოვნებას შეუძლია დროშას ხელი მოჰკიდოს და მშრომელი მასსა ბრძოლისაკენ მედგრათ გაიტაცოს. ეს ითვლებოდა ყველა დროის ხელოვნების პრივილეგიათ, ამაში გამოიხატებოდა მისი მთავარი დანიშნულება და ეს პრინციპი იყო წინ წამდგარებული ყოველთვის, სადაც კაცობრიობის კითხვა კულტურულ განვითარებას შეეხებოდა.

ლიახ, დღეს ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების შესწავლა, მუშების თეორიული განათლება, ერთ იმ საშუალებათაგანია, რომელიც აძლიერებს პროლეტარიატის ბრძოლის წარმოებას და აფართოებს კლასობრივ შემეცნებას. მაგრამ როგორ უნდა გაფართოვდეს პროლეტარიატის თეორიული ცოდნა, აი კითხვა, რომელზედაც პასუხის მიცემა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

მართალია, მუშათა შორის ერთობ გაღვივებულია მისწრაფება ცოდნისადმი, ისინი შრომას და მეცადინეობას არ ზოგავენ მეცნიერული სოციალიზმის შესწავლისთვის, მაგრამ თეორიულ მოუმზადებლობის და უხელმძღვანელობის გამო ოდნათაც ვერ აღწევენ თავიანთ მიერ დასახულ მიზანს. ცოდნის სურვილით გატაცებული რამდენი მუშა დასწაფებია მარქს-ენგელსის ნაწერების შესწავლა-შეთვისებას, რამდენს მოუწადინებია მათ აზრთა სიღრმეში ჩახედვა, მეცნიერულ სოციალიზმის შინაარსის საფუძვლიანათ გაცნობა, მაგრამ ამათ, ჩვეულებრივ ამათ შრომას უნაყოფოთ ჩაუვლია.

დღეს მართლაც მასის უდიდესი ნაწილისთვის შეუძლებელია მარქსის მოძღვრების გაცნობა და აი ამ შეუძლებლობის ნიადაგზე აღმოცენებულია მუშების გულ-გრილობა თეორიისადმი, მაგრამ პარტია, როგორც ხელმძღვანელი ორგანო, მოვალეა ცოდნის სურვილით გატაცებულ პროლეტარიატს დახმარება გაუწიოს და მით ცოტათ თუ ბევრათ დააკმაყოფილოს მუშების ამ გვარი მისწრაფება. რა გზაა ეს? ამაზე შემდეგ წერილში.

შვარცი.



შეცოთმის გასწორება.

უკანასკნელ ნომერში მოთავსებულ წერილში — „სოციალიზმში“ — განაზრულა შემდეგი კორექტიურული შეცდომები: მეორე სვეტზე, მე-12 სტრ. ქვემოდან, დაბეჭდილია: „ათფელ საშოდან“, უნდა იყოს: „თვით საშოდან“. მე-3 სვეტში, მე-3 სტრ. მადლიდან დაბეჭდილია: „ეთანხმება ბასრის სხვა სახელსნათა შორის არსებულ წესრიგს“, უნდა იყოს: „ეთანხმება ბაზარს, სხვა სახელსნათა შორის არსებულ წესრიგს“; მეოთხე სვეტზე, მეორე სტრიქ. მადლიდან, დაბეჭდილია: „ანამედ ეველა წარმოება, მთელი საზოგადოებანი“, უნდა იყოს: „ანამედ ეველა წარმოება, წარმოება მთელი საზოგადოების“, იმავე სვეტზე, მე-14 სტრ. მადლიდან დაბეჭდილია: „რამოდენივე ჰირისეკან ასეთ ჰირთა კომპანიების ხელში“, უნდა იყოს: რამდენივე პირთა ან ასეთ ჰირთა კომპანიების ხელში“; იმავე სვეტზე, მე-22 სტრ. დაბეჭდილია: „ზრთლეტარიატი და კაპიტალისტები, საწველ იურათა გადაქცეული წერილი შესაკუთრენი“, უნდა იყოს: „ზრთლეტარიატი და კაპიტალისტების საწველ იურათ გადაქცეული წერილი შესაკუთრენი“.

ბელფონი 664.

მსწრათლ-მბეჭდავი ამხ.

„ნ ა ლ ე ჟ ე“

სემენოვის და ველიკოკნიაი. კუთ №: 2-23 იღებს

ყოველ გვარ სასტამბო საქმეს გაზეთებს — ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზედ, ბროშურებს, ბლანკებს, აფიშებს, ლეტურჩებს, ჩეკებს, პრეის-კურანტებს, ეტიკეტებს, საფიზიტო კარტოჩებს და სხვა.

მიღებული ზაკაზები სრულდება სუფთად და სწრაფად ზომიერ ფასებში.

კანტონა ღია ყოველ დღე, კარდა უქმე დღეების დღის 8-დან საღამოს 5 საათამდე.



მასწავლებლის სიგელა

რა ვუყოთ, რომ მწყურალათ ვართ
 და არ ვიცით საგნები?
 იარაღი სხვადა გვაქვს,
 ატესტატის ამღები...

მასწავლებელს, ეტყობა,
 დროზევე შეუტყვია,
 რომ ცოდნაზე ძლიერი
 არის პაწაწა ტყვია!...

რედ.-გამომცემელი პლატონ. გაჩეჩილაძე.

13 აკრილიდან თფილისში გამოდის განახლებული იუმორისტულ-კოკაულიარული
 სოციალკვირეული ნახაბიანი შურნალი

✦ † „ე კ ა ლ ი“ † ✦

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ: ა. — ივ. გომართელი, შვარცი, რაუდენიძე, ვლენ-
 ტინ, ჟანლენი ჭალარა. ნ. ხ., ი. ნიკოლაიშვილი, მონავარდუ და სხვები.

ჟურნალში არის ორი განყოფილება: იუმორისტული და პოპულარული. პირველ განყოფილე-
 ბაში დაბეჭდება ყოველგვარი იუმორისტული ნაწარმოები: ლექსე ი, კუმბეტები, სტენები, სურათე-
 ბი, კომედიები, ანეკდოტები და სხვა. მეორე განყოფილებაში — მდაბით დაწერილი წერილები: პო-
 ლიტკურ კონომიდან, ბუნების მეცნიერებიდან და სხვა; მწერალთა და მოღვაწეთა ბიოგრაფიები,
 სურათები, ბიბლიოგრაფიები და სხვა.

ჟურნალი ღირს 1 წლით 1 მან.

ცალკე ნომერი . . . 10 კაპ.

კორესპონდენტებს და თანამშრომლებს მიეცემათ შესაფერი ქონიარო მსოფლო იმ შემთხვევაში-
 თუ წინდაწინვე გვაცნობებენ თავის პირობას

დასაბეჭდი წერილები ერთ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი გარკვეული ხელით.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифლისь. Тип. „Сорепань“ Александру
 Мумладзе. „ეკალის ძველი ნომრები ერთათ შეკრულუ იყიდება 50 კაპ.